კახეთის რკინიგზა გაუქმების ზღვარზე დგას A3 | ენერგეტიკა A8 | გულახდილად B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — შაბათი, 4 დეკემბერი, 2004 წელი. №288 (837) — ფასი 50 თეთრი

ეკონომიკა

## ფოთის პორტის ხელმძღვანელი პარლამენტარებს ანგარიშს აბარებს



შეიქმნება საპარლამენტო კომისია, რომელიც პორტის საქმიანობის მონიტორინგს განახორციელებს.

A4

სამართალი

## რა გახდება სანაიას მკვლელობის ხელახლა გამოძიების საფუძველი?



სანაიას მკვლელობა კვლავ ბურუსითაა მოცული და შეიძლება ითქვას, გამოძიებული არც არის,

A7

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

გაზეთ "24 საათის" ანონსები შეგიძლიათ, მოისმინოთ რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში, FM 107.4

ამინდი

| | 4/12 | 5/12 |
|---|---|---|
| თბილისი | 9 | 10 |
| ქუთაისი | 15 | 14 |
| ბათუმი | 17 | 14 |
| სოხუმი | 11 | 11 |
| ფოთი | 15 | 14 |
| თელავი | 7 | 8 |
| ზუგდიდი | 14 | 14 |
| გორი | 7 | 7 |
| ახმეტა | 8 | 9 |
| ჭიათურა | 11 | 10 |
| გაგრა | 9 | 8 |
| სამტრედია | 15 | 14 |

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8350 |
| ევრო | 2.4355 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5282 |
| რუბლი | 0.0657 |

# ხელისუფლება "უპატიებელთა" ნუსხას ადგენს

ახალმა ხელისუფლებამ დიდი განსჯის შემდეგ ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა, ვის ვერ აპატიებს შევარდნაძის დროინდელ დანაშაულებს. გუშინ საქართველოს მთავრობამ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს იმ პირთა ნუსხა წარუდგინა, რომლებზეც ე.წ. ფინანსური ამნისტია არ უნდა გავრცელდეს.

წარმოდგენილი ნუსხის მიხედვით: კანონი ამნისტიის შესახებ არ გავრცელდება ქვეყნის პრეზიდენტზე, დეპუტატებზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ხელმძღვანელებზე და მათ მოადგილეებზე, მინისტრებსა და მათ მოადგილეებზე, კანცელარიის უფროსზე და მის მოადგილეზე, სახელმწიფო დეპარტამენტების თავმჯდომარეებზე, სახელმწიფო ინსპექციის უფროსებზე და მათ მოადგილეებზე, ასევე სამინისტროების სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებზე.

გაგრძელება A3 გვერდზე

# საქართველო აფხაზებისკენ, აფხაზები ...

მიხეილ სააკაშვილი მოლაპარაკებების მაგიდასთან იწვევს აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობის მიერ არჩეული სეპარატისტ ლიდერს.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*"ჩვენ მზად ვართ, ბაგაფშს ველაპარაკოთ," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა კანცელარიაში ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ინსტიტუტის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე. "სააკაშვილიღა გვაკლდა," - ასე პასუხობს აფხაზეთის მომავალი პრეზიდენტი საქართველოს პრეზიდენტს.*

სოფო ბუკია

გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით პირველი ვრცელი კომენტარი გააკეთა.

**"აფხაზეთში ჩატარებული არჩევნები იურიდიულად კანონიერად ვერ ჩაითვლება, რადგან ამ არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია აფხაზეთის ტერიტორიაზე ომამდე მცხოვრები მოსახლეობის დიდ უმრავლესობას - ქართველებს, სომხებს, ბერძნებს, რუსებს, მათ შორის - აფხაზებსაც... მაგრამ, ამავე დროს, სრულიად ნათელია, რომ ის ხელისუფლება, რომელიც 3 ოქტომბერს აირჩიეს, აფხაზეთში ამჟამად მცხოვრებთა აბსოლუტური უმრავლესობის ნებას გამოხატავს. ამიტომ, საქართველოს ხელისუფლება მზად არის, აწარმოოს მოლაპარაკებები აფხაზეთის ახლადარჩეულ ხელისუფლებასთან, კერძოდ, სერგეი ბაგაფშთან,"** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# რუსეთის ჰეგემონობისაკენ სწრაფვის დასასრული

უკრაინის პრეზიდენტის ვინაობას განმეორებითი კენჭისყრა გამოავლენს



დიადი გამარჯვება უკრაინული დემოკრატიისთვის.

# შეტაკება ყულარში მსხვერპლით დასრულდა

მაია მოსიაშვილი

*ყულარის ცხენსაშენის სარგებლობაში მყოფი მიწა აზერბაიჯანელებისა და ქართველების დაპირისპირების საგნად უკვე დიდი ხანია, გადაიქცა. ახალი ხელისუფლების ჩინოვნიკები თითქმის ერთი წლის მანძილზე ცდილობდნენ, ეს პრობლემა თვალისა და ყურის გარეთ დაეტოვებინათ. ამ უყურადღებობის შედეგად მოხდა ყველაზე უარესი, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო - დაპირისპირებას ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.*

ყულარში გუშინ საღამოს დატრიალებულ ტრაგედიაზე დეტალურ ინფორმაციას სამართალდამცველი ორგანოები ჯერ არ ავრცელებენ. არსებობს მწირი მონაყოლი მომხდარზე: ცხენსაშენის ნაკვეთების ქართველ მოიჯარეებს მეზობელი აზერბაიჯანული სოფლების მოსახლეობა, ქვებითა და კეტებით შეიარაღებული ქალები და კაცები, თავს დაესხნენ. ქვების სროლას ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლა მოჰყვა. როგორც "24 საათს" ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსმა კობა შარვაძემ განუცხადა, წინასწარი ინფორმაციით, სროლა ორმხრივი იყო, მისი შედეგი კი საგანგაშო - გარდაიცვალა ადგილობრივი აზერბაიჯანელი ქალბატონი ხილილ იდრისავა და დაიჭრა სამი ადამიანი. აქედან ორი ცხენსაშენის მხრიდან და ერთიც აზერბაიჯანელებით დასახლებული სოფლიდან.

პოლიციის ინფორმაციით, ადგილობრივი მოსახლეობა ამის შემდეგ ცხენსაშენის გადაწვას შეეცადა. მათ დაშოშმინებას სამხარეო პოლიციის თანამშრომლები და შს სამინისტროს სპეცრაზმი გვიან ღამემდე ცდილობდნენ.

გაგრძელება A2 გვერდზე

# კოტე გაბაშვილი VS ჰაიკი ტალვეტიე

გიორგი ასანიშვილი

*საგარეო საქმეთა მინისტრის, სალომე ზურაბიშვილის პარლამენტში სტუმრობა ხმაურიანი განცხადებების გარეშე არასდროს მთავრდება. გამონაკლისი არც გუშინდელი დღე ყოფილა. ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ თუ ადრე საპარლამენტო უმრავლესობის გარკვეული ჯგუფი ქვეყნის დიპლომატიური უწყების ხელმძღვანელს უტევდა, ამჯერად კრიტიკის ობიექტს საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენელი ჰაიკი ტალვეტიე წარმოადგენდა.*

საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის, კოტე გაბაშვილის მტკიცებით, ფინეთის ყოფილი ელჩი რუსეთში (ტალვეტიე) ძალიან პასიური, არაკორექტული და არაკომპეტენტური ფიგურაა. **"საერთაშორისო ფორუმებზე მისი პოზიცია ისეთი არ არის, როგორსაც ქართული მხარე ელის ხოლმე. მისი ქმედებებით ქართველი დიპლომატები ხშირად გაოგნებულან და აღშფოთებულან,"** - აცხადებს გაბაშვილი. მისივე თქმით, საქართველო მოხუცებული დიპლომატებისთვის პენსიაში გასასვლელი ადგილი არ არის და ურჩევს ტალვეტიეს, სიბერის ჟამს მშვიდი ნავთსაყუდელი უფრო დალაგებულ ქვეყანაში (მაგალითად, ისლანდიაში) მონახოს. ამის თქმის უფლებას გაბაშვილს, როგორც ჩანს, ის გარემოება აძლევს, რომ ევროკომისიის წარმომადგენელი დროის უდიდეს ნაწილს საქართველოს ფარგლებს გარეთ ატარებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პროექტი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 კვირა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## ამერიკული სამხედრო დახმარება გრძელდება

ვერიკო თევზაძე

ამერიკის მთავრობა საქართველოსადმი დახმარებას აგრძელებს. თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ინფორმაციით, ახალი ამერიკული დახმარების პროგრამის დეტალები დაზუსტების პროცესშია. აქედან გამომდინარე, ჯერჯერობით, უცნობია პროგრამის სახელწოდება, დაფინანსების მასშტაბები და ის ვადებიც, რომელსაც პროგრამა მოიცავს.

როგორც თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში "24 საათს" განუცხადეს, დაახლოებით სამი კვირის წინ ამერიკელებს პროგრამის შესახებ მოლაპარაკება ჰქონდათ ქართულ მხარესთან, სავარაუდოდ, თავდაცვის მინისტრთან.

ამგვარი მწირი ინფორმაციის მიღების შემდეგ, ტელეფონით გავესაუბრეთ თავად თავდაცვის მინისტრს გიორგი ბარამიძეს. ბატონი ბარამიძე გახსნილი მინისტრია - იგი ე.წ. უცხო ნომრებიდან მიღებულ სატელეფონო ზარებზე რეაგირებს... თუმცა, ქვეყნის თავდაცვის მინისტრი აბეზარი ჟურნალისტებისგან თავდაცვას შესანიშნავად ახერხებს. გიორგი ბარამიძემ ერთდროულად მიგვითითა თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტზე და იმ შეფერხებაზე, რომელიც მის სამუშაო რეჟიმში ჩვენმა მოულოდნელმა ზარმა გამოიწვია...

მთავარი კი ის არის, რომ ამერიკელები "წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის" წარმატებულად დასრულების შემდეგ ხელახალ დახმარებას გვთავაზობენ.

ახალ ამერიკულ პროგრამასთან დაკავშირებით, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი რეზერვისტთა შერჩევას იწყებს. ეს პროცესი ორ ეტაპად დაიყოფა. თავდაპირველად, კრწანისის სასწავლო ცენტრში, თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში, ქუთაისის 21-ე და ახალციხის 22-ე ბრიგადებში შექმნილი სპეციალური მიმღები კომისიები 800 რეზერვისტს შეარჩევენ. მეორე ეტაპზე, 6-დან 25 დეკემბრამდე, კრწანისის სასწავლო ცენტრში 800 რეზერვისტიდან 600 კაცს შეარჩევენ.

აღნიშნულ 600 რეზერვისტს, ახალი ამერიკული პროგრამის დაწყებამდე, ქართველი და ამერიკელი ინსტრუქტორები მოამზადებენ.

წინასწარი ინფორმაციით, ახალი ამერიკული სამხედრო პროგრამის ფარგლებში მომზადებული ბატალიონებით მე-11 მექანიზებულ-მოტომსროლელ და ქუთაისის 21-ე ბრიგადებს შეავსებენ.

## NDI-ს ჯილდო ქართული რევოლუციის ლიდერებს

აშშ ადმინისტრაციისა და "ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის" მიწვევით, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია ხუთდღიანი სამუშაო ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრება.

ზურაბ ჟვანია თეთრ სახლში შეხვდება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მრჩეველს ეროვნული უშიშროების საკითხებში და აშშ-ს მომავალ სახელმწიფო მდივანს, კონდოლიზა რაისს, ხოლო კაპიტოლიუმში - რამდენიმე ცნობილ კონგრესმენსა და სენატორს. საქართველოს პრემიერ-მინისტრი შეხვდება, აგრეთვე, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ხელმძღვანელს, ამერიკის ყოფილ სახელმწიფო მდივანს, მადლენ ოლბრაიტს. ვაშინგტონში დაგეგმილია "ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის" საგანგებო სხდომა, რომელსაც დაესწრება ამერიკის პოლიტიკური და ბიზნეს-ელიტის, დიპლომატიური კორპუსის, თეთრის სახლისა და კონგრესის, ამერიკული პრესის 800-მდე წარმომადგენელი. მიწვეული არიან პრეზიდენტები კლინტონი და კარტერი. NDI-ს ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, ამერიკელი დიპლომატისა და საზოგადო მოღვაწის, ავერელ ჰარიმანის სახელობის ჯილდო საქართველოს პრემიერ-მინისტრს ზურაბ ჟვანიას გადასცეს. ჟვანია ჯილდოს მიიღებს "საქართველოს დემოკრატიულ ძალთა და ლიდერთა სახელით, რომელთაც განახორციელეს მშვიდობიანი "ვარდების რევოლუცია".

*ინტერ-პრესი*

## რუდიკ ცატავა თანამდებობის ბოროტად გამოყენებაშია ეჭვმიტანილი

საქართველოს გენერალური პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლებმა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე რუდიკ ცატავა პროკურატურაში დაკითხვაზე დაიბარეს და უკან აღარ გაუშვეს.

გენერალური პროკურატურის წინასწარი ინფორმაციით, ცატავა ეჭვმიტანილია თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში. ცატავასთვის ბრალი, ჯერჯერობით, არ წაუყენებიათ. პროკურატურა საქმის დეტალებზე საუბრისგან თავს იკავებს.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, რუდიკ ცატავა გენერალურ პროკურატურაში თვის წინ ერთხელ უკვე მიიწვიეს და მოწმის სახით დაკითხეს. იგი აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილის ომარ გოგიასა და "თბილსრესის" ყოფილი ფინანსური მენეჯერის ნოდარ ბულბულაშვილის საქმესთან დაკავშირებით დაიკითხა. მაშინ გენერალურ პროკურატურაში აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი და მისი ყოფილი მოადგილე დავით გვაძაბიაც დაკითხეს.

დასახელებული პირებს ჩვენების მიცემა კონკრეტულ დოკუმენტთან დაკავშირებით მოუწიათ, საუბარია ყალბ აქტივებზე, რომელიც ომარ გოგიამ შეადგინა და რომლითაც მან 1992-1999 წლებში 13 მილიონი ლარი მიითვისა.

აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, შპს "ოგას" ხელმძღვანელი ომარ გოგია, რომელსაც სამართალდამცველები რამდენიმე თვეა, ეძებენ, და "თბილსრესის" ფინანსური დირექტორი ნოდარ ბულბულაშვილი ერთობლივად ჩატარებულ ფინანსურ მაქინაციებში არიან ბრალდებული. საუბარია "თბილსრესში" მაზუთის შესატანად გამოყოფილი 13 მილიონი ლარის მითვისებაზე. როგორც ცნობილია, ფირმა "ოგა" წლების მანძილზე "თბილსრესს" საწვავით ამარაგებდა. ფინანსურ მაქინაციებში დაადანაშაულეს ომარ გოგიას ტყუპისცალიც, ნუგზარ გოგიაც, რომელიც "იმელის" შენობაში ჩატარებული სპეცოპერაციისას დააკავეს.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ამ საქმესთან დაკავშირებით, გენერალურ პროკურატურას კარგა ხნის წინ ჰქონდა შედგენილი სოლიდური სია, რომელშიც ყოფილ მაღალჩინოსანთა გვარები ფიგურირებს და რომელთაც კავშირი ჰქონდათ "თბილსრესში" ჩატარებულ ფინანსურ მაქინაციებთან.

*24 საათი*

## ულიცენზიო სათამაშო ავტომატები დალუქეს

ფინანსური პოლიციის სპეციალურ დავალებათა სამმართველომ თბილისში მეტროსადგურ "დიდუბისა" და "ახმეტელის" მიმდებარე ტერიტორიაზე ულიცენზიო მომგებიანი სათამაშო აპარატები აღმოაჩინა. აპარატები დალუქულია და ამოღებული. მეწარმეების - შმაგი ტუკვაძის, თენგიზ როგავას, დავით კერესელიძის და მანუჩარ კაკავას მიმართ "უკანონო სამეწარმეო საქმიანობის მუხლით" სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის ოპერატიულმა სამმართველომ ოთხი სისხლის სამართლის საქმე აღძრა დიდი რაოდენობით თამბაქოს ნაწარმის აქციზური მარკის გარეშე შენახვა-გადაზიდვის ფაქტებზეც. გორის რაიონის მცხოვრებლები - ედიშერ ტერაშვილი, გოჩა სიდამონიძე, დარეჯან დოიჯაშვილი და უჩა გელაშვილი უკვე პასუხისგებაში არიან მიცემული. მათგან 10 ათას კოლოფზე მეტი უაქციზო სიგარეტია ამოღებული.

*მედია-ნიუსი*

## კოტე გაბაშვილი VS ჰაიკი ტალვეტიე

პირველი გვერდიდან

საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ ჰაიკი ტალვეტიეს პასიურობა კიდევ უფრო თვალშისაცემი ხდება იმ აქტიური მხარდაჭერის ფონზე, რომელსაც საერთაშორისო სტრუქტურები და ინსტიტუტები საქართველოს მიმართ იჩენენ.

კოტე გაბაშვილისგან განსხვავებით, სალომე ზურაბიშვილი, გასაგები მიზეზების გამო, ერიდება, შეფასება მისცეს საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლის საქმიანობას. საგარეო საქმეთა მინისტრი მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ ტალვეტიეს ქვეყნიდან გაწვევა-არგაწვევის საკითხი ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კოორდინატორის, ხავიერ სოლანას გადასაწყვეტია.

კოტე გაბაშვილმა გუშინ კიდევ ერთი სენსაციური მინიშნებაც გააკეთა. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე არ გამორიცხავს, რომ ახლო მომავალში კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს კოსოვოში ქართული სამშვიდობო კონტინგენტის ყოფნის საკითხი. გაბაშვილი ამ თემაზე დაწვრილებით საუბარს თავს არიდებს და მხოლოდ "საკადრო პრობლემებს" ახსენებს.

დეპუტატს მიაჩნია, რომ კოსოვოში ქართველი სამშვიდობოების ყოფნას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს და საქართველოს ხელისუფლებამ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რომ ცისფერჩაფხუტიანები სამივე მიმართულებით (კოსოვო, ერაყი, ავღანეთი) ჰყავდეს.

გერმანიაში საქართველოს ყოფილი ელჩის "აფეთქება" საგარეო ურთიერთობათა და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტების გუშინდელ ერთობლივ სხდომაზე მოხდა, რომელზეც მოსმენილი იქნა საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია 2004 წელს გაწეული მუშაობისა და სამომავლო გეგმების შესახებ.

სალომე ზურაბიშვილმა დეტალურად ისაუბრა იმ რეორგანიზაციაზე, რომელიც მის უწყებაში მიმდინარეობს. კერძოდ, ირკვევა, რომ სამინისტროს ცენტრალური აპარატის 26 ქვედანაყოფი 19-მდე შემცირდა, 405 საშტატო ერთეული კი - 335-მდე. პარალელურად, თანამშრომლების ხელფასი დაახლოებით შვიდჯერ გაიზარდა და ეს ტენდენცია მომავალშიც იქნება შენარჩუნებული. გარდა ამისა, წელს სამინისტროში შეიქმნა დიასპორებთან ურთიერთობების დეპარტამენტი, აგრეთვე - საზღვარგარეთ არსებული საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობათა დაცვის ცენტრი. მინისტრი იმ გარემოებასაც უსვამს ხაზს, რომ დაწყებულია ლევილის სასახლის საქართველოს საკუთრებაში დაბრუნების პროცესი.

სალომე ზურაბიშვილის თქმით, მიმდინარე წელს საქართველოს საელჩოები გაიხსნა ბულგარეთში, რუმინეთში, ვატიკანსა და იორდანიაში. წლის ბოლომდე ახალი საელჩო გაიხსნება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაშიც.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*საგარეო საქმეთა მინისტრის დიპლომატიურ ტონს კომიტეტის თავმჯდომარის ღია ბრალდებები ცვლიდა...*

მინისტრის განცხადებით, 2004 წელს საქართველოს ხელისუფლებისთვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა საელჩოების დავალიანების დაფარვა და ეს ამოცანა მთლიანად შესრულდა. ამასთან, შექმნილია სარევიზიო ჯგუფი, რომელიც იმ საელჩოებს შეამოწმებს, სადაც გადახარჯვები იყო.

საკადრო და ორგანიზაციული ცვლილებები საგარეო საქმეთა სამინისტროში დამდეგ 2005 წელსაც გაგრძელდება. აღსანიშნავია, რომ სალომე ზურაბიშვილი სამომავლოდ ერთობ ორიგინალური "რეფორმის" გატარებასაც გეგმავს: მისი სურვილია, რომ ახალმა ელჩებმა რწმუნებათა სიგელები ჩოხა-ახალუხში (ან ქართულ კაბაში) გამოწყობილებმა ჩააბარონ.

მინისტრის ინიციატივას კოტე გაბაშვილი მოწონებით ხვდება და ზურაბიშვილს სრულ მხარდაჭერას ჰპირდება: **"შემოდით სათანადო კანონპროექტით და პარლამენტი ეროვნულ ტანსაცმელს დიპლომატიურ ფორმად უპრობლემოდ დაამტკიცებს".**

## შეტაკება ყულარში მსხვერპლით დასრულდა

პირველი გვერდიდან

ქვემო ქართლის მხარის პროკურორმა შოთა რეხვიაშვილმა მომხდარზე კომენტარის გაკეთებისაგან გუშინ თავი შეიკავა, იმ მოტივით, რომ საქმეში ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი დეტალია, თავდასხმაში კი ადგილობრივი მოსახლეობიდან 300 კაცი იღებდა მონაწილეობას. მხარის პროკურორი, ასევე, არაფერს ამბობს იმაზე, თუ ვინ ისროდა ცეცლსასროლი იარაღით და იყო თუ არა სროლა ორმხრივი.

ცნობილია, რომ ყულარის ცხენსაშენის სარგებლობაში მყოფ მიწებს იქაური აზერბაიჯანული წარმოშობის მოსახლეობა ახალი ხელისუფლების მოსვლის დღიდან ითხოვს. კუტლიარის საკრებულოში შემავალი სოფლების მცხოვრებლებმა არაერთი პიკეტი, მიტინგი თუ გამაფრთხილებელი აქცია მოაწყეს. ბოლო თვეების განმავლობაში ისინი განუწვეტლივ იმუქრებოდნენ, რომ სასურველ მიწებს ძალით "დაიპყრობდნენ". უფრო ადრე პროკურატურაში საქმე აღიძრა ერთ-ერთ აზერბაიჯანელზე, რომელიც კუტლიარელების წამქეზებლად ითვლებოდა.

ერთი თვის წინ, 1 ნოემბერს, როდესაც ამ ხალხმა მარნეულის გზა უკვე მერამდენედ გადაკეტა, ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის თათბირზე უშიშროების სამინისტროს წარმომადგე[illegible] ასეთი განცხადება გააკეთა: **"ყულარში პროცესები მართულია. პროკურატურაში აღძრულია საქმე ადამიანზე, რომელიც ამათ ორგანიზებას უკეთებს და მაინტერესებს, რატომ არაფერს აკეთებენ?!"**

**მცირე პრეისტორია**: ყულარის ცხენსაშენი ამიერკავკასიაში ერთადერთია და იქ გამოზრდილ ცხენებზე დიდი მოთხოვნილებაა. ცხენსაშენი შპს "ჟოკეი-კლუბს" ეკუთვნის, რომელიც თავის მხრივ თბილისის იპოდრომის მფლობელია.

დღეისათვის ცხენსაშენს 1155 ჰექტარი მიწა აქვს სარგებლობაში იჯარით. როგორც მისი მესვეურები აცხადებენ, სუფთა სისხლის ცხენებისათვის დიდი რაოდენობით საძოვარი მიწა აუცილებელია. ცხენსაშენის ახლოს მდებარე აზერბაიჯანული სოფლების მოსახლეობა 2003 წლის დეკემბრიდან ახალ ხელისუფლებას ცხენსაშენისათვის 750 ჰექტარი მიწის ჩამორთმევას სთხოვს. ამ ხნის მანძილზე კუტლიარელებმა არაერთი საპროტესტო აქცია გამართეს მარნეულში, სახელმწიფო კანცელარიის წინ და დაპირებაც მიიღეს, რომ მათი მოთხოვნა დაკმაყოფილდებოდა.

სექტემბრის დასაწყისში, ცხენსაშენის მეპატრონეებთან შეთანხმებით, აზერბაიჯანული მოსახლეობისათვის 300-მდე ჰექტარის გადაცემა გადაწყდა, კუტლიარელთა [illegible] თლში სოსო მაზმიშვილმა გაავრცელა. დღეს ის აცხადებს, რომ სპეციალურად ამ საქმის შესასწავლად შექმნილმა კომისიამ დაადგინა - ცხენსაშენი მიწას კანონიერად ფლობს.

**"მომხდარი, თავისთავად, ძალიან სამწუხაროა. ჩვენ ვცდილობდით, მათთვის სხვა მიწის ფართობები შეგვეთავაზებინა, რაზეც უარი მივიღეთ. მე ძალიან კარგად მესმის ამ ხალხის, მაგრამ მათ უნდა გაიგონ, რომ ცხენსაშენი მიწას სავსებით კანონიერად ფლობს და მის ხელახლა გადანაწილებაზე საუბარი მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ შეიძლება, ანუ მაშინ, როცა საიჯარო ხელშეკრულებას ვადა გაუვა,"** - განუცხადა "24 საათს" პრეზიდენტის რწმუნებულმა ქვემო ქართლში. ის დღეს აპირებს კუტლიარში ჩასვლას და გარდაცვლილის ოჯახისათვის მისამძიმრებას.

შეიძლებოდა თუ არა მომხდარი ტრაგედიის თავიდან აცილება? სოსო მაზმიშვილი აცხადებს, რომ **"ამას ვერავინ იტყვის"**.

"24 სათის" ინფორმაციით, გუშინ საღამოს ცხენსაშენის გადაწვისთვის გამზადებული კუტლიარელები საქართველოში აზერბაიჯანის რესპუბლიკის საელჩოს წარმომადგენლების ჩარევით დააშოშმინეს და დაშალეს. აზერბაიჯანული ტელევიზია "ლიდერი" კი უკვე მანამდე [illegible] ყურს მოჰკრავდნენ.

### ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გუშინ საქართველოში უკრაინის სრულუფლებიან ელჩს სტეპან ვოლფოვეცს შეხვდა.

დახურული შეხვედრა დაგეგმილზე ერთი საათით ადრე დაიწყო. მისი დასრულების შემდეგ მხარეებს კომენტარი არ გაუკეთებიათ. შესაბამისად, საუბრის თემა ჟურნალისტებისთვის უცნობი დარჩა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ლეიბორისტული პარტიის" ლიდერი შალვა ნათელაშვილი დღეს სამკვირიანი სამუშაო ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში მიემგზავრება.

როგორც პარტიის საინფორმაციო დეპარტამენტში განაცხადეს, ვიზიტი ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიწვევით და დაფინანსებით ხორციელდება. მის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები აშშ-ს პოლიტიკური და სამთავრობო წრეების წარმომადგენლებთან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კახა სიხარულიძემ სოხუმში რუსეთის მაღალჩინოსანთა ჩასვლასთან დაკავშირებით საქართველოში რუსეთის ფედერაციის ელჩს ვლადიმირ ჩხიკვიშვილს საპროტესტო ნოტა გადასცა.

ქართული მხარე ოფიციალურ თბილისთან შეუთანხმებლად აფხაზეთში რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ალექსანდრ ჩეკალინისა და გენერალური პროკურორის მოადგილის ვლადიმირ კოლესნიკოვის ჩასვლას აპროტესტებს.

კახა სიხარულიძის თქმით, ეს ფაქტი საქართველოს სუვერენიტეტის დარღვევაა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების შერეული საკონტროლო კომისიის სამუშაო ჯგუფების შეხვედრა, რომელიც ცხინვალში 3 დეკემბერს უნდა გამართულიყო, გადაიდო. ქართული მხარის ინფორმაციით, ამის მიზეზი ის არის, რომ ჩრდილოეთ ოსეთის მხარეს სამუშაო ჯგუფი დაკომპლექტებული არ ჰყავს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ერევანი.** ერევანში ვიზიტით მყოფი, მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი აცხადებს, რომ ასლან აბაშიძე სამშობლოში დაბრუნდება. "აბაშიძე ბატონმა სააკაშვილმა აბსოლუტურად არაკონსტიტუციური გზით გამოდევნა. ჩვენი აზრით, აჭარელი ხალხი ამგვარ განუკითხაობას სამუდამოდ არ შეეგუება," - განაცხადა მოსკოვის მერმა. მისივე თქმით, ასლან აბაშიძეს მოსკოვში ყველანაირი კომფორტული პირობები აქვს შექმნილი, "მაგრამ იგი თავს არაკომფორტულად გრძნობს და თავისი ხალხის ბედი აღელვებს". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 5 დეკემბერს საქართველოში ჩამოვა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის თავმჯდომარის მოადგილე გენერალი პიტერ ჰეისი. სამხედრო თანამშრომლობის, კერძოდ, სამხედრო დახმარების ახალი, "სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციების პროგრამის" განხორციელების შესახებ იგი შეხვედრებს გამართავს საქართველოს მთავრობის წევრებთან, მათ შორის, თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელებთან. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს ქართველი ჯარისკაცების გაწვრთნას კოალიციური ძალების დასახმარებლად. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 16-მა მსჯავრდებულმა ქალმა გუშინ საპატიმრო დატოვა. პატიმარ ქალთა უმრავლესობა ხევარდოვანი რევოლუციის წლისთავზე პრეზიდენტმა სააკაშვილმა შეიწყალა. თუმცა, პრეზიდენტის პირობა, რომ შეწყალებულები 23 ნოემბერს - გიორგობის დღესასწაულს საკუთარ სახლში შეხვდებოდნენ, დაგვიანებით შესრულდა. მსჯავრდებულ ქალთა ნაწილი კი, პატიმრობიდან ვადაზე ადრე, ე.წ. "უდოს" ფორმით გათავისუფლდნენ. მათ სასჯელის ვადის 2/3 უკვე მოხდილი აქვთ. "გასათავისუფლებელთა სიაში ძირითადად ნარკოდანაშაულისათვის მსჯავრდებული ქალები არიან", - აღნიშნეს იუსტიციის სამინისტროში. ქალთა კოლონიაში ამჟამად 90-ზე მეტი ქალი პატიმარი იხდის სასჯელს. **ინტერ-პრესი**

იწყება ხელმოწერის კამპანია გაზეთ "24 საათზე"

იკითხეთ "24 საათი" და თქვენ გექნებათ პოზიცია!

რედაქციის მისამართი:
ვაჟა ფშაველას №45
ტელ: 20 24 24

ხელმოწერის ფასები:
1 თვით 13 ლარი;
3 თვით 39 ლარი;
6 თვით 78 ლარი;
ერთი წლით 156 ლარი.

ყურადღება!

თუ ხელშეკრულება გაფორმდება უშუალოდ რედაქციასთან, ხელმომწერი მიიღებს შემდეგ შეღავათებს:

ნახევარწლიან ხელმოწერაზე 10 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 78 ლარის ნაცვლად, 70,20 ლარი;
ერთწლიან ხელმოწერაზე 20 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 156 ლარის ნაცვლად, 124,80 ლარი.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.




# საქართველო აფხაზებისკენ, აფხაზები ...



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*პრესისათვის გაკეთებული განცხადების შემდეგ, პრეზიდენტმა დახურულ კარს მიღმა განაგრძო დიალოგი ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ინსტიტუტის წარმომადგენლებთან.*

პირველი გვერდიდან

მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს დიალოგის დასაწყებად: **"ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ ეტაპზე არც აფხაზებისთვის და არც ქართველებისთვის მშვიდობიან მოლაპარაკებებს ალტერნატივა არა აქვს,"** - აღნიშნა პრეზიდენტმა. ამავდროულად, მისი განცხადებით, **"არავის უნდა ჰქონდეს ილუზია, რომ თბილისი ოდესმე შეეგუება და არ გადადგამს ნაბიჯებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად."**

ქართული მხარე აცნობიერებს იმას, რომ ქართულ-აფხაზურ დიალოგს, შეიძლება, ძალიან ბევრი წინააღმდეგობა შეხვდეს, მაგრამ **"არ არსებობს წინააღმდეგობა, რომელსაც ჩვენ ვერ გადავლახავთ,"** - განაცხადა პრეზიდენტმა.

**"ქართველ ხალხს არ ჰყავს უფრო ახლობელი ერი, ვიდრე აფხაზები. აფხაზს და ქართველს ფიზიკურადაც ვერ განასხვავებ, მათ გამოხედვაც ერთნაირი აქვთ. ჩვენ ძმები ვართ და როცა ძმებს შორის არის კონფლიქტი, იგი უფრო ძნელი მოსაგვარებელია, ვიდრე მეზობლებს შორის დაპირისპირება, ეს ჩვენ კარგად გვესმის... მაგრამ ძმები აუცილებლად უნდა შერიგდნენ. ჩვენი მთავარი მიზანია ქართული სახელმწიფოებრიობის შექმნა და ეს აფხაზ ხალხთან ერთად უნდა გავაკეთოთ. აფხაზი ხალხის განვითარების გარანტიები აბსოლუტურად დაცული იქნება,"** - დასძინა პრეზიდენტმა.

სააკაშვილმა მხოლოდ გაკვრით ახსენა, რომ **"საქართველოს ხელისუფლებას არ მოსწონს აფხაზეთის შიდა საქმეებში გარე ძალების ჩარევა."** კონკრეტულად რუსეთის პოლიტიკაზე მას გუშინ არ უსაუბრია.

პრესისთვის გაკეთებული განცხადების შემდეგ, პრეზიდენტისა და ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ინსტიტუტის წარმომადგენლების შეხვედრა დახურულ კარს მიღმა გაგრძელდა.

ქართულ-აფხაზურმა ინსტიტუტმა, რომელშიც, ქართველების გარდა, აფხაზებიც არიან გაერთიანებული, საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს წარუდგინა რეკომენდაციები, რომლებიც, მათი აზრით, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგებას შეუწყობს ხელს.

რეკომენდაციები ითვალისწინებს აფხაზური ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭებას, აფხაზეთის ომის მონაწილეებისთვის შეღავათების დაწესებასა და აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეებისთვის საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტების გამარტივებული წესით მიცემას.

როგორც სააკაშვილთან შეხვედრის შემდეგ ინსტიტუტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, აფხაზეთში დღეს არიან ადამიანები, რომლებიც მზად არიან ქართველებთან ურთიერთობების აღსადგენად. აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება კი ამ პროცესს მნიშვნელოვნად დააჩქარებს.

სააკაშვილის მიერ აფხაზეთთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადების შინაარსი გუშინ სერგეი ბაგაფშისთვისაც გახდა ცნობილი. რუსულ ტელეკომპანია ნტვ-სთვის მიცემულ ინტერვიუში მან აღნიშნა, რომ სააკაშვილთან მოლაპარაკებებს არ აპირებს. **"სააკაშვილი-ლა გვაკლდა,"** - განაცხადა ბაგაფშმა რუს ჟურნალისტთან საუბარში. **"ეს პროვოკაციაა, რომელიც მიზნად ისახავს აფხაზეთის შუაზე გახლეჩას და ასევე აფხაზეთისა და რუსეთის ურთიერთობების გაფუჭებას. ჩვენ რჩევების მომცემი გვყავს, მე სააკაშვილთან დიალოგს არ ვაპირებ,"** - დასძინა აფხაზეთის არაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატმა.

# ბაგაფშს უნდობლობას უცხადებენ

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს სერგეი ბაგაფშის ინაუგურაციის ჩასატარებლად არანაირი კანონიერი საფუძველი არ აქვს და მის წინაშე უფლებამოსილების მოხსნას არ აპირებს. ამის შესახებ ნათქვამია განცხადებაში, რომელიც გუშინ მოქმედი პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას პრესსამსახურმა გაავრცელა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ მოქმედი ხელისუფლება ოპოზიციის მიერ 6 დეკემბრისთვის დაგეგმილ ინაუგურაციაზე ბაგაფშისთვის ხელისუფლების ატრიბუტების გადაცემას "შეუძლებლად მიიჩნევს" და თავის მოვალეობას 6 დეკემბრის შემდეგაც შეასრულებს. მასში ასევე ნათქვამია, რომ "მინისტრთა კაბინეტის ყველა სამინისტრო და უწყება პრემიერ-მინისტრ ნოდარ ხაჟბას ემორჩილება და მხოლოდ მის განკარგულებებსა და ბრძანებებს ასრულებს".

"კანონმდებლობის შესაბამისად, მინისტრთა კაბინეტი უფლებამოსილებას მხოლოდ ხელახალი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის წინაშე, არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 30-ე დღეს მოიხსნის და ფიცს დადებს ახლადარჩეული პრეზიდენტის წინაშე,"- ნათქვამია განცხადებაში.

*ინტერ-პრესი*

# ხელისუფლება "უპატიებელთა" ნუსხას ადგენს

პირველი გვერდიდან

ამნისტია, ასევე, არ შეეხება სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელებს, შინაგან საქმეთა, უშიშროებისა და თავდაცვის სამინისტროების დეპარტამენტების, ბიუროების, მთავარი სამმართველოებისა და სამმართველოების უფროსებს და მათ მოადგილეებს. ამნისტიის იმედი არ უნდა ჰქონდეთ საბაჟო დეპარტამენტის რეგიონული საბაჟოების, საბაჟო სამმართველოს და საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელ პირებს, საგადასახადო დეპარტამენტისა და საგადასახადო ინსპექციების ხელმძღვანელებს, ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსებსა და მათ მოადგილეებს, სამხედრო კომისრებს, კონტროლის პალატის თავმჯდომარეს, მის მოადგილეებს და პრეზიდიუმის წევრებს; ეროვნული ბანკის პრეზიდენტსა და საბჭოს წევრებს, ეროვნული უშიშროებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოების წევრებს; მარეგულირებელი კომისიების წევრებს, ცესკო-ს თავმჯდომარეს, მის მოადგილესა და მდივანს; პრეზიდენტის რწმუნებულებს და მათ მოადგილეებს, რაიონებისა და ქალაქების გამგებლებს, ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელებს; მოსამართლეებს, გენერალურ პროკურორსა და მის მოადგილეებს, პროკურატურის და მისი სამმართველოების მაღალჩინოსნებს; საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელებს და მათ მოადგილეებს.

ამნისტია არ გავრცელდება, ასევე, იმ პირებზე, რომლებსაც აქვთ ან ჰქონდათ ხელმძღვანელობითი ან წარმომადგენლობითი უფლებამოსილება საწარმოებში, რომლებშიც სახელმწიფო აქციათა 50-პროცენტს ან მეტს ფლობს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე რომან გოცირიძე მიიჩნევს, აღნიშნული ნუსხა ვრცელია და შემცირებას საჭიროებს. თუმცა, ნუსხის შემცირების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას საპარლამენტო უმრავლესობა მიიღებს.

*24 საათი*

# კახეთის რკინიგზა გაუქმების ზღვარზე დგას

*თუ დღემდე "ახალი მემარჯვენეები" მხოლოდ განათლების მინისტრის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, ამჯერად მათი ყურადღების ობიექტი რკინიგზა ხდება. ამ მხრივ განსაკუთრებით კახელი "ახლები" აქტიურობენ. მათი განცხადებით, წლების განმავლობაში, რეგიონის გლეხკაცობისთვის მატარებელი უფრო იაფ ტრანსპორტს წარმოადგენს, ვიდრე ნებისმიერი სხვა სახის სამგზავრო საშუალება. სწორედ ამიტომ, პარტიის რაიონული ორგანიზაციის წარმომადგენლები კახეთის რკინიგზის გაუქმების წინააღმდეგ გამოდიან. უფრო მეტიც, როგორც "ახლები" აცხადებენ, რკინიგზის გაუქმება ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითად აისახება. ამ ყველაფრის თავი და თავი, როგორც "ახალი მემარჯვენეები" აცხადებენ, საწვავის ბიზნესს უკავშირდება.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

"ახალი მემარჯვენეების" კახეთის რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელები რეგიონის რკინიგზის ბედით მას შემდეგ დაინტერესდნენ, როცა რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ონოფრიშვილმა აღნიშნული უწყების დოტაციაზე გადასვლა მოითხოვა. ამას რეგიონის რამდენიმე რკინიგზის სადგურის გაუქმებაც დაემატა. კერძოდ, წნორის, წინანდლის და კარდენახის მოსახლეობა სადგურის გარეშე დარჩა. როგორც "ახლების" ლიდერები ამბობენ, დღემდე გაუგებარია, თუ რატომ გაუქმდა აღნიშნული რკინიგზის სადგურები. **"ეს სწორედ ის დასახლებული პუნქტებია, სადაც მოსახლეობის 80 პროცენტი სოფლის მეურნეობით არის დაკავებული და მათთვის ერთ-ერთ ხელსაყრელ სატრანსპორტო საშუალებას მატარებელი წარმოადგენს. რაც შეეხება ინფორმაციას რკინიგზის სადგურების გაუქმების შესახებს, ამ ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელი გახდა,"** - აცხადებს "ახალი მემარჯვენეების" გურჯაანის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ზურაბ კანდელაკი.

როგორც "ახლები" ამბობენ, აქ ყველაზე მთავარი პრობლემა ის არის, რომ რკინიგზის გაუქმებით, ქვეყნის ეკონომიკას საფრთხე ემუქრება. მათი განმარტებით, თუ გლეხს მოსავალის ტრანსპორტირება ძვირი დაუჯდება, იგი იძულებული გახდება, თვის მოსავალს ფასი მოუმატოს. მატარებლით გადაადგილება კი სოფლის მოსახლეობას უფრო იაფი დაუჯდება. სწორედ ამიტომ, კახელი "ახლები" სარკინიგზო სადგურების აღდგენას მოითხოვენ. **"ჩვენთვის გაურკვეველია, რატომ უნდა მოხდეს საქართველოს რკინიგზის დოტაციაზე გადასვლა, როცა შევარდნაძე, ჩხაიძე და "მოქალაქეთა კავშირი" ამ ერთი დაწესებულებით არსებობდნენ?"** - კითხულობენ კახელი "მემარჯვენეები".

რეგიონის რკინიგზის გაუქმებას "ახლები" მიზანმიმართულს უწოდებენ. მართალია, პარტიის წევრები კონკრეტული პიროვნებების დასახელებისგან თავს იკავებენ, მაგრამ ამ ყველაფერს ისინი მაინც საწვავის ბიზნესს უკავშირებენ. მათი თქმით, რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის ტარიფების გაზრდაც, შესაძლოა, ამ კამპანიას უკავშირდებოდეს. სწორედ მავანთა და მავანთა ბიზნესინტერესების გამო, როგორც "ახლები" ამბობენ, უახლოეს მომავალში საწვავის ფასის 50 პროცენტით გაზრდაა მოსალოდნელი. **"ეს ყველაფერი მიზანმიმართულია. ამის შედეგია ის, რომ ტვირთების, იგივე ჯართის, ხე-ტყის მატარებლით გადატანა მაღალი ტარიფის გამო ვერ ხერხდება,"** - ამბობენ "ახალი მემარჯვენეების" წარმომადგენლები კახეთში.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ პირველად მატარებელმა კახეთში 1914 წელს გაიარა, ხოლო ბოლოს 2002 წლის 14 აგვისტოს. **"ნუ დავუკარგავთ ამაგს საქართველოს საამაყო შვილს კოტე აფხაზს. მან სული ჩააქსოვა, კახეთს რომ რკინიგზა ჰქონოდა,"** - ამბობენ კახელი "მემარჯვენეები".

# სასამართლომ მერაბ ახობაძის ქონების შეფასებისთვის ექსპერტიზა დანიშნა

საოლქო სასამართლოში საერთო სასამართლოების მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელის მერაბ ახობაძის ქონების კონფისკაციის საკითხთან დაკავშირებით გამწესრიგებელი სხდომა გაიმართა. სასამართლომ ქონების შეფასებისთვის ექსპერტიზა დანიშნა.

პროკურორ ვლადიმერ ხუჭუას განცხადებით, ბრალდება ახობაძისა და მისი ოჯახის წევრების სახელზე რიცხულ ქონებას - თბილისში მდებარე საცხოვრებელ ბინებს (ფანასკერტელისა და ბახტრიონის ქუჩებზე), წავკისსა და ვარკეთილში არსებულ მიწის ნაკვეთებს, ავტომანქანა "შკოდას" და დაახლოებით 100 ათას დოლარამდე საბანკო ანგარიშებს დაუსაბუთებლად მიიჩნევს. თუ სასამართლომ პროკურორის მოთხოვნა დააკმაყოფილა, სადავო ქონება ახობაძეს ჩამოერთმევა და სახელმწიფოს გადაეცემა.

პროცესი ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის შემდეგ განახლდება.

მერაბ ახობაძე საერთო სასამართლოების მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტს 1997 წლიდან ხელმძღვანელობდა. პროკურატურა მას თანამდებობის ბოროტად გამოყენებას ედავება. ახობაძე 2004 წლის ივლისში დააკავეს.

*ინტერ-პრესი*

# ენერგოკრიზისი კინაღამ სასტიკად გამწვავდა

*გუშინ საღამოს სომხურმა მხარემ საქართველოს ელექტროენერგიის მოწოდება შეუწყვიტა. ოფიციალური ვერსიით, ეს სომხეთში რაზდანის ელექტროსადგურის გაჩერებამ გამოიწვია, რის შედეგადაც სომხეთს თავად შეექმნა ელექტროენერგიის დეფიციტი. არაოფიციალური ვერსიით კი, სომხურმა მხარემ საქართველო მაგისტრალური გაზსადენებიდან გაზის "მასშტაბური გაყონვების" გამო დასაჯა, რადგან ამ მიზეზით სომხეთს რუსეთიდან საქართველოზე გავლით იმაზე გაცილებით ნაკლები "ცისფერი ოქრო" მიეწოდება, ვიდრე ეს ან რუსეთის, ან სომხეთის მხარისთვის არის სასურველი. ასეა თუ ისე, ეს საკითხი გუშინ საღამოს ეროვნული უშიშროების საბჭოს განხილვის ერთ-ერთ მთავარ თემადაც იქცა.*

ნიკა მარიამიძე

გუშინ, საღამოს ხუთი საათისთვის სომხურმა მხარემ საქართველოსთვის დენის მოწოდება სრულიად მოულოდნელად შეწყვიტა. სომხეთთან მაკავშირებელი "ალავერდის", "ლალვარისა" და "აშოცკი-ნინოწმინდის" განტვირთვა სწორედ იმ დროს დაემთხვა, როცა "მტკვარი-ენერგეტიკამ" ("რაო ეეს როსიის" კუთვნილი თბილსრესის 300-მეგავატიანი მეცხრე ენერგობლოკი) შეტყობინება გაგზავნა "თელასში" ("რაოს" კუთვნილი თბილისის ელექტროგამანაწილებელი კომპანია), გაზის წნევა დაეცა და ბლოკს ველარ ვამუშავებთო.

არადა, 7 დეკემბრამდე "თბილსრესის" გათიშვას "რაო" ისედაც აპირებდა. საქმე ისაა, რომ დღეიდან ბლოკზე სამდღიანი სარემონტო სამუშაოების ჩატარება იგეგმებოდა, რომელთა აუცილებლობასაც "თელასი" და "მტკვარი-ენერგეტიკის" "რაოელი" მენეჯერები იმით ხსნიდნენ, რომ რუსეთიდან იმპორტის დაწყებამდე საქართველოს ენერგოსისტემა საკმაოდ არამდგრად რეჟიმში მუშაობდა და ამან ბლოკის უმნიშვნელო დაზიანებაც გამოიწვია. "ამიტომაც ვარჩიეთ, ბლოკი წინასაახალწლოდ კი არა, ახლავე გაგვეჩერებინა სამდღიან რემონტზე," - ასე ახსნეს ბლოკის გაჩერების განზრახვა "თელასში". მოსალოდნელი დეფიციტის შესავსებად კი კომპანია რუსეთიდან დენის იმპორტის 60 მეგავატით გაზრდას და დედაქალაქის ცალკეული რაიონებისთვის გრაფიკების დაწესებას აპირებდა.

ახლა, ბუნებრივია, დეფიციტს 60 მეგავატი, მკაცრი გრაფიკების ფონზეც კი, აღარ შეავსებს. ამიტომ, "თელასი" "რაოს" 100 მეგავატი დენის მოწოდებას სთხოვს. შესაბამისი შეტყობინება "რაოში" უკვე გაიგზავნა. "თელასის" ტექნიკურმა მენეჯერმა ალგირდას კირლისმა კი "კრიზისულ პერიოდში ხარჯების გაზრდის გამო" ქართული მხარე დაუყოვნებლივ გააფრთხილა, რომ ამ დროს "თელასის" დენი 50 პროცენტით უფრო ძვირი ეღირება, ვიდრე ჩვეულებრივ. "ეს იმიტომ, რომ იმპორტის მოცულობის გაზრდა დაუგეგმავად განხორციელდა," - განმარტა მან.

სხვათა შორის, "თელასში" ისიც თქვეს, რომ სომხური მხარის გადაწყვეტილება მათთვის მოულოდნელი იყო, რადგან ახლა, თურმე, მათ ხელშეკრულების დარღვევისთვის საჯარიმო სანქციები დაეკისრებათ.

თუმცა, დღეს ეს უკვე სულ ერთია, რადგან რეალურად, ენერგოკრიზისი გამწვავდა და ამ ხარჯების გაღება მთავრობას, ალბათ, მაინც მოუწევს. თუ ასე გაგრძელდა, მალე აღარავის დაებადება კითხვა, თუ რაში აპირებს ენერგეტიკის სამინისტრო იმ თანხების დახარჯვას, რომელსაც ბიუჯეტიდან ითხოვს.

ერთი სიტყვით, ენერგოკრიზისის გამწვავება დაუყოვნებელ მოქმედებას მოითხოვს. ამიტომ, ენერგეტიკის მინისტრმა გუშინ სასწრაფოდ დაიწყო ერევანთან მოლაპარაკება და, პრინციპში, საქმეც სწრაფად "გაჩარხა": საღამოს ათი საათისთვის სომხეთიდან "ალავერდით" დენის მოწოდება ისევ აღდგა. "თელასს" კი ელექტრობალანსში შექმნილი საბედისწერო "გარღვევა", ტრადიციულად, რეგიონების ხარჯზე - "სახელმწიფო ელექტროსისტემიდან" შეუვსეს.

სამაგიეროდ, ენერგეტიკის სამინისტროს კიდევ ერთხელ მოუწევს ყურადღების გადატანა გაზის დანაკარგებზე, კერძოდ კი, ყაზბეგის რაიონში მომრავლებულ სასათბურე მეურნეობებზე. აგრეთვე, საყურადღებო სეგმენტში "თბილგაზის" გაზის ხარჯები და თბილსრესისათვის გაზის მიწოდების საკითხებიც მოექცევა. თბილსრესის სახელმწიფო ბლოკების ჩართვაზე დაწყებული საუბრების წინ ეს თემა კიდევ უფრო აქტუალური გახდება.

დაბოლოს: გუშინ "თელასში" ისიც თქვეს, რომ სომხური მხარის გადაწყვეტილება მათთვის მოულოდნელი იყო, რადგან ახლა, თურმე, მათ ხელშეკრულების დარღვევისთვის საჯარიმო სანქციები დაეკისრებათ.

# საქართველომ "საზღვაო ბანკის" აქტივი დაიბრუნა

საქართველომ "საზღვაო ბანკის" საზღვარგარეთ არსებული 8,4 მილიონი დოლარის აქტივი დაიბრუნა. როგორც "ინტერ-პრესს" ეროვნულ ბანკში აცნობეს, "დოიჩე ბანკში" არსებულ საკორესპონდენტო ანგარიშზე გუშინ 8,4 მილიონი დოლარი ჩაირიცხა. ამით დასრულდა გაჭიანურებული პროცესი, რომელსაც ეროვნული ბანკი "საქართველოს საზღვაო ბანკის" ლიკვიდაციასთან დაკავშირებით თვეების განმავლობაში უცხოურ ბანკთან აწარმოებდა. დავა აღნიშნული ბანკის აქტივებს ეხებოდა.

"თანხის დაბრუნება საქართველოსთვის მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მისი უდიდესი ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტში მიიმართება. თანხებს მიიღებს საქართველოს საგზაო დეპარტამენტი და ბანკის სხვა კრედიტორი ორგანიზაციები" - განაცხადეს ეროვნულ ბანკში.

ეროვნული ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე ამ თანხის ჩარიცხვა ცენტრალური ბანკისა და გენერალური პროკურატურის, ასევე სამართალდამცველი, სასამართლო ორგანოების და იუსტიციის სამინისტროს კოორდინირებული მუშაობის შედეგია.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა "საქართველოს საზღვაო ბანკს" საბანკო საქმიანობის ლიცენზია 2004 წლის 16 მარტს გააუქმა. ლიცენზიის გაუქმების საფუძველს წარმოადგენდა ბანკის მძიმე ფინანსური მდგომარეობა და მოქმედი კანონმდებლობისა და საბანკო ნორმების უხეში დარღვევა. ეროვნული ბანკის ამ გადაწყვეტილების მიუხედავად, სალიკვიდაციო სამუშაოების დაწყება რეალურად შესაძლებელი გახდა მხოლოდ აჭარაში განხორციელებული რევოლუციის შედეგად.

"საზღვაო ბანკი" მაქსიმალურად აფერხებდა ეროვნული ბანკის ამ გადაწყვეტილების აღსრულებას, რის გამოც საჭირო გახდა ხანგრძლივი სასამართლო პროცესის წარმოება მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ბანკთან - "დოიჩე ბანკთან". საბოლოოდ ნიუ-იორკის სასამართლომ 1 დეკემბერს მიიღო დადგენილება, რომლითაც "დოიჩე ბანკს" საქართველოს ეროვნული ბანკის სასარგებლოდ 8 მილიონი დოლარის გადახდა დაეკისრა.

"საქართელოს საზღვაო ბანკს" აქტივები ჰქონდა "დოიჩე ბანკ ტრასტ კომპანი ამერიკაში". ლიკვიდაციის პროცესში კრედიტორების წინაშე არსებული დავალიანების გასასტუმრებლად საჭირო გახდა "საზღვაო ბანკის" აქტივების გამოთხოვა.

*ინტერ-პრესი*

**ს.ს. "თელასი" აცხადებს ტენდერს მ/ძ კაბელების მოწოდებაზე:**

მ/ძ კაბელი АСБ 3X240 - 4500მ
მ/ძ კაბელი АСБ 3X185 - 1500მ
მ/ძ კაბელი АСБ 3X150 - 1500მ
მ/ძ კაბელი АСБ 3X120 - 1050მ
მ/ძ კაბელი АСБ 3X95 - 1200მ

**გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ კაბელები უნდა იყოს ახალი,**
**გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა დაწვრილებითი ინფორმაციის
მისაღებად მოგვმართონ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;
ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება შეუძლიათ განცხადების გამოცხადების დღიდან და დაინტერესების შემთხვევაში, თავიანთ შემოთავაზებები დატოვონ სს "თელასის" კანცელარიაში.
თბილისი, ვანის ქუჩა N3, I სართული.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 13 დეკემბერი.

# ფოთის პორტის ხელმძღვანელი პარლამენტარებს ანგარიშს აბარებს

თამარ ხორბალაძე



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*შეიქმნება საპარლამენტო კომისია, რომელიც პორტის საქმიანობის მონიტორინგს განახორციელებს.*

*გუშინ საქართველოს პარლამენტში ფოთის პორტის ახალი ხელმძღვანელი დაიბარეს და მოსთხოვეს:*
*ტარიფების გაზრდაზე უარის თქმა, მიუხედავად იმისა, ნაკლებია თუ არა არსებული ტარიფები მომსახურების თვითღირებულებაზე;*
*თანამშრომლების შენარჩუნება სოციალური მოტივით, მიუხედავად იმისა, საჭიროა თუ არა თანამშრომელთა ასეთი რაოდენობა პორტის მუშაობისთვის;*
*პორტისთვის არაპროფილური ხარჯების დაფინანსება იგივე სოციალური მოტივაციით, მიუხედავად იმისა, რომ ახალი ხელისუფლების ბრძანებულებების თანახმად, სახელმწიფო საწარმოების ხელმძღვანელებს ასეთი ხარჯების გაწევა ეკრძალებათ;*
*ფოთის მერისთვის და მაჟორიტარისთვის ანგარიშის ჩაბარება განხორციელებულ საკადრო თუ სატარიფო პოლიტიკასთან დაკავშირებით და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ამ მოთხოვნების ხმამაღლა და ღიად გაჟღერება თავის თავზე ფოთის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ექსმერმა რომან მელიამ აიღო, რომლის ინიციატივაც გახლდათ პარლამენტის დარგობრივ კომიტეტში ფოთის პორტის ახალი ხელმძღვანელობის მოწვევა და მისი ახალი სატარიფო პოლიტიკის შესახებ ანგარიშის ჩაბარება.*

თუმცა, სანამ ფოთის მაჟორიტარი ფოთის მერთან ერთად (რომელიც მოგვიანებით სხდომაზე ერთ-ერთი გადამზიდავი კომპანიის წარმომადგენლად მოიხსენიეს) გამოცხადდებოდა, პორტის ახალმა ხელმძღვანელმა პარლამენტარებს განხორციელებული და განსახორციელებელი საქმიანობის ანგარიში ჩააბარა.

მისი ინფორმაციით, უახლოეს დღეებში ფოთის პორტის სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოდ გარდაქმნა და სამეთვალყურეო საბჭოს ფორმირება დასრულდება. ამასთან - თითქმის დასრულებულია მოლაპარაკებები ნავმისადგომების მეიჯარეებთან (შეგახსენებთ, რომ 2003 წელს ნავმისადგომების უმეტესობა 10 წლით იჯარით გაიცა მაშინდელი ხელმძღვანელობის მიერ) 2005 წლიდან იჯარის ქირის გაზრდასთან დაკავშირებითაც.

საბოლოო ჯამში, მიმინოშვილის განცხადებით, დაგეგმილია ფოთის პორტის სამეურნეო და კომერციული სამსახურების კერძო სუბიექტებისთვის გადაცემა გრძელვადიანი (სავარაუდოდ 25 წლიანი) იჯარით. ანუ, როგორც გუშინ გაირკვა, ახალი ხელისუფლება პორტის გაყიდვას აუქციონის წესით არ აპირებს. მომავალში თავად პორტის ადმინისტრაცია ტარიფების ზედამხედველობით, პორტში სახელმწიფო პოლიტიკის გატარებით და მეიჯარეებთან ურთიერთობის დარეგულირებით შემოიფარგლება.

აქვე პორტის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ არ აპირებს პორტში ამუშაოს იმაზე მეტი ადამიანი, ვიდრე პორტის საქმიანობისთვის აუცილებელია;

არ აპირებს გასწიოს სხვადასხვა არაპროფილური ხარჯები - მაგალითად, უახლოეს პერიოდში გადაწყდება, რა ბედი ეწევა საფეხბურთო კლუბს, იახტკლუბსა და ბევრ სხვა დაწესებულებას, რომელთა დაფინანსება პორტს წელიწადში 3 მილიონი დოლარი უჯდებოდა;

აპირებს ფოთის პორტს მიაღებინოს მაქსიმალური მოგება, რისი მიღებაც კი შეიძლება...

რაც შეეხება ტარიფებს, რომელიც გუშინდელი შეხვედრის მთავარი საბაბი გახლდათ - ცხადია, დეპუტატთა აზრით, ტარიფების გაზრდა საქართველოს სატრანზიტო ფუნქციას ნამდვილად ვერ წაადგება. ამასთან დაკავშირებით პორტის ხელმძღვანელი ამბობს, რომ მზადაა, გაითვალისწინოს ამ ბიზნესში სხვა მოთამაშეთა - რკინიგზის, ბათუმის პორტის ინტერესები, თუმცა, არ აპირებს ამის გაკეთებას პორტის კომერციული ინტერესების ხარჯზე.

მიმინოშვილის განცხადებით, პორტის ადმინისტრაცია 1 დეკემბრიდან გენერალურ ტვირთებზე ტარიფების გაზრდას აპირებდა, მაგრამ აღნიშნული საკითხი დროებით გადაიდო. **"გენერალური ტვირთების მომსახურების თვითღირებულება პორტს 8,76 დოლარი უჯდება, როცა რეალურად პორტის ტარიფი 6 დოლარია. ამიტომ ჩავთვალეთ საჭიროდ ტარიფის გაზრდა. თუმცა, გაზრდილი ტარიფის ამოქმედება გადაიდო. ვაპირებთ, "საქართველოს რკინიგზასთან" ერთად ამ გადაწყვეტილებას გადავხედოთ,"** - განაცხადა თემურ მიმინოშვილმა.

თუმცა, მისი თქმით, გადამზიდველებთან შეთანხმებით 1 დეკემბრიდან უკვე გაიზარდა ტარიფები საკონტეინერო ტვირთებზე.

**"შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული მიმართულებით ჩვენ ტარიფები არ გაგვიზრდია, რადგან გადამზიდველებს ამ მიმართულებით სრულიად განსხვავებული სერვისი შევთავაზეთ. აქამდე საკონტეინერო ტვირთების გადაზიდვაზე არსებული ორი მომსახურების ორი განსხვავებული ტარიფი გავაერთიანეთ,"** - განაცხადა მიმინოშვილმა და პარლამენტარებს განუმარტა, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მსგავს მომსახურებაზე 14 დოლარით განსხვავებული ტარიფების არსებობისას არაკეთილსინდისიერი გარიგებების თავიდან ასაცილებლად. პორტის კონკურენტუნარიანობასთან დაკავშირებით კი მიმინოშვილი აცხადებს, რომ შავ ზღვაზე ყველაზე დაბალი ტარიფი ფოთის პორტს აქვს.

სამსაათიან შეხვედრაზე პორტის ხელმძღვანელს სხვა ბევრ კითხვაზეც, მათ შორის - პორტის წარსულ საქმიანობასთან, მერიასთან ურთიერთობის, სადავო მიწასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით მოუხდა პასუხის გაცემა. საბოლოოდ გადაწყდა, რომ შეიქმნება საპარლამენტო კომისია, რომელიც პორტის საქმიანობის მონიტორინგს განახორციელებს.

# GMSE ხელისშემშლელი საკანონმდებლო ბარიერების მოხსნას ითხოვს

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით მიმდინარე საქართველოს მიკროდაფინანსებისა და სტაბილიზაციის პროექტი (GMSE) აგრძელებს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების ინფორმირებას იმ საკანონმდებლო ინიციატივების შესახებ, რომელიც დაეხმარება ქვეყნის მიკროსაფინანსო სექტორის განვითარებას და მოხსნის ამ განვითარების გზაზე არსებულ ბარიერებს.

პროექტის წარმომადგენლებს შეხვედრა ჰქონდათ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარესთან რომან გოცირიძესთან.

3-4 დეკემბერს ბიზნესისა და პარლამენტის საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს მოდელის საკოორდინაციო ჯგუფმა GMSE პროექტთან ერთად განახორციელა საქართველოს მიკროსაფინანსო სექტორისა და მისი პოტენციალის პრეზენტაცია საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლებისათვის.

GMSE-მ გამართა შეხვედრა პროექტის წარმომადგენლებსა და პარლამენტარებს შორის, სადაც განხილულ იქნა მიკროსაფინანსო სექტორის გავლენა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ გარემოზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ საკანონმდებლო ბარიერებს, რომლებიც მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ხელს უშლიან, გააფართოონ თავიანთი ოპერაციების გეოგრაფიული არეალი და დაბალშემოსავლიან მოსახლეობას ახალი ფინანსური პროდუქტები შესთავაზონ. იმავე დღეს ასოციაციის წარმომადგენლებმა და პარლამენტარებმა მოინახულეს საქართველოს წამყვანი არასაბანკო მიკროსაფინანსო ორგანიზაციები "ფინკა-საქართველო" და ფონდი "კონსტანტა", ასევე "თიბისი" ბანკი. გუშინ ისინი ქუთაისში გაემგზავრნენ, სადაც დასავლეთ საქართველოში მოქმედ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და მათი კლიენტების საქმიანობას გაეცნობიან.

ინფორმაციისათვის - საქართველოს მიკროდაფინანსებისა და სტაბილიზაციის პროექტი (GMSE) საქართველოში ერთ წელზე მეტია ახორციელებს მრავალმხრივ პროგრამას, მათ შორის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის გრანტების გაცემას. მისი მიზანია, დაეხმაროს საქართველოს, რათა მიკროსაფინანსო ორგანიზაციები თვითკმარ და ფინანსურად სტაბილურ სტრუქტურებად ჩამოყალიბდნენ.

*24 საათი*

# იტალიის უმსხვილესმა ბანკმა ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის დაფინანსებაზე უარი თქვა

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა კიდევ ერთი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა - იტალიის უმსხვილესმა ბანკმა "Banka Intesa"-მ მის დაფინანსებაზე უარი განაცხადა. ამის მიზეზად პროექტის 400 მილიონი დოლარით გაძვირება სახელდება, რომელიც მშენებლობაზე არსებულმა შეფერხებებმა გამოიწვია.

როგორც ინგლისური გაზეთი "Finacial Times"-ი იუწყება, პროექტის დასრულების წინა სტადიაზე დაგეგმილი იყო რამდენიმე მსხვილი ბანკის გაერთიანება, რომელშიც იტალიური ბანკიც უნდა შესულიყო, თუმცა მან პროექტში თავისი წილის, 60 მილიონი დოლარის ნაწილი უკვე გაყიდა და ახლა დანარჩენის მყიდველს ეძებს. ბანკის წარმომადგენლები მყიდველის ვინაობას არ ასახელებენ.

**"იტალიური ბანკის მოქმედება ადასტურებს, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტს სერიოზული პრობლემები აქვს,"** - წერს გაზეთი.

შეგახსენებთ, რომ ნავთობსადენის პროექტის გაძვირებაზე განცხადება ერთი კვირის წინ აზერბაიჯანის საერთაშორისო ნავთობკომპანიის პრეზიდენტმა ნატიკ ალიევმაც გააკეთა. მისი თქმით, ეს ფაქტი, ძირითადად, არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობების გარკვევამ და მშენებლობაზე დასაქმებული მუშების გაფიცვებმა გამოიწვია. ალიევის განცხადება "ბი-პი"-ს საქართველოს წარმომადგენლობაშიც დაადასტურეს, თუმცა აქვე აღნიშნეს, რომ გაძვირება დასაშვებ 10 პროცენტს არ აღემატება.

ამასთან, გასულ კვირასვე გახდა ცნობილი, რომ დიდი ბრიტანეთის პარლამენტი "ბრიტიშ პეტროლიუმის" საქართველოში, აზერბაიჯანსა და თურქეთში საქმიანობის შესწავლას აპირებს, რაც, ძირითადად, მის უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული.

გარდა ამისა, გასულ კვირას ისიც გახდა ცნობილი, რომ "ერიქსონ მობილმა" ნავთობის ბაქო-ჯეიჰანით ტრანსპორტირებაზე, შესაძლოა, უარი განაცხადოს.

*24 საათი*

# "სამსუნგმა" "მოტოროლას" გადაუსწრო

თორნიკე შარაშენიძე

მობილური ტელეფონების ბაზარზე უმნიშვნელოვანესი გადაადგილება მოხდა. თავისი ახალი მოდელების წყალობით, "სამსუნგმა" გაყიდვების მოცულობით უახლოეს კონკურენტს, ამერიკულ "მოტოროლას" გადაუსწრო და ახლა მეორე ადგილი უჭირავს. ეს კორეული გიგანტის კიდევ ერთი მიღწევაა. სულ რაღაც ორი წლის წინ "სამსუნგი" მობილურების ბაზარზე აუტსაიდერს წარმოადგენდა, მაგრამ მას შემდეგ კომპანიამ არნახული ნახტომი გააკეთა. შთამბეჭდავია ბოლოდროინდელი სტატისტიკა: გასული წლის მესამე კვარტალში "სამსუნგი" ბაზრის 11,2 პროცენტს აკონტროლებდა, ახლა კი ეს მაჩვენებელი 13,8 პროცენტს შეადგენს. თუ გავითვალისწინებთ, რა მძაფრი კონკურენციაა ამ სფეროში და რის ფასად უჯდებათ კომპანიებს ბაზრის თუნდაც ნახევარი პროცენტის მოპოვება, მაშინ ეს მიღწევა კომენტარს, ალბათ, არ საჭიროებს.

პირველ ადგილზე კვლავაც ფინური "ნოკიაა." 90-იანების ბოლოდან მოყოლებული, როცა მან ლიდერის პოზიციიდან "მოტოროლა" გამოდევნა, ეს კომპანია ახლოს არავის იკარებს. წლის დასაწყისში განცდილი მცირე ჩავარდნის შემდეგ, "ნოკიამ" ფასდაკლების მეშვეობით გაყიდვები ისევ გაზარდა და დღესდღეობით ბაზრის 30,9 პროცენტს აკონტროლებს. მართალია, ორიოდე წლის წინ ფინური გიგანტი უფრო წინ იყო, მაგრამ ეს მაჩვენებელიც ერთობ შთამბეჭდავია.

დღემდე "მოტოროლას" უცვლელად ეჭირა მეორე ადგილი და მისი გამოდევნა ნამდვილი სენსაციაა. თუმცა, კომპანიის ჩამოწერა, ჯერჯერობით, ნამდვილად ნაადრევია. ამერიკულმა გიგანტმა უამრავ პერსპექტიულ პროექტში დააბანდა კაპიტალი და სერიოზულ წარმატებებსაც ელის, რომლითაც "ნოკიასათვის" კონკურენციის გაწევასაც კი ვარაუდობს. "მოტოროლას" საბაზრო წილი 14,7-დან 13,4 პროცენტამდე შემცირდა, თუმცა გამორიცხული არ არის, რომ ეს ჩავარდნა კომპანიამ უკვე წლის ბოლომდე აღმოფხვრას, როცა მისი ახალი პროდუქცია ბაზარზე გამოვა. მოკლედ, "მოტოროლა" და "სამსუნგი" დაახლოებით თანაბარ ვითარებაში არიან და დროებით უპირატესობას ის აღწევს, რომელიც ახალ პროდუქციას გამოუშვებს. "სამსუნგმა" მეორე ადგილზე იმის წყალობით გადაინაცვლა, რომ კამერიანი და მონაცემური ფუნქციებით აღჭურვილი მოდელები გაუშვა ახალ ბაზრებზე, მათ შორის - ჩინეთში. მაგრამ ჩინეთში "მოტოროლას" კიდევ უფრო ამბიციური პროექტები აქვს წამოწყებული და იგი რამდენიმე თვეში იტყვის თავის სათქმელს. ასე რომ, "სამსუნგის" წარმატება შეიძლება დროებითი იყოს. მაგრამ ერთიცაა: კორეული გიგანტი ისეთი ტემპებით მიიწევს წინ, რომ რაიმე პროგნოზის გაკეთება რთულია.

საერთოდ კი, მობილურების გაყიდვა მსოფლიო მასშტაბით გაიზარდა. გაყიდვებმა აიწია ცენტრალურ ევროპაში, აზიასა და ახლო აღმოსავლეთში. ერთადერთი დიდი ბაზარი, სადაც გაყიდვები დაეცა, იაპონიაა. ეს გასაკვირი არცაა: მობილურებში ახალი ტექნოლოგია დაახლოებით ერთი წელია, აღარ გამოჩენილა. ახალი ტექნიკა პირველად იაპონიაში ჩნდება და იქ ყველაფერი ათვისებულია. აი, ცენტრალურ ევროპაში, აზიასა და ახლო აღმოსავლეთში კი ტექნოლოგია უფრო მოგვიანებითაც შედის და მოსახლეობის შემოსავალიც არაა ისეთი მაღალი, რომ ახალი, ძვირი პროდუქცია შეიძინოს.

მობილური ტელეფონების მსოფლიო ბაზარი დღეს ასე გამოიყურება:
ნოკია - 30,9 პროცენტი
სამსუნგი - 13,8 პროცენტი
მოტოროლა - 13,4 პროცენტი
სიმენსი - 7,6 პროცენტი
ელჯი - 6,7 პროცენტი
სონი ერიქსონი - 6,4 პროცენტი
სხვები - 21,2 პროცენტი

# რუსეთის ჰეგემონობისაკენ სწრაფვის დასასრული

*უკრაინის "ნარინჯისფერ" მღელვარებას შედარებით ნელა, თუმცა, საბოლოო ჯამში, მაინც მოაქვს შედეგები. მართალია, ერთი დღით ადრე კუჩმა და პუტინი ერთხმად ირწმუნებოდნენ, რომ განმეორებითი კენჭისყრის ჩატარება სრული უაზრობაა, მაგრამ ეს "სრული უაზრობა" გუშინ რეალობად იქცა. ის მოსამართლეები კი, ვინც თავისი გადაწყვეტილებით ასეთი პრეცედენტის შესაძლებლობა შექმნა, გუშინ თავისუფლების მოედანზე ხალხმა ლამის გმირებად გამოაცხადა.*



*ადვილი წარმოსადგენია, აგერ უკვე მე-12 დღე სიცივეში მომლოდინე ხალხისთვის როგორი სასიხარულო იქნებოდა ეს გამარჯვება.*

უკრაინის უზენაესმა სასამართლომ გააბათილა საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შედეგები და განმეორებითი კენჭისყრის ჩატარების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. ოპოზიციის განმარტებით, კანონი ამ თარიღის სამი კვირის ვადაში დანიშვნას ითვალისწინებს, ანუ 26 დეკემბერს..

"ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უნდა დანიშნოს განმეორებითი კენჭისყრის თარიღი...5 დეკემბრიდან კანონის თანახმად ათვლით", - ამბობს სასამართლოს თავმჯდომარე ანატოლი იარემა.

"ცესკოს-ს ქმედებები და გადაწყვეტილებები საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შედეგებთან დაკავშირებით უკანონოა", - განაცხადა იერემამ. "სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება," - ასეთი იყო გუშინ უკრაინის უზენაესი სასამართლოს ვერდიქტი.

"ნარინჯისფერთა" ზეიმი სასამართლო დარბაზშივე დაიწყო. ადვილი წარმოსადგენია, აგერ უკვე მე-12 დღე სიცივეში მომლოდინე ხალხისთვის როგორი სასიხარულო იქნებოდა ეს გამარჯვება.

"ეს მოედანზე მდგარი ხალხის დიდი გამარჯვებაა, დიადი გამარჯვება უკრაინული დემოკრატიისთვის", - ასე აფასებდა სასამართლოს გადაწყვეტილებას გამოქვეყნებიდან რამდენიმე წუთში ოპოზიციის ადვოკატი მიკოლა კატერინჩუკი.

"უკრაინა სრულფასოვანი დემოკრატიული სახელმწიფოა", - ისმოდა გუშინ თავისუფლების მოედანზე. "გეყოთ ვაჟკაცობა და წადით, ნუღარ სტანჯავთ თქვენს ხალხს," - მოუწოდებდა კუჩმასა და იანუკოვიჩს სახალხო ლიდერი მოედანზე შეკრებილი ათი ათასობით უკრაინელის წინაშე.

21 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შემდეგ დაწყებული უკრაინის კრიზისი ამ ქვეყნის პოლიტიკურ ევოლუციაში გადამწყვეტ მომენტად მოგვევლინა და რეალურად მართლაც ასეთს წარმოადგენს. შექმნილი ჩიხური მდგომარეობიდან ერთადერთ გონივრულ, კომპრომისულ გამოსავლად, მეორე ტურის განმეორებითი კენჭისყრა შეიძლებოდა გამხდარიყო - ამჯერად, ბუნებრივია, გაყალბების გარეშე - ვიქტორ იუშენკოსა და ვიქტორ იანუკოვიჩის მონაწილეობით. თუმცა კუჩმა ყველა გზებით ცდილობდა ახალი არჩევნების (შესაბამისად ახალი კანდიდატებით) ორგანიზებას.

ამ პოლიტიკური კრიზისის დროს გამძლეობის გამოცდას გადიოდნენ არა მარტო უკრაინელები, არამედ ის ძალებიც დასავლეთში, რომლებიც აცხადებდნენ, რომ დემოკრატიის დასაცავად არაფერს დაიშურებდნენ. გადასაწყვეტი იყო ამ გლობალურ დაპირისპირებაში მიატოვებდა თუ არა დასავლეთი უკრაინას? მიიღებდა თუ არა დასავლეთი, რომ უკრაინა რუსეთის გავლენის სფეროა და მოსთხოვდა თუ არა პასუხს ვლადიმირ პუტინს, თუ მისი "მეგობარი" კუჩმა როგორმე მაინც მოახერხებდა თავისი მემკვიდრის პრეზიდენტის ტახტზე აყვანას?

გუშინდელ დღემდე ძალიან ძნელი იყო ამ კითხვებზე პასუხი. რასაკვირველია, არც გუშინდელი სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ შეიძლება ჩაითვალოს, რომ ყველაფერი უკვე დამთავრდა. მაგრამ, 3 დეკემბერი, როგორც გადამწყვეტი თარიღი, უკვე ჩაიწერა უკრაინის ისტორიაში.

გუშინ ამერიკულ "უოლ სტრით ჯორნალ"-ში რამდენიმე სტატია მიეძღვნა უკრაინის თემას, მათ შორის ერთი თავად იუშენკოს ეკუთვნოდა. მგონი, საჭირო არ არის იმაზე საუბარი, რომ თითოეულ მათგანში უმკაცრესადაა გაკრიტიკებული რუსეთის როლი უკრაინაში მიმდინარე მოვლენებში. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ კრიზისის დაწყებიდან დასავლურ მედიას რუსეთის, უფრო სწორედ კი ვლადიმირ პუტინის მისამართით კრიტიკული გამონათქვამები არ დაუშურებია. ბოლო დროს უკვე საკმაოდ აშკარა ბრძოლა უკრაინისთვის საყოველთაო გაღიზიანებას იწვევდა. ძნელია, არ გაგაღიზიანოს პუტინის ქცევამ - მან თავის რჩეულ იანუკოვიჩს პირველმა (თავად კუჩმამდეც კი) მიულოცა, თუმცა იცოდა, რომ მოვლენების ასეთ განვითარებას უკრაინელი ხალხი არ დაუშვებდა. "უკრაინული დემოკრატიის დაბადება და კანონის უზენაესობის გამარჯვება, - ასე აფასებდა გუშინ "Freedom House"-ის წარმომადგენელი ადრიან კარატნიკი, - ეს არის რუსეთის ჰეგემონობისაკენ სწრაფვის დასასრული".

სასამართლოს გადაწყვეტილებას გამოეხმაურა აშშ-ც და განაცხადა, რომ ახლა მთავარია, განმეორებითი კენჭისყრა თავისუფალი და სამართლიანი იყოს. გუშინდელი გადაწყვეტილება დადებითად შეაფასა ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა ტერი დევისმაც. "მივესალმები უკრაინის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გზას სახავს, - ამბობს ტერი დევისი, - მე სრულად ვემხრობი სასამართლოს მოთხოვნას უკრაინელი ამომრჩევლის ნების თავისუფლად გამოხატვის შესახებ. მოვუწოდებ ყველა მხარეს, ყველაფერი გააკეთონ ამ გადაწყვეტილების განხორციელების მიზნით".

თუმცა, ერთი პრობლემა შესაძლოა, მაინც წარმოიშვას. გუშინ ვრცელდებოდა ხმები, რომ განმეორებით არჩევნებში მონაწილეობაზე შეიძლება, სიტუაციის გამწვავების მიზნით, იანუკოვიჩმა უარი განაცხადოს. მართალია, ასეთი ნაბიჯის გადადგმას მას არავინ (დასავლელი მედიატორები პირველ რიგში) არ მოუწონებს.

სავარაუდოდ, ყველაფერი უკვე დღეს გაირკვევა. მანამდე კი უკრაინის უმაღლესი რადას სპიკერის, ვლადიმირ ლიტვინის თქმით, უკრაინელმა პარლამენტარებმა საკითხის იურიდიული მხარე უნდა მოაგვარონ. კერძოდ, რადამ უნდა შეიტანოს ცვლილებები კანონში "უკრაინის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ" და, რაც მთავარია, ქვეყნის კონსტიტუციაში უნდა იქნეს შეტანილი შესწორებები. შესაძლოა, რადამ დღეს ყბადაღებული "პოლიტრეფორმის" შესახებაც მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც კონსტიტუციაში შესწორებების გზით პრეზიდენტის უფლებამოსილებას შეამცირებს და პარლამენტისას გაზრდის. სწორედ ამის შესახებ საუბრობდნენ პრეზიდენტთან გუშინ შეკრებილი საპარლამენტო ფრაქციები. თუმცა, თუ თავად ლიტვინს დავუჯერებთ, საეჭვოა, დღეს რადაში ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის მომხრეთა საჭირო რაოდენობა აღმოჩნდეს.

## ორი სიტყვით

**ფილიპინები.** ფილიპინების აღმოსავლეთ ნაწილში ძლიერი ქარიშხლის "ნანმადოლ"-ის მოქმედების შედეგად, ოფიციალური მონაცემებით, 200 000 ადამიანი დაზარალდა. სტიქიის მიერ მიყენებული მატერიალური ზარალის რაოდენობამ კი ათეულობით მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა. ქვეყნის პრეზიდენტმა გლორია მაკაპაგალ აროიომ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა ფილიპინების 7 აღმოსავლურ პროვინციაში. მან სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაზარალებული მოსახლეობისათვის პირველადი დახმარების გაწევის მიზნით 16 მლნ აშშ დოლარი გამოყო. მაშველთა რაზმებმა უკვე ასობით მოქალაქის გვამი აღმოაჩინა. უკანასკნელი მონაცემებით, დასტურდება 527 მოქალაქის გარდაცვალება ქარიშხლით გამოწვეული წყალდიდობის შედეგად, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება 352 ადამიანი. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**ბოსნია-ჰერცეგოვინა.** ბელგრადის სააგენტოს "ბეტა"-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სარაევო-რომანული კორპუსის გადამდგარი ბოსნიელი გენერალი დრაგომირ მილოშევიჩი თავისი ნებით ჩაბარდა პარასკევს ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალს. მილოშევიჩს სამხედრო დანაშაულის მუხლით ბრალდება ჯერ კიდევ 1998 წლის მარტში წაუყენეს, მაგრამ შემდგომი გამოძიებისათვის 2001 წლამდე ბრალდება დროებით "გაყინეს". სარაევოში ორდღიანი ვიზიტით მყოფმა ჰააგის ტრიბუნალის მთავარმა პროკურორმა კარლა დელ პონტემ დაადასტურა ზემოაღნიშნული ფაქტი და განაცხადა, რომ "მილოშევიჩს სერბეთიდან ჰააგაში გადაიყვანენ." **რია-ნოვოსტი**

■ ■ ■

**უკრაინა.** უკრაინის უმაღლესი რადას გადაწყვეტილებით მოქმედმა პრეზიდენტმა ერაყიდან უკრაინული კონტინგენტი უნდა გამოიწვიოს. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ამგვარი ნაბიჯი გამოწვეულია ერაყში ვითარების გართულებით, რასაც სამხედრო მოქმედებებში უკრაინული სამშვიდობოების ჩართვა მოჰყვა. აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა 257 დეპუტატმა. დღესდღეობით, ერაყში დისლოცირებულია დაახლოებით 1 600 უკრაინელი სამხედრო მოსამსახურე. **რია-ნოვოსტი**

■ ■ ■

**ევროპა.** გაფართოებული ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოების რუსულენოვანი მოსახლეობა "ევროპის რუსული პარტიის" შექმნას აპირებს. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია გავრცელდა ბრიუსელში საერთაშორისო კონფერენციის "რუსულენოვანი მოსახლეობა გაფართოებულ ევროკავშირში" მსვლელობისას. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ბალტიის ქვეყნების წარმომადგენლები. ესტონეთის რუსული პარტიის წარმომადგენლის გენადი აფანასიევის თქმით, პრობლემა მხოლოდ თანამოაზრეების მოძიებასა და "ევროპის რუსული პარტიის" ჩამოყალიბების შესაძლებლობების შესწავლაა, რასაც მოჰყვება მისი წესდებისა და პროგრამის შემუშავება. ესტონეთის მაგალითზე დაყრდნობით, აფანასიევმა აღნიშნა, რომ ესტონეთში მცხოვრები რუსულენოვანი მოსახლეობა, რომელსაც არა აქვს ამ ქვეყნის მოქალაქეობა და ასევე რუსეთის მოქალაქეები, რომელთა რაოდენობა 120 000-ს აღწევს, არ არიან წარმოდგენილნი არც ერთი ოფიციალური ორგანიზაციით და შესაბამისად არ აქვთ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების უფლება. ფორუმის მონაწილე ლატვიის საპარლამენტო ფრაქციის წარმომადგენლის იაკობ პლინერის განცხადებით კი, ბალტიის ქვეყნების რუსულენოვან მოსახლეობასთან ევროპის დამოკიდებულებაში ჯერ კიდევ იგრძნობა ორმაგი სტანდარტები.

"რუსულენოვანი მოსახლეობა გაფართოებულ ევროპაში" კონფერენციაში მონაწილეობდნენ ბალტიის ქვეყნების, ჩეხეთის, კვიპროსის, ნორვეგიის, საფრანგეთის, გერმანიის, დანიის, უნგრეთის, საბერძნეთის, ფინეთისა და ბელგიის წარმომადგენლები. **რია-ნოვოსტი**

■ ■ ■

**ერაყი.** ერაყის დედაქალაქის ჩრდილოეთში, ადჰამიის რაიონში შიიტური მეჩეთის ახლოს მომხდარი აფეთქების შედეგად 23 ადამიანი დაიღუპა. როგორც ვარაუდობენ, ასაფეთქებელი მოწყობილობა ავტომანქანაში იყო დამონტაჟებული. რამდენიმე საათში აღნიშნულ აფეთქებას ქალაქის სამხრეთ-დასავლეთში პოლიციის განყოფილებაზე შეიარაღებული დაჯგუფების თავდასხმა მოჰყვა. თავდამსხმელებმა გაათავისუფლეს დაკავებულები და წაიღეს იარაღი. შტურმის შედეგად 10 პოლიციელი დაიღუპა. თვითმხილველთა თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შემთხვევები ბაღდადში ხშირად ხდება, აღნიშნული ორი შემთხვევა თავისი სისასტიკით ყველას აღემატება. **24 საათი**

■ ■ ■

**აზერბაიჯანი.** პარლამენტის ვიცე-სპიკერს ზიაფეტ ასკეროვს ეჭვი აქვს, რომ ოპოზიცია "უკრაინული და ქართული ვარიანტით" ხელისუფლების შეცვლას ამზადებს. აზერბაიჯანის მილი-მეჯლისის (პარლამენტის) სხდომაზე ვიცე-სპიკერმა ოპოზიციური სახალხო ფრონტის წარმომადგენელს შემდეგი სიტყვებით მიმართა: "გაცნობებთ, რომ ალი ქერიმლი - იმ პარტიის თავმჯდომარე, რომელსაც თქვენ ეკუთვნით, ორგანიზაცია "პორას" სპეციალური ფინანსური დახმარების ფონდიდან ფინანსდება და აზერბაიჯანში უკრაინული და ქართული ვარიანტების განხორციელებას ესწრაფვის". "იცოდეთ, არ გამოგივათ," - აღნიშნა ასკეროვმა. მან არასამთავრობო ორგანიზაციები აზერბაიჯანის ოპოზიციის დაფინანსებაში დაადანაშაულა. "ადამიანის უფლებათა დაცვის საბაბით არასამთავრობო ორგანიზაციათა უმრავლესობა აზერბაიჯანული სახელმწიფოს ფუნდამენტს ანგრევს და ოპოზიციას უჭერს მხარს," - ამბობს ვიცე-სპიკერი. **ინტერ-პრესი**

# ვლადიმირ პუტინის აზიური ტურნე

## რუსეთ-ინდოეთის სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა

ნინო გომართელი

*ლათინოამერიკული ტურნედან ათი დღის შემდეგ, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი აზიურ ტურნეში გაემგზავრა. ის ინდოეთში ორ ქვეყანას შორის სტრატეგიულ თანამშრომლობაზე ისაუბრებს, რის შემდეგაც თურქეთში გაემგზავრება. კრემლში ორივე ვიზიტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, ინდოეთი არა მარტო რუსეთის შეიარაღების მსხვილი იმპორტიორი, არამედ ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორიცაა.*
*რაც შეეხება თურქეთს, კრემლში აღნიშნულ ვიზიტს ისტორიულიც კი უწოდეს, რადგან იქ რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელს 2000 წლიდან ელიან. აქამდე, თურქეთში ოფიციალური ვიზიტით ბორის ელცინიც კი არ ჩასულა.*



*ორი ქვეყნის მეთაურთა შეთანხმებით, რუსული "გაზპრომი" ინდოეთის ოკეანესაც მისწვდება.*

ოფიციალური სამდღიანი ვიზიტი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ინდოეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელთან ნატვარ სიკხთან შეხვედრით დაიწყო.

ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ იგი "რუსეთის ძველი მეგობარია" და მაღალი შეფასება მისცა დელიში რუსეთის ვიცე-პრემიერ ალექსანდრ ჟუკოვსა და ლაოსში რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელთან სერგეი ლავროვთან გამართულ მოლაპარაკებებს, რომლის დროსაც განიხილებოდა ტერორიზმთან ბრძოლა, თავდაცვის სფეროში თანამშრომლობა და ისლამთან დაკავშირებული საკითხები. "მე აღნიშნული მოლაპარაკებებით კმაყოფილი ვარ," - აღნიშნა ინდოეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

თავის მხრივ, ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთსა და ინდოეთს შორის სრული ურთიერთგაგება არსებობს. მისი თქმით, ეს ეხება როგორც ქვეყნებს შორის ორმხრივი თანამშრომლობის სფეროებს, ისე საერთაშორისო არენაზე ურთიერთობებს.

ვლადიმირ პუტინმა შეხვედრა გამართა ინდოეთის პრემიერ-მინისტრთან, მანმოჰან სინგჰთანაც. როგორც პუტინმა განაცხადა, უახლოეს მომავალში ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა იგეგმება. "სამი-ოთხი თვის განმავლობაში ჩვენ აღნიშნული პრობლემის მოგვარებას შევძლებთ," - აღნიშნა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა, რაც, რიგი ექსპერტების აზრით, შესაძლოა, რუსეთში შექმნილი იარაღის ინდოეთში წარმოების მანიშნებელი იყოს.

თავის მხრივ, ინდოეთის მთავრობის ხელმძღვანელმა დაამატა, რომ ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან დაკავშირებული საკითხები უკვე მოგვარდა.

"ინტელექტუალური საკუთრების უფლებები ყველა სამომავლო შეთანხმებაში იქნება დაცული. რაც შეეხება ადრე ხელმოწერილ დოკუმენტებს, ისინი იმ პირობების შესაბამისად შესრულდება, რაც მათი ხელმოწერის დროს მოქმედებდა," - განაცხადა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა.

მისივე თქმით, მოგვარებულია ყველა პრობლემა, რაც უკავშირდება რუსეთსა და ინდოეთს შორის სამხედრო-ტექნიკურ თანამშრომლობას. "ჩვენი თანამშრომლობა წინ მიიწევს. მართალია, იყო პრობლემები სათადარიგო ნაწილების ჩამოტანასთან დაკავშირებით, მაგრამ ყველა ეს პრობლემა ამჟამად მოგვარებულია. შევთანხმდით, რომ ჩვენი ურთიერთობა უნდა გასცდეს მყიდველისა და გამყიდველის ურთიერთობების ფარგლებს. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ ერთობლივ სამეცნიერო კვლევებზე, ერთობლივი საწარმოების შექმნაზე," - განაცხადა მანმოჰან სინგჰმა.

ორმხრივი თანამშრომლობის პრიორიტეტულ საკითხად, როგორც რუსეთი, ისე ინდოეთი, ენერგეტიკის სფეროს მიიჩნევს.

მხარეები შეთანხმდნენ, ითანამშრომლონ ნავთობისა და გაზის ახალი საბადოების ერთობლივად შექმნაზე, ასევე ორმხრივად, ენერგეტიკულ სექტორში ორივე ქვეყნის კომპანიების ინვესტიციების წახალისებასა და თანამშრომლობაზე.

ამასთან, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის ინდოეთში ვიზიტისას ათზე მეტ დოკუმენტს მოეწერა ხელი. ორი ქვეყნის ლიდერთა თანდასწრებით ხელი მოეწერა სამეცნიერო კვლევის საკითხში თანამშრომლობის და კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი მიზნისთვის გამოყენების, ასევე რუსეთის გლობალური ნავიგაციური სატელიტური სისტემის სამშვიდობო მიზნებით გამოყენების და მის განვითარებაზე ერთობლივად მუშაობის შესახებ შეთანხმებებს.

ამასთან, ხელი მოეწერა შეთანხმებას სანკტ-პეტერბურგსა და მუმბაის ადმინისტრაციებს შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, ასევე, სამსახურეობრივი და დიპლომატიური პასპორტების მფლობელთათვის ორმხრივად სავიზო რეჟიმის გაუქმების შესახებ შეთანხმებას და სხვა ეკონომიკური ხასიათის მნიშვნელოვან დოკუმენტებს.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი გუშინ სიტყვით გამოვიდა ჯავაჰარლალ ნერუ-ს ფონდში, სადაც მსოფლიო მნიშვნელობის რამდენიმე საკითხს შეეხო.

**"ჩვენ შეშფოთებით ვადევნებთ თვალს ერაყში აქტიური სამხედრო მოქმედებების მიმდინარეობას და მსხვერპლის ზრდას. ეს ყველაფერი, რასაკვირველია, მომავალი წლის დასაწყისში იქ სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარების შესაძლებლობას სერიოზულ ეჭვქვეშ აყენებს"**, - თქვა მან.

მანვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარშემო ბოლო დროს ატეხილ აჟიოტაჟზე კომენტარი გააკეთა და აღნიშნა, რომ არ ეთანხმება განცხადებას, თითქოს ამ ორგანიზაციას თანამედროვე გამოწვევებზე ეფექტური რეაგირების მოხდენა დღეს არ ძალუძს.

**"საქმე ეხება არა გაერო-ს მექანიზმების მოქმედებას, არამედ თავად სახელმწიფოთა მზადყოფნას - ერთად იმუშაონ საერთო მიზნისათვის,"** - განაცხადა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა.

მანვე შეშფოთება გამოთქვა საერთაშორისო ურთიერთობებში ერთპოლუსიანი სისტემის ჩამოყალიბების მცდელობის გამო და აღნიშნა: **"საკმაოდ სახიფათოა მცდელობა, ღმერთის მიერ შექმნილი მრავალმხრივი თანამედროვე ცივილიზაცია გარდაიქმნას ყაზარმული პრინციპის ერთპოლუსიან მსოფლიოდ."**

ინდოეთში ვიზიტისას ვლადიმირ პუტინს დაგეგმილი აქვს შეხვედრები ინდოეთის პრეზიდენტთან, თავდაცვის, ნავთობისა და გაზის მინისტრებთან. ამასთან, პოლიტიკურ წრეებთან შეხვედრის გარდა, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს საუბრები ექნება რამდენიმე მსხვილი საწარმოს ხელმძღვანელებთან. ნიუ-დელიში იგი გაეცნობა "ბრამოსის" კორპორაციის მუშაობას, ბანგალორში კი კომპანია "ინფოსის" შტაბ-ბინას და საავიაციო კორპორაცია "ჰალ"-ს მოინახულებს. იგი, ასევე, მონაწილეობას მიიღებს ინდოეთის ბიზნესსტრუქტურის წარმომადგენლების შეხვედრაში.

# ცვლილებები 900 დაუკმაყოფილებელი განცხადების სასარგებლოდ

*საქართველოში არსებულ ბავშვთა სახლებში ხუთი ათასზე მეტი ბავშვი ცხოვრობს. მათ შორის ბევრია ისეთი, ვისაც მშობელი თვალითაც არ უნახავს, დედის ხმა მხოლოდ ტელეფონით მოუსმენია და ისიც ექვს თვეში ერთხელ. ისეთებიც არიან, ვისაც ტელეფონზე დამრეკავი ახლობელიც კი არ ჰყავს. ბავშვთა სახლებში მისულ სტუმარს სითბოს მოწყურებული პატარები კალთებზე ეკიდებიან, - წაგვიყვანეთო; არადა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და თბილისის განათლების განყოფილებაში ბავშვის შვილად აყვანის მსურველთა 900-მდე დაუკმაყოფილებელი განცხადება დევს.*

ნანა ქადაგიშვილი

### შარშან 150 ქართველი ბავშვი უცხოეთში გააშვილეს

თავის დროზე შვილად აყვანის წესის შესახებ კანონის ამოქმედებამ უზედამხედველო ბავშვთა გაშვილების (განსაკუთრებით, საზღვარგარეთ) უკონტროლო პროცესი, გარკვეულწილად, დაარეგულირა. 1998 წელს, აღნიშნული კანონის ამოქმედებიდან ერთი წლის შემდეგ, უცხოეთში გაყვანილი, ფაქტობრივად, გაყიდული ქართველი პატარების რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. მაგალითად, 1998 წელს მხოლოდ სამი ბავშვი გააშვილეს, როცა კანონის ამოქმედებამდე, 1997 წელს 200 ბავშვი იყო უცხოეთში გაყვანილი; თუმცა, 2002-2003 წლებში მათი რაოდენობა ისევ გაიზარდა. შარშან საზღვარგარეთ 150 ბავშვი გააშვილეს და აქედან მხოლოდ ორი იყო ავადმყოფი. ამისი მიზეზი გახლავთ ნაჩქარევად მიღებულ კანონში დატოვებული ე.წ "ხვრელები", სადაც კანონის დარღვევის მსურველი იოლად "ძვრება".

ქართველი ბავშვების საზღვარგარეთ გაშვილების ხერხები ჩვენი საზოგადოებისათვის უკვე კარგად ნაცნობი თემაა. [illegible] ქართველ დედებს შვილების უცხოეთში გაშვილებას [illegible] სთავაზობენ და ასეთი "ბიზნესით" საკმაო ფულსაც შოულობენ. [illegible] როგორც ჩვენთვის ცნობილია, უცხოელი ქართველ ბავშვში 30-50 ათას დოლარს იხდიან, ტყუპებში კი - 70 ათას დოლარს. [illegible] განათლებისა და მეცნიერების სამინისტროშიც, [illegible] მაგრამ სამინისტრო 2003 წლის აგვისტომდე მაინც იძულებული იყო, უცხოეთში ბავშვის გაშვილების ნებართვა გაეცა.

2003 წლამდე, შვილად აყვანის წესის შესახებ კანონის მიხედვით, საქართველოს შიგნით და უცხოეთში ბავშვების გაშვილებას ერთნაირი პროცედურა სჭირდებოდა - ანუ, მშობლის ნებართვით, ბავშვის ნებისმიერ ქვეყანაში გაშვილების უფლება ჰქონდათ. განათლებისა და მეცნირების სამინისტრო ბოლო წლებში უცხოეთში გაყვანილი პატარების რაოდენობის ზრდას ამით ხსნის. 2003 წელს შვილად აყვანის წესის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანა ამიტომაც გახდა საჭირო. დღეს ბავშვის პირდაპირი წესით (მშობლის სურვილით) გაშვილება მხოლოდ ქვეყნის შიგნით არის ნებადართული. თუმცა, როგორც ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საპარლამენტო კომიტეტში აცხადებენ, აღნიშნულ კანონში კიდევ ბევრი რამაა შესაცვლელი.

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, კომიტეტი შვილად აყვანის წესის შესახებ კანონში შესატან ცვლილებებს ამზადებს. მართალია, აღნიშნულ კანონში ცვლილება-დამატებების შეტანა, უპირველესად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, როგორც კანონის შემსრულებელი ორგანოს, პრეროგატივაა, თუმცა, თუკი საპარლამენტო კომიტეტი [illegible] უცხოელს მხოლოდ იმ შემთხვევაში გაეშვილდება, თუკი იგი შესაბამისი უწყების საინფორმაციო ბანკში აღრიცხვაზე აყვანიდან ექვსი თვის განმავლობაში საქართველოში არავინ იშვილა და ქართველი მშვილებელი ოჯახების წერილობითი უარიც არსებობს. [illegible] ად აყვანის წესის შესახებ კანონი კი დღეს ამას არ ითვალისწინებს.



*საქართველოს პარლამენტში მზადდება სერიოზული ცვლილებები შვილობილად აყვანის შესახებ კანონში შესატანად.*

ბესო [illegible] ფოტო

### ხარვეზები კანონში და კანონს მიღმა

არსებული კანონმდებლობა სერიოზულ დაბრკოლებებს უქმნის ბავშვების ქვეყნის შიგნით გაშვილების პროცესსაც. [illegible] ბავშვთა სახლში [illegible] 43 ბავშვთა სახლში დღეს ხუთი ათასამდე ბავშვი ცხოვრობს. [illegible] ბავშვის შვილად აყვანის მსურველი ოჯახების 900-მდე დაუკმაყოფილებელი განცხადება უდევს. თბილისში სამ თვეში ერთხელ - ერთი ბავშვი, დანარჩენ რეგიონებში კი წელიწადში სამი ბავშვი თუ გაშვილდა, მადლობა უნდა ვთქვათ. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ კანონმდებლობაშია საძიებელი.

კანონის მიხედვით, როცა დედა ბავშვს ტოვებს და უმისამართოდ იმალება, სახელმწიფო ვალდებულია, ჩვილ ბავშვთა სახლში გადაყვანილი პატარას მშობლის გამოჩენას ექვსი კვირის განმავლობაში დაელოდოს. თუ დედა ამ ხნის განმავლობაში გამოჩნდება და შვილის გაშვილებაზე თანხმობას წერილობით დაადასტურებს, პრობლემა იხსნება. თუმცა, გაქცეული დედები, ძირითადად, უკან აღარ ბრუნდებიან. ასეთ შემთხვევაში, ბავშვის გასაშვილებლად საჭიროა, მისი დედა უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადდეს. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ადამიანი უგზო-უკვლოდ დაკარგულად მაშინ ცხადდება, როცა საცხოვრებელ ადგილას ორი წლის განმავლობაში არ გამოჩნდება. სამშობიაროდან გაქცეული დედის მისამართის დადგენა, მით უმეტეს, ჩაწერის ინსტიტუტის გაუქმების შემდეგ, სამართალდამცავ ორგანოებსაც უჭირთ და ბავშვზე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებსაც. ამიტომ, მიტოვებული პატარა ორი წლის განმავლობაში ბავშვთა სახლში რჩება. ამასობაში, პატარები ხშირად ავადდებიან. როცა ერთი ძიძა 20 ბავშვს 30 ლარად უვლის, ასეთი რამ გამორიცხული არ არის. მაგალითად, თბილისის განათლების განყოფილებას აღრიცხვაზე აყვანილი ჰყავს ორი ბავშვი, რომელთაგან ერთის დედას ვერ მიაკვლიეს, მეორის დედა კი თურქეთში აღმოჩნდა. არადა, ამ ბავშვების შვილად აყვანის მსურველები გამოჩნდნენ, მაგრამ დედების ნებართვის მიღებამდე ეს ვერ მოხერხდა.

შვილად აყვანის შესახებ კანონში შესატანილი ცვლილებები ამ პროცესის დარეგულირებასაც ითვალისწინებს. "თუკი დედა გარკვეული პერიოდის განმავლობაში მიტოვებულ შვილს არ მიაკითხავს, ბავშვი გაშვილებას უნდა დაექვემდებაროს. ამისთვის ექვსი კვირის ვადა თუ მცირე დროა, რვა-ათ კვირამდე გავზარდოთ, მაგრამ არა - ორ წლამდე", - ამბობს ჟორჟოლაძე.

კანონში შესატანი ცვლილებების საბოლოო ვარიანტის მომზადებამდე ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტს, ალბათ, მოუწევს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობა. სამინისტროს საკუთარი წინადადებები აქვს. არსებული კანონის მიხედვით, ბავშვის გაშვილებისას პრიორიტეტი იმ ადგილის მცხოვრებს ენიჭება, სადაც ბავშვის მიტოვება მოხდა. "ამიტომაც, ბავშვების გაშვილება, ძირითადად, თბილისის მოქალაქეებზე ხდება. რაიონებიდან შემოსული 600-მდე განცხადება კი წლობით გვიდევს. ეს პრობლემა უნდა მოიხსნას, ერთიანი საინფორმაციო ბანკი შეიქმნას და მიტოვებული ბავშვები, შემთხვევის ადგილის გაუთვალისწინებლად, გავაშვილოთ", - აცხადებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

აღნიშნულის გარდა, ამ სფეროში კიდევ ბევრი საკითხია დასარეგულირებელი. პრობლემას მხოლოდ კანონი კი არა, მისი უგულებელყოფაც ქმნის. შვილად აყვანის წესის შესახებ კანონის მეხუთე მუხლის მიხედვით, შვილად აყვანის მიზნით, ფეხმძიმე ქალების წინასწარ შერჩევა იკრძალება. არადა, ბავშვების გაშვილება, ძირითადად, ამ გზით ხდება. როგორც ცნობილია, ასეთი საქმეები, უმეტესად, სამშობიაროს მედპერსონალის ხელშეწყობით "იჩარხება". სამშობიაროდან ბავშვის ყიდვის საფასური 1 500-დან 5 000 დოლარამდე მერყეობს.

# ერთი სახლის ისტორია

თამარ დვალი

დადიანის 22 ნომერში მდებარე ორსართულიანი სახლი 1905 წელსაა აგებული. 2003 წელს ზავროევის სამშენებლო მექანიკისა და სეისმოდეგობის ინსტიტუტმა სახლის მდგომარეობა შეისწავლა და დასკვნაში მიუთითა, რომ შენობა მწვავე ავარიულია და რეკონსტრუქციას აღარ ექვემდებარება. წლების განმავლობაში მოსახლეობის თხოვნას, რომ კერძო ინვესტორის მოყვანის ნება დაერთოთ, ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი უარით პასუხობდა. შენობა, რომელიც ერთ დროს, ალბათ მართლაც, წარმოადგენდა ისტორიულ ღირებულებას, დღეს, თითქმის, ნანგრევებადაა ქცეული. აქ ხალხი იმის გამო ცხოვრობს, რომ მათ სხვაგან წასასვლელი არ აქვთ. სახელმწიფოს კი არ შეუძლია, მოსახლეობა საცხოვრებელი ფართით დროებით მაინც დააკმაყოფილოს.

**"ჩვენ ხვალვე მოვიწვევთ ძეგლთა დაცვის დეპარტამენტიდან და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან წარმომადგენლებს და მოვიფიქრებთ, რა შეიძლება გაკეთდეს. თქვენ მოიყვანეთ ინვესტორი, რომელიც თანახმა იქნება, ისეთი პროექტი წარმოადგინოს, სადაც შენობის ფასადი შენარჩუნებული იქნება. არ შეიძლება, ვერც ჩვენ ვაკეთებდეთ საქმეს და არც ხალხს ვაძლევდეთ უფლებას თავს უშველონ",** - ასეთი იყო ქალაქის მერის, პრემიერისა და ვიცე-პრემიერის განცხადება მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. როგორც ხედავთ, ქალაქის მთავრობა პრობლემის გადაწყვეტას მეორე დღესვე გეგმავდა. თუმცა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, დაპირება დაპირებად დარჩა. ქალაქის ვიცე პრემიერი თემურ ქურხული, მოუცლელობის გამო, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პასუხს არ გვცემს და მთაწმინდა-კრწანისის გამგებელთან გიორგი ხახნელიძესთან გვაგზავნის. როგორც აღმოჩნდა, ამ საკითხში არც გამგებელი ყოფილა გათვითცნობიერებული.

**"ვერაფერს გეტყვით. როგორც ვიცი, ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი არ იძლევა ნებართვას, რომ ინვესტორი მოიყვანოს მოსახლეობამ. მე ასეთი 300-მდე არქიტექტურული ძეგლი მაქვს სოლოლაკში. მერია აქ არაფერ შუაშია და ის ვერაფერს გადაწყვეტს. თუკი მერიის წარმომადგენლები პრობლემის გადაჭრაში ჩაერთნენ, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ კეთილი ნება გამოიჩინეს. ჩემთან რატომ გამოგაგზავნეს, არ მესმის. მე ამ პრობლემას ვერანაირად ვერ გადავჭრი",** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას მთაწმინდა-კრწანისის გამგებელმა გიორგი ხახნელიძემ.

მაშინ, სანამ ჩინოვნიკები პრობლემის მოგვარებას მოიფიქრებდნენ, დადიანის ქუჩის მცხოვრებლებმა ინვესტორიც მონახეს და კულტურის სამინისტროსთანაც მიაღწიეს შეთანხმებას.

**"სახლის ფასადი 30 აპრილს ჩამოინგრა. მაშინ მოვიდნენ ჩინოვნიკები და დაგვპირდნენ, რომ პრობლემას მოაგვარებდნენ, თუმცა რეალურად არაფერი გაკეთებულა. ჩვენ მრავალსართულიან სახლს არ ვითხოვთ; არც იმაზე მეტი ფართი გვინდა, რაც ამჟამად გვაქვს. თემურ ქურხულმა პირდაპირ განგვიცხადა, - არც იოცნებოთ, რომ ამ ადგილზე დარჩებითო. ჩვენ გარეუბანში გადასვლას არ ვაპირებთ. მოვნახეთ ინვესტორი, რომელიც დაგვთანხმდა, რომ აღადგენდა სახლს ისეთივე სახით, როგორიც იყო და მას ქალაქის მუნიციპალიტეტს გადასცემდა. ამის სამაგიეროდ, ქალაქის მთავრობამ ინვესტორს ლერმონტოვის 8 ნომერში მდებარე დანგრეული ნაგებობა უნდა გადასცეს, სადაც აშენდება საცხოვრებელი სახლი, რომლითაც ჩვენ დაგვაკმაყოფილებენ. აქვე დარჩება სხვა შენობაც, რომლის მფლობელებიც ინვესტორი და მუნიციპალიტეტი იქნებიან. ამ შემთხვევაში, ინვესტორი მხოლოდ 20-პროცენტიან მოგებას ნახავს. დაახლოებით, ერთი თვის წინათ თავად ქალაქის მერს შევხვდით. მასთან შეხვედრის შემდეგ საქმემ წინ წაიწია და რაღაც იმედებიც გაჩნდა",** - აცხადებს დაზარალებული მხარე.



*ქალაქის ხელმძღვანელობა მიწისძვრით დაზარალებული ამ სახლის პრობლემის მოგვარებას უახლოეს მომავალში გვპირდება.*

ვახო ბესელიას ფოტო

ქალაქის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი მოსახლეობას პრობლემის დადებითად გადაჭრას ჰპირდება. თუმცა, სხვა შემთხვევებში საქმე ასე ადვილად ნამდვილად ვერ გადაწყდება. როგორც აღმოჩნდა, წინა წლებში ქალაქის მთელი ტერიტორია, მტკვრის კალაპოტიდან დაწყებული ტროტუარებით დამთავრებული, მთლიანად გაუსხვისებიათ. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტს სარეზერვო მიწები აღარ გააჩნია. რომ არა თავად მოსახლეობის აქტიური მუშაობა, დადიანის ქუჩის მცხოვრებლების პრობლემა დღესაც მოუგვარებელი იქნებოდა. მათ თავად მონახეს ფართი ლერმონტოვის რვა ნომერში. ეს ერთადერთი ადგილი აღმოჩნდა მთელ სოლოლაკში, რომელიც ჯერ არ გაუსხვისებიათ.

**"ჩვენი სამსახური თანახმაა, რომ დადიანის 22 და ლერმონტოვის 8 ნომერი ერთმანეთს გადაებას, როგორც ერთი საინვესტიციო წინადადება. ამაზე ქალაქის არქიტექტურის სამსახური მუშაობს. როდესაც ასეთ მასშტაბურ პროექტს ვიწყებთ ქალაქის ცენტრში, გვინდა, დარწმუნებული ვიყოთ, რომ ინვესტორი, მართლაც, ის არის, ვინც ამხელა პროექტს გაუძლვება. ჩვენ ინვესტორის საბანკო გარანტიებსაც შევამოწმებთ და თუ ყველაფერი წესრიგში ექნებათ, სხვა პრობლემას ვერ ვხედავ. ქალაქში, სადაც მიწის ფასთა ატლასი კარგად ჩამოყალიბებული არ არის, სადაც უძრავი ქონება სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტს შორის არ არის გამიჯნული, სწრაფ და ეფექტურ გადაწყვეტილებებზე საუბარი რთულია.**

**იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, ჩვენი ჩარევა აუცილებელია. თუმცა, არანაირი თანხა არ არსებობს, რომ ეს ხალხი დანგრეული ბინებიდან დროებით მაინც გამოვიყვანოთ. ამ მდგომარეობაში არის მთელი მთაწმინდა. სახელმწიფომ რომ ამ კონკრეტულ შემთხვევებზე ფულის ხარჯვა დაიწყოს, ამას ქალაქის ბიუჯეტი კი არა, სახელმწიფო ბიუჯეტი არ ეყოფა. არ არსებობს არც მექანიზმი, თუ როგორ და რა მეთოდით უნდა დავეხმაროთ ხალხს. როცა მოხდა მიწისძვრა, ფონდში მოზიდული თანხებით 368 ბინა იყიდეს. ისიც ითქვა, რომ ამ ხალხისთვის ეს ბინები კერძო საკუთრებაში გადაგვეცა. თუმცა, თუკი მათ გადავცემთ ამ ბინებს, მაშინ მათ უნდა ჩაგვაბარონ ძველი საცხოვრებელი ფართი. ამაზე ჩვენი საზოგადოება, ძირითადად, არ მიდის",** - აცხადებს ჭიაბერაშვილი.

როგორც არქიტექტურის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ბექა ნასიძემ განგვიმარტა, არქიტექტურის სამსახურს არ აქვს უფლება, მიწის ადგილმონაცვლეობა განახორციელოს: **"მორჩა აუქციონები, რომელიც არქიტექტურის სამსახურში ეწყობოდა და მერიის ბეჭდით მიწის გასხვისება. ხალხს, რომელსაც ჭერი ექცევა თავზე, მოდის და ინვესტორის შესვლას ითხოვს. ინვესტორებს კი, თავის მხრივ, უნდათ, დაიკმაყოფილონ თავიანთი ინტერესები, რაც შეუსაბამობაშია რეგლამენტთან, განაშენიანების სქემასთან და კოეფიციენტებთან. თუ ინვესტორები მინიმალურ მოგებებზე არ წავიდნენ, მაშინ ეს პრობლემა ათწლეულები გაგრძელდება. ქალაქს დღეს აღარაფერი აღარ აქვს, თვით - ტროტუარებიც კი. მტკვრის კალაპოტებიდან დაწყებული ყველაფერი გასხვისებულია,"** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში ბექა ნასიძემ.

კულტურის მინისტრის მოადგილე ნიკა ვაჩეიშვილი მიიჩნევს, რომ, დადიანის ქუჩის მაგალითზე, "სამოდელო გამოსავალია" ნაპოვნი.

**"აქამდე ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი არ აძლევდა მოსახლეობას ნებართვას, რომ მოენახათ ინვესტორი, ან სხვა საშუალებით შეეკეთებინათ საკუთარი სახლი, რომელიც ძეგლთა დაცვის დაქვემდებარებაში იყო. კულტურის სამინისტრო დღეს იძულებულია, რაღაც დათმობაზე წავიდეს. სახელმწიფოს არქიტექტურული ძეგლების აღდგენის შესაძლებლობა არ აქვს და, თუ ასეთ გაყინულ მდგომარეობაში დავრჩით, მაშინ შეიძლება, ყველა სახლი ჩამოინგრეს",** - მიიჩნევს ვაჩეიშვილი.

ეს ერთი თბილისური სახლის ისტორიაა, რომლის მცხოვრებლებმაც ნახევარი წელიწადი მოანდომეს სხვადასხვა ინსტანციაში სიარულს, რათა რაღაც პერსპექტივა გასჩენოდათ. ასეთი პრობლემის წინაშე დღეს მრავალი ოჯახი დგას. სამწუხაროდ, მთავრობას მათთვის საიმედო სიტყვის თქმა ჯერ კიდევ არ შეუძლია. ისინი არჩევანის წინაშე დგანან - ან თვითონ უნდა უშველონ თავს, ან ღია ცის ქვეშ დარჩნენ.

# ჩვენი კაცი ინდოეთში

*ინდური ხორცი, რომლის ირგვლივაც საქართველოში სერიოზული მითქმა-მოთქმაა ატეხილი, გუშინ პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის სპეციალური სხდომის საკითხი გახდა. პარლამენტარები, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო და მისი ვეტერინარიის დეპარტამენტი, შრომის, ჯანრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სანიტარიის სახელმწიფო სამსახური ერთად ცდილობდნენ იმის გარკვევას, მავნებელია თუ სასარგებლო ეს პროდუქტი. საბოლოო დასკვნამდე სხდომა ვერ მივიდა.*

მაკა ჭაიანი

ძირითადი მომხსენებელი გუშინდელ თავყრილობაზე ვეტერინარიის დეპარტამენტი გახლდათ, რომლის ვიზირებითაც ინდური ხორცი საქართველოში შემოდის. ამისთვის დეპარტამენტს ინდოეთში სპეციალური წარმომადგენელი ჰყავს მივლინებული. ასეთი წარმომადგენლები დეპარტამენტს, ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კიდევ ჰყავს - ავსტრალიაში, არგენტინაში, იტალიასა და ნიდერლანდებში. "ორმაგი კონტროლის" ასეთი მექანიზმი, რომლითაც ყოფილი საბჭოთა სივრცის ბევრი ქვეყანა სარგებლობს, მსოფლიოს 87 ქვეყანაში მოქმედებს და იქიდან შემოსული ხორცის კეთილსაიმედოობის, ფაქტობრივად, ერთადერთ გარანტს წარმოადგენს. გუშინდელი სხდომა სწორედ იმას არკვევდა, რამდენად კეთილსაიმედოა თავად ეს გარანტი.

რეზონი ამ კითხვის დასმას აქვს. საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოს ვეტერინარიის დეპარტამენტის წარმომადგენლის სამივლინებო ხარჯებს ინდოეთში ანაზღაურებს "ინდური კამეჩის" (ხორცისმწარმოებელთა) ასოციაცია, საწარმოებში მის გადაადგილებას კი, რაშიც ქვეყნის შიგნით მგზავრობის ხარჯები იგულისხმება - ექსპორტიორი ფირმები. ყველაფერი ეს მათსა და ჩვენს ვეტერინარიის დეპარტამენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე ხდება. თუმცა, იმ ფაქტს, რომ ორივე უცხოური მხარე, ამ შემთხვევაში, ე.წ. დაინტერესებულთა კატეგორიას მიეკუთვნება, ეს ხელშეკრულებები ვერ გააბათილებს.

მოარული ფრაზის - "ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს" - მიხედვით, ამგვარ შემოწმებაში ეჭვის საფუძველი არსებობს. პარალელურად, არსებობს ასეთი ფაქტიც - ვეტერინარიის დეპარტამენტის წარმომადგენელმა ინდოეთში მოქმედი 11 ხორცის გადამმუშავებელი საწარმოდან საქართველოში ხორცის შემოტანის ვიზა მხოლოდ შვიდს მისცა. როგორც დეპარტამენტის წარმომადგენლები აცხადებენ (მათ ამ არგუმენტს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი დავით შერვაშიძეც უმაგრებს), ეს ის შვიდი საწარმოა, რომელიც ხორცით ევროგაერთიანების ქვეყნებსაც ამარაგებს. ოპონენტები, ამ შემთხვევაში, პარლამენტარ ზურაბ ცქიტიშვილის სახით, გუშინ ამ არგუმენტის გაბათილებას აქტიურად ცდილობდნენ.

**"ინდური ხორცი არც ერთ ევროპულ ქვეყანაში არ შედის; მეტიც, ას მეტრზე არ უშვებენ საზღვართან,** - აცხადებს ზურაბ ცქიტიშვილი, - **ამ ორი თვის წინათ ინგლისსა და ლიტვაში სტუმრობისას ჩვენი დელეგაციის ერთმა წევრმა იკითხა კიდეც, რატომ არ შემოდის ლიტვაში ისეთი იაფი ხორცი, როგორიც ინდურია. პასუხი ასეთი მივიღეთ: ინდოეთში იმდენად ლიბერალური დამოკიდებულებაა მეწარმეებისადმი, იმდენად დაბალია კონტროლის მექანიზმები და არასრულფასოვანი - ლაბორატორიები, არ შეიძლება, პროდუქცია ხარისხიანად ჩაითვალოსო. არც ჩვენი ლაბორატორიებია გამართული, ამდენად, მოდით, შევხედოთ ევროპის ქვეყნებს და მოვიქცეთ ისე, როგორც ისინი ამ შემთხვევაში იქცევიან".**

ინდური ხორცი (იგივე კამეჩის ხორცი) სამი-ოთხჯერ უფრო იაფია, ვიდრე ევროპული. ამას ის განაპირობებს, რომ ინდოეთში 200 მილიონ სულამდე კამეჩია, იქაური მოსახლეობა კი მის ხორცს, რელიგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე, არ მიირთმევს. საქონლის ღირებულება ნებისმიერი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობს; საქართველოსთვის - განსაკუთრებით, სადაც ძვირი პროდუქციის მყიდველი მოსახლეობის მხოლოდ ის 20 პროცენტია, რომელსაც შემოსავლები ამის შესაძლებლობას აძლევს. შეიძლება, ამ მომენტს ითვალისწინებენ საბერძნეთშიც - ევროგაერთიანების იმ ერთადერთ ქვეყანაში, სადაც, ოფიციალური დოკუმენტებით, ინდური ხორცი, ასევე, შედის. იგი შეაქვთ ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებშიც - პოლონეთში, რუმინეთში და ა.შ. თუმცა, გუშინდელი სხდომის ნაწილისთვის ამან არგუმენტად ვერ ივარგა.

საინტერესოა, რომ ინდური ხორცი საქართველოს ხორცის გადამმუშავებელი წარმოების 50 პროცენტს ამარაგებს. ყოველწლიურად 500-დან 600 ტონამდე ინდური კამეჩის ხორცი ნაწილდება "ნიკორას", "ვაკის ხორცპროდუქტების ქარხნის", "სანდოს", "თელეთის", "იორის", "გეორგიას", "გერმანელი ყასბის", "უნივერსამ დიღომის", "პუმბას", "ა.დ.ვე.-ს", შპს "კიკაბიძის" პროდუქციაში. ფაქტია, საქართველო თავისი შეზღუდული შესაძლებლობებით ამ 50 პროცენტის სწრაფ ჩანაცვლებას ვერ შეძლებს. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო ამუშავებს სპეციალურ პროგრამას მსხვილფეხა პირუტყვის შემოყვანის, მოშენების - დარგის განვითარების კუთხით. შესაძლოა, მისი დაფინანსება ევროგაერთიანებამ აიღოს თავზე, მაგრამ შედეგებს ამ პროგრამისგან, რასაკვირველია, დღეს და ხვალ არ უნდა ველოდეთ.

"ინდური ხორცის საქმეში" ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, თუ რამდენად უსაფრთხოა იგი მომხმარებლისთვის. ვეტერინარიის დეპარტამენტის გუშინდელმა ოპონენტმა - სანიტარიის სახელმწიფო სამსახურმა, მიუხედავად მცდელობისა, ამის დამტკიცება ვერ მოახერხა. მისი უფროსის განცხადებები ინდოეთში წარგზავნილი ქართველი ვეტერინარის, თუ შეიძლება ასე ითქვას, სუსტი საქმიანობისა და საქართველოში მოღვაწე ქართველი სანიტარების შესახებ ერთმანეთს, ფაქტობრივად, ეწინააღმდეგებოდა - დავით მესხიშვილმა ჯერ ეჭვქვეშ დააყენა ინდური ხორცის კეთილსაიმედოობა, შემდეგ კი თავი მოწონა იმით, რომ ამ ხორცმა მისი სამსახურის მიერ ახლად დანერგილი ოთხმაგი შემოწმება გაიარა და ქსელშიც გავიდა.

ვენდობით თუ არა საქართველოს ლაბორატორიების დასკვნებს, ცალკე საკითხია. სანიტარიის სახელმწიფო სამსახური კი დღეს, ამ დასკვნებზე დაყრდნობით, გვეუბნება, რომ ინდური ხორცი ვარგისია გამოყენებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი ლაიტმოტივად გასდევდა გუშინდელ შეხვედრას, დარჩა შთაბეჭდილება, რომ მისი მონაწილეების დიდი ნაწილისთვის უფრო ის კაცი იყო მნიშვნელოვანი, რომელიც ინდოეთში გვყავს გაგზავნილი და საქართველოსკენ გამომგზავრებული კამეჩის ხორცის კეთილსაიმედოობას, ხელშეკრულების მიხედვით, საქონლის დაკვლიდან დაწყებული, დაფასოებით, კონტეინერებში ჩატვირთვითა და დალუქვით დამთავრებული, ამოწმებს. **"ამ ერთ ადამიანზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, კარგია თუ არა ეს ხორცი,"** - ასეთი გახლდათ დავით მესხიშვილისა და კიდევ რამდენიმე ადამიანის განწყობა.

თუ ყველაფერი უწყებებს შორის მორიგი კონფლიქტი არ არის და პარლამენტში, ვეტერინარიისა თუ სანიტარიულ სამსახურებში, მართლაც, ქვეყნის მოქალაქეების ბედი უფრო აღელვებთ, საკითხი უფრო კონსტრუქციულ ვითარებაში უნდა გადაწყდეს. იმედია, აგრარული, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროების წარმომადგენელთა შეხვედრა, რომელზეც გუშინ შეთანხმდნენ, სწორედ ასეთი იქნება. ამის შემდეგ "ინდური ხორცის ამბავი" პარლამენტის ბიუროსაც მოხსენდება.

# რა გახდება სანაიას მკვლელობის ხელახლა გამოძიების საფუძველი?

ხათუნა ჯანგირაშვილი

*როდის გამოიკვეთება გიორგი სანაიას მკვლელობის საქმესთან დაკავშირებული ახლად აღმოჩენილი გარემოება და რა იქნება ის სიახლე, რომლის საფუძველზეც გენერალური პროკურატურა ხელახლა, დამატებით გამოიძიებს მკვლელობის საქმეს, წინასწარ ძნელი სათქმელია. ის, რომ სანაიას მკვლელობა კვლავ ბურუსითაა მოცული და შეიძლება ითქვას, გამოძიებული არც არის, უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ გუშინდელი გადაწყვეტილებით, პრაქტიკულად აღიარა, თუმცა ამ ეტაპზე საქმის ხელახალ ძიებაში დაბრუნება საჭიროდ მაინც არ ჩათვალა.*



მარიკა ამირველაშვილის ფოტო

*სანაიას მკვლელობა კვლავ ბურუსითაა მოცული და შეიძლება ითქვას, გამოძიებული არც არის, რაც უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ გუშინდელი გადაწყვეტილებით, პრაქტიკულად აღიარა.*

**"სასამართლო არ მიიჩნევს დასაბუთებულად მკვლელობის მოტივს. გაუქმდეს გრიგოლ ხურცილავა საბრალდებო დასკვნასა და საოლქო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენში დასახელებული მკვლელობის მოტივი - სექსუალური ძალადობა",** - ასეთი გადაწყვეტილება მიიღო გუშინ უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ, რითაც დაზარალებულის, სანაიას მეუღლის სარჩელი ნაწილობრივ, ხოლო პროკურატურის მოთხოვნა მთლიანად დააკმაყოფილა. რაც შეეხება მსჯავრებულისა და მისი დამცველის მოთხოვნას ხურცილავასთვის სასჯელის ზომის შემცირებასთან დაკავშირებით, ის დაუკმაყოფილებელი დარჩა.

ერთი სიტყვით, პროკურატურაც და მართლმსაჯულებაც დარწმუნებულია, რომ სანაიას მკვლელი მართლაც გრიგოლ ხურცილავაა, თუმცა, რატომ და რისთვის მოკლა მან ჟურნალისტი, ამის დადგენა უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატას, ისევე, როგორც გენერალურ პროკურატურას, ამ ეტაპზე შეუძლებლად მიაჩნიათ. არადა, რამდენიმე თვის წინ, საქმის უკვე მეორედ განხილვისას, ქვედა ინსტანციის სასამართლომ - საოლქომ - სწორედ პროკურატურის მოთხოვნით აღიარა მკვლელობის მოტივად სექსუალური შეურაცხყოფა.

მოკლედ, უმოტივოდ დარჩენილი მკვლელობის გამოძიება მხოლოდ მაშინ დაიწყება, როცა საქმეში ახალი გარემოებები გამოჩნდება. როდის მოხდება ეს, როგორც უკვე გითხარით, მართლაც ძნელი სათქმელია. უზენაესი სასამართლოს გუშინდელი გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას აღარ ექვემდებარება. სასამართლომ პროკურატურას მიუთითა, რომ უწყებამ სამომავლოდ პასიურობა არ გამოიჩინოს და ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამოვლენის შემთხვევაში, საქმე ბოლომდე გამოიძიოს.

**"უზენაესი სასამართლოს პოზიცია აბსოლუტურად გაუგებარია, აღარაფერს ვამბობ პროკურატურაზე. თუკი არავინ იცის, რატომ და რისთვის მოკლა კაცმა კაცი, რატომ უსჯიან ბრალდებულს 12 წლით თავისუფლების აღკვეთას? გიორგი სანაიას მკვლელობის საქმეს პოლიტიკური დატვირთვა აქვს და სასამართლოს ბოლო გადაწყვეტილება არსებულ გარემოებას რეალურად არ ასახავს. როგორც ჩანს, ამ ყველაფერს პოლიტიკური სარჩული უდევს,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას გრიგოლ ხურცილავას ინტერესების დამცველმა დავით დადიანმა.

რაც შეეხება დაზარალებულის უფლებამონაცვლეს, მიუხედავად იმისა, რომ მისი სარჩელი უზენაესმა სასამართლომ მხოლოდ ნაწილობრივ დააკმაყოფილა, სანაიას მეუღლე დარწმუნებულია, რომ მკვლელობის საქმის თავიდან გამოძიება, როცა იქნება, მართლაც გახდება შესაძლებელი.

**"მართალია, სასამართლომ დამატებითი გამოძიებისთვის გენერალურ პროკურატურაში საქმის დაბრუნებაზე უარი განაცხადა, მკვლელობის მოტივის გაუქმებით, ფაქტობრივად, აღიარა, რომ ჟურნალისტის მკვლელობის საქმე მართლაც გამოუძიებელია. ეს კი იძლევა შანსს, რომ ოდესღაც, შესაძლოა, მართლაც დადგინდეს ჭეშმარიტება. რადგან სასამართლომ აღიარა, რომ მოტივი არ არის დადგენილი, ეს ნიშნავს იმას, რომ შესაძლებელია, ეს შეკვეთილი მკვლელობა იყოს,"** - აცხადებს ხათუნა ჩხაიძე.

# ქუთაისში ჩატარებული სპეცოპერაცია პარლამენტში გააპროტესტეს

*იშვიათი სპეცოპერაციების ფონზე, გუშინ ქუთაისში ერთ-ერთი ყოფილი პოლიციელის სახლის ჩხრეკისთვის მასშტაბური ხასიათის მიცემამ გამოძახილი საქართველოს პარლამენტში ჰპოვა. ლაშა დემეტრაძის დაკავება პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომაზე "მემარჯვენეთა" წარმომადგენელმა კოკა გუნცაძემ გააპროტესტა, სამართალდამცველებს მუშაობის სტილი დაუწუნა და საქმეში საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვით დაიმუქრა.*

გუშინ დილით ქუთაისში უშიშროების სამინისტროს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს თანამშრომლებმა ყოფილი პოლიციელის ლაშა დემეტრაძის სახლი გაჩხრიკეს. სამართალდამცველთა ინფორმაციით, დემეტრაძე ავტომანქანის გატაცებაშია ეჭვმიტანილი. ჩხრეკისას კი მათ "მაკაროვის" სისტემის უკანონოდ შენახული ცეცხლსასროლი იარაღი იპოვეს. ასევე, იპოვეს ავტომანქანა, რომელიც სამართალდამცველებს მოპარულად მიაჩნიათ.

თავად დაკავებული და მისი ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ იარაღი მათ პოლიციამ ჩაუდო და დემეტრაძეებს იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსი ზურაბ ჩიკვაიძე და მხარის კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსი ავთანდილ ბესელია დევნიან.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ერთი თვის წინ ლაშა დემეტრაძე პოლიციის რიგებიდან ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების გამო გაუშვეს. თუმცა, მან სამსახურიდან გათავისუფლება სასამართლოში გაასაჩივრა, ნარკოლოგიურმა ექსპერტიზამ კი ნარკოტიკების მოხმარება არ დაუდასტურა.

ეს ინფორმაცია გუშინ "მემარჯვენეთა" წარმომადგენელმა კოკა გუნცაძემ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომაზეც გაახმოვანა. მისი თქმით, ქვეყანაში გახშირდა სამართალდამცველთა მიერ პოლიციის ყოფილ თანამშრომლებზე ზეწოლის, მათთვის იარაღის "ჩადების" ფაქტები, რაც "ხელისუფლების მხრიდან სამსახურიდან გათავისუფლებულ პოლიციელებზე ზეწოლად აღიქმება".

**"პარალიზებულია სასამართლო სისტემაც. მოსამართლეები იმ მითითებებს ასრულებენ, რომელსაც მათ პროკურორები აძლევენ. მასობრივად ირღვევა ადამიანის უფლებები,"** - აღნიშნა გუნცაძემ, რომლის მონაცემებით, ლაშა დემეტრაძემ სამსახურიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით სასამართლოს მიმართა, რაც მისი დევნის საფუძველი გახდა.

გუნცაძემ აღნიშნა, რომ "ახალი მემარჯვენეები" ამ ფაქტს პრესკონფერენციას მიუძღვნიან, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე შესაბამის განცხადებას გააკეთებენ და ადამიანის უფლებების დამცველ საერთაშორისო ორგანიზაციებსაც მიმართავენ.

*24 საათი*

# არასამთავრობო ორგანიზაცია ქუთაისის უნივერსიტეტში არსებულ კორუფციაზე საუბრობს

*იმერეთის ანტიკორუფციულმა ორგანიზაცია "საჩინომ" ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის საქმიანობის შესწავლა დაასრულა. დასკვნა, რომელიც აღნიშნულმა ორგანიზაციამ გააკეთა, სკანდალურია, უნივერსიტეტში თითქმის არ აღმოჩნდა სფერო, სადაც უხეში დარღვევები არ დაფიქსირებულიყო. არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელის, ზურაბ ხურციძის განმარტებით, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყალბი დიპლომების გაცემა, დიდი ოდენობით თანხების მითვისება და სხვა უამრავი დარღვევები დაფიქსირდა. ორგანიზაცია აპირებს, რომ მოკვლეული მასალები გენერალურ პროკურორთან გადააგზავნოს.*

ბექა სისაური
*ქუთაისი*

"საჩინომ" უნივერსიტეტის საქმიანობის შესწავლა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც სტუდენტურმა ორგანიზაციებმა უმაღლეს სასწავლებელში არსებული კორუფციის შესახებ ფაქტების საჯაროდ მხილება დაიწყეს. **"კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა მთელი რიგი სამართალდარღვევები, რაც გამოიხატა სტუდენტებისგან თანხის გამოძალვაში, ბიუჯეტის არამიზნობრივ ხარჯვასა და თანხების დატაცებაში,"** - აცხადებს "საჩინოს" ხელმძღვანელი ზურაბ ხურციძე. მათ მიერ შესწავლილი მასალების საფუძველზე ირკვევა, რომ სახელმწიფო ინივერსიტეტს 2001-2003 წლებში გაცემული აქვს 832 დიპლომით მეტი, ვიდრე განათლების სამინისტროშია რეგისტრირებული. **"მიმაჩნია, ეს 832 დიპლომი ყალბია. ამავე დროს ამოღებულია სტუდენტთა 4 პირადი საქმე, რომლებიც, ასევე, გაყალბებულია. მაგალითად, ვინმე ფანცხავა ზაზას პირად საქმეში მითითებულია, რომ 2000 წელს ბათუმის ვეკუას სახელობის უნივერსიტეტში 13 ივლისს ჩაირიცხა, 7 თებერვალს კი N15 ბრძანებით მეორე კურსზეა გადასული, ხოლო იგივე დღეს იმავე ნომრის ბრძანებით მესამე კურსზეა გადაყვანილი. იმავე წელს კი მეოთხე კურსზეც გადაიყვანეს. ფანცხავას პირად საქმეში არსებულ ამ დოკუმენტს ხელს არავინ აწერს, არც ბეჭედი აქვს. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს პირადი საქმე ქუთაისშია დამზადებული. ასეთი პირადი საქმეების საფუძველზე ქუთაისის უნივერსიტეტიდან დიპლომები იცემოდა,"** - განმარტავს ზურაბ ხურციძე. დარღვევებია აღმოჩენილი ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის უნივერსიტეტად გადაკეთების მხრივაც. ხურციძის განცხადებით, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი, უნივერსიტეტად ოფიციალურად 1998 წელს გადაკეთდა, რის დასამტკიცებლადაც თავის დროზე პომპეზური ღონისძიებები მოეწყო. **"სინამდვილეში, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი, პრეზიდენტის ბრძანებულებით, 2003 წელს ჩამოყალიბდა. ამ ხნის განმავლობაში კი ინსტიტუტი უნივერსიტეტის დიპლომებს გასცემდა,"** - აცხადებენ "საჩინოში". ამჟამად, აღნიშნულ სასწავლებელში სწავლის მინიმალური შესატანი 350 ლარია, მაქსიმალური კი 1200. სულ უნივერსიტეტში 64000 სტუდენტი სწავლობს, მათგან 1050 - საბიუჯეტო სექტორზე. აღნიშნული მონაცემების საფუძველზე "საჩინომ" უნივერსიტეტის შემოსავლები დაითვალა **"აღმოჩნდა, რომ 2000 წელს სწავლის ანაზღაურების სახით მილიონ 234 000 ლარია შესული. ჩვენი გათვლებით კი თითო სტუდენტს საშუალოდ სულ მცირე 500 ლარი რომ მაინც გადაეხადა. 2000 წელს მინიმუმ 2 მილიონ ლარზე მეტი უნდა შესულიყო. სულ ამ გზით 3-4 წლის განმავლობაში 2 მილიონ 800 000 ლარზე მეტია დამალული."** ამავე დროს საქვეყნოდ ცნობილია, რომ თანხების მითვისების ყველაზე საუკეთესო საშუალება სარემონტო სამუშაოებია.

ამ მხრივ, არც ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის აღმოჩნდა გამონაკლისი. შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ 2000-2003 წლებში სარემონტო სამუშაოებისთვის 513 861 ლარია ათვისებული. **"აღნიშნული თანხით კაცი ახალ კორპუსს ააშენებდა, უნივერსიტეტში კი თითქმის გარემონტებულიც არაფერია. საყურადღებო და დასათვლელია კომპიუტერების შეძენაზე გაწეული 154 000 ლარიც. ამ ფულით უნივერსიტეტში კომპიუტერის გარეშე ოთახიც არ უნდა იყოს დარჩენილი. რაც ასეე შორსაა რეალობისაგან... 2003 წელს გათბობის ქვაბებზე და პირველი ეტაპის გათბობისათვის დახარჯულია 87 000 ლარი. არადა, 2003 წელს გათბობა უნივერსიტეტში საერთოდ არ ჩართულა,"** - აცხადებს ხურციძე. მისი დასკვნით, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას დიპლომების ბლანკების თანხაც მითვისებული აქვს. საჩინოს მონაცემებით, 2002 წელს დიპლომის ბლანკების შესაძენად უნივერსიტეტს გადახდილი აქვს 6974 ლარი, ხოლო 2003 წელს კი 7880, ანუ, აღნიშნულ პერიოდში სტუდენტები გათავისუფლებული უნდა ყოფილიყვნენ დიპლომის ბლანკის ღირებულებისაგან. **"რეალურად კი, კურსდამთავრებულები ბლანკის ღირებულებას იხდიდნენ და გაცილებით მეტსაც, ვიდრე ის სინამდვილეში ღირდა. ჩვენი აღმოჩენილი დარღვევები ზღვაში წვეთია. არსებულ ვითარებაში კი, პირველ რიგში, რექტორია დამნაშავე, რადგანაც თანხა მისი ხელმოწერის გარეშე არ გაიცემოდა, ამიტომ ჯერ ის აგებს პასუხს, შემდეგ კი უნდა დადგეს პრორექტორების, დეკანებისა, ბუღალტერიის პასუხისმგებლობის საკითხი,"** - განმარტავენ "საჩინოში".

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნვერისიტეტში "საჩინოს" ბრალდებებს ზოგადს და ფოლკლორის დონეზე მოყვანილს უწოდებენ.

**"ყველა დოკუმენტი ადგილზეა. შეუძლიათ, მოვიდნენ კომპეტენტური სპეციალისტები და გაარკვიონ. შარშან კონტროლის პალატამ და საგადასახადო ინსპექციამ შეგვამოწმა და მსგავსი არაფერი აღმოჩენილა... დიპლომების ყალბად გაცემა წარმოუდგენელია. ალბათ, ყველაფერს გაარკვევენ, შეისწავლიან და თუ რამე დარღვევა აღმოჩნდა, ამისათვის კონკრეტული პირები პასუხს აგებენ,"** - აცხადებს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი. "საჩინოში" კი იმედოვნებენ, რომ მათი მასალებით გენერალურ პროკურატურაში აუცილებლად დაინტერესდებიან.


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი.....

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.....

საკონტაქტო ტელეფონი.....

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ამბეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფშმენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

ენერგეტიკა

# მიზანი ერთია: ელექტროენერგია გადახდის მიხედვით! კარგი გადამხდელი არ უნდა დაზარალდეს!

2004 წლის ნოემბერში საქართველოს რეგიონებისა და საწარმოების მიერ მოხმარებული ელექტროენერგია

ელ.ენერგია ათასი კვტ.სთ

| დასახელება | ელ.ენერგიის დადგენილი ლიმიტი | ფაქტიურად მოხმარებული ელ.ენერგია | ელ.ენერგიის გადახარჯვა(+) ან ნაკლებობა(-) | % |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| სს "თელასი" | 157108 | 216606.566 | 49506.566 | 29.63 |
| [illegible] | 24080 | 23866.6 | -383.48 | - |
| [illegible] | | 1160.98 | | |
| [illegible] | 86250.00 | 142742.81 | 56492.81 | 65.50 |
| [illegible] | 19027 | 15718 | -3613.2 | |
| [illegible] | 16389 | 25173.3 | 8814.3 | 53.9 |
| [illegible] | 12324 | 22335.68 | 10011.7 | 81.2 |
| [illegible] | 1389 | 905.9 | -487.2 | |
| [illegible] | 5763.80 | 8662.4 | 2919.4 | 51 |
| [illegible] | | 248.86 | | |
| [illegible] | 1935.80 | 2514.4 | 579.48 | 29.94 |
| [illegible] | 429.00 | 484.2 | 55.20 | 12.87 |
| [illegible] | 1548.80 | 4163.78 | 2615.78 | 168.98 |
| [illegible] | 2526 | 1671.82 | -854.18 | |
| [illegible] | 1704 | 2837.48 | 1133.40 | 66.51 |
| [illegible] | 900 | 917.20 | 17.20 | 1.27 |
| [illegible] | | 683.20 | | |
| [illegible] | 363.00 | 439.2 | 76.20 | 20.99 |
| [illegible] | 351.00 | 379 | 28.00 | 7.98 |
| [illegible] | 231.00 | 351 | 120.00 | 51.95 |
| [illegible] | 0 | 2484.3 | 2484.3 | |
| [illegible] | 3162.80 | 6996.68 | 3834.6 | 121.27 |
| [illegible] | 2478.80 | 6247.48 | 3769.4 | 152.11 |
| [illegible] | 684 | 749.20 | 65.2 | 9.52 |
| [illegible] | 1773.80 | 4701.68 | 2928.6 | 165.18 |
| [illegible] | 441.00 | 1863.80 | 1422.80 | 322.63 |
| [illegible] | 255.00 | 431.20 | 176.20 | 69.10 |
| [illegible] | 45231 | 54356.41 | 9125.4 | 20.18 |
| [illegible] | 28680 | 42319.21 | 13611.2 | 47.88 |
| [illegible] | 7176.80 | 5533.08 | -1643.8 | |
| [illegible] | 9467 | 7793.75 | -1696.3 | |
| [illegible] | 19642 | 20996.8 | 1454.8 | 7.44 |
| [illegible] | 15560 | 17902 | 2342.3 | 15.35 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | 23712.00 | 35807.75 | 12095.75 | 51.81 |
| [illegible] | 19908.00 | 34619.85 | 14711.85 | 73.90 |
| [illegible] | 2772 | 797.90 | -1974.1 | |
| [illegible] | 4382.80 | 6979.48 | 2596.4 | 59.24 |
| [illegible] | 1867.80 | 4372.58 | 1136.19 | 61.18 |
| [illegible] | 5807.80 | 2993.19 | -2898.80 | |
| [illegible] | 1726.80 | 2112.08 | 3426.5 | 198.64 |
| [illegible] | 255.00 | 1664.4 | 1399.36 | 548.77 |
| [illegible] | 309.00 | 891.1 | 582.18 | 188.38 |
| [illegible] | 147.00 | 1565.4 | 1418.40 | 964.93 |
| [illegible] | 6819.80 | 10088.2 | 3268.30 | 47.94 |
| [illegible] | 6809.80 | 9529.2 | 3528.2 | 58.58 |
| [illegible] | 818 | 589.1 | -258.9 | |
| [illegible] | 11625 | 15103.8 | 3478.8 | 29.93 |
| [illegible] | | 116.8 | | |
| [illegible] | | 3102.7 | | |
| [illegible] | | 1219.2 | | |
| [illegible] | | 1193.2 | | |
| [illegible] | | 2464 | | |
| [illegible] | | 3804.3 | | |
| [illegible] | | 886.4 | | |
| [illegible] | | 681 | | |
| [illegible] | | 186.15 | | |
| რეგიონისა და საწარმოთა მოხმარება | 98142 | 184511.84 | 6369.84 | 6.48 |
| [illegible] | 24480 | 21711.45 | -2768.55 | |
| [illegible] | 360 | 1298.9 | 938.9 | 260.81 |
| [illegible] | 720 | 1823.4 | 1103.4 | 153.25 |
| [illegible] | 56463 | 56356.69 | -106.31 | |
| [illegible] | 279 | 6696.2 | 6417.2 | 2300.0 |
| [illegible] | 5040 | 4571.6 | -468.40 | |
| [illegible] | 10800 | 12052.8 | 1252.8 | 11.60 |
| [illegible] | 58960 | 99588.4 | 40628.4 | 68.94 |
| [illegible] | | 8 | | |
| [illegible] | 0 | 7953 | | |
| [illegible] | | 7953 | | |
| [illegible] | | | 150527.24 | |
| [illegible] | 495750 | 646277.34 | | 30.36 |

ზამთრის დადგომასთან ერთად, მოსახლეობას საფიქრალ - საზრუნავი ემატება. მათ ძირითადად ერთი კითხვა უჩნდებათ: - როგორი იქნება ელექტროენერგიით მომარაგება, გვექნება თუ არა შუქი?

ყველას კარგად მოეხსენება, რომ ელექტროენერგია მხოლოდ განათება არ არის და იგი მოსახლეობის ნორმალური სოციალური ყოფის განმსაზღვრელია. სწორედ აქედან გამომდინარე აინტერესებს საზოგადოებას, როგორი მდგომარეობაა ქვეყანაში ენერგორესურსებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ერთ ადგილს ვტკეპნით, თუ არის ამ საქმეში გარკვეული ძვრები.

ბოლო ათწლეულში, ენერგეტიკაში შექმნილი უმძიმესი ვითარებიდან გამომდინარე, როცა სრული ქაოსი სუფევდა ელექტროენერგიის მოხმარების თვალსაზრისით, პრაქტიკულად გაურკვეველი იყო, თუ ვინ, სად, რამდენ ენერგიას მოიხმარდა, ხოლო გადახდის მაჩვენებელი უკიდურესად დაბალი იყო, რადგან გამძვინვარებულ კორუფციას თან ერთვოდა სხვადასხვა ობიექტებისა და წარმოებების უკანონო მიერთებები, ელ.გადამცემი ხაზების გადაყვანა-გადაერთება და ხაზებზე "ჩამოკიდება", ხოლო მოსახლეობის უმეტესობა გადახდის უუნარო იყო.

ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერს აკეთებს ენერგოკრიზისის დასაძლევად, უმძიმეს ფინანსურ და ტექნიკურ მდგომარეობაში მყოფი ელექტროენერგეტიკული სისტემა, მასში შემავალი ყველა რგოლით (ელექტროწარმოება, ელექტროგადაცემა, დისპეტჩერიზაცია, დისტრიბუცია), ერთ და ორ წელიწადში ვერ გადაწყვეტს ყველა პრობლემას. ამას დრო, დიდი ძალისხმევა და თანმიმდევრული შრომა სჭირდება. სწორედ ამიტომ შეიქმნა აუცილებელი ენერგეტიკაში ძირეული რეფორმების გატარება. ამ რეფორმების გზაზე, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის სრულად გადახდა წარმოადგენს. გადაუხდელობის გამო, სისტემის სტრუქტურულ დანაყოფებში არ შედის საჭირო რაოდენობის თანხა, ანუ ენერგეტიკული ორგანიზაციები ვერ იღებენ კუთვნილ ასიგნაციებს, რაც მათ ისედაც მძიმე ფინანსურ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს. თუ ყოველივეს იმასაც დავუმატებთ, რომ ადგილი აქვს ელექტროენერგიის დატაცებებს, რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ელ.მრიცხველებისა და წრედების უწესრიგობით, წლების მანძილზე არასათანადო კონტროლით, უპასუხისმგებლობის არაერთი ფაქტით და სხვა, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ ყველასათვის სამყოფი ენერგია, ამ ეტაპზე, არ არის, ანუ სიმძლავრისა და ენერგიის დეფიციტია. არადა, ეს დეფიციტი, შეიძლება, მინიმუმამდე შემცირდეს თუ ელექტროენერგიის მიწოდება გადახდის შესაბამისად განხორციელდება. მითუმეტეს, გადახდიდან მიღებული თანხებით შესაძლებლობა ჩნდება, დამატებით იმპორტირებული ენერგია მივიღოთ.

ამ მიზეზებიდან გამომდინარე, ენერგოსისტემაში დაწესდა ელექტროენერგიის მოხმარების ლიმიტები, რომელიც მიესადაგა გადახდის მაჩვენებლებს. რეალურად, მრიცხველების წესრიგში მოყვანა აიძულებს ზოგიერთ ჯიუტ არგადამხდელს, გადაიხადოს მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუწყდება ელექტროენერგიის მიწოდება. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ კარგი გადამხდელი ცდილობს, მომჭირნედ მოიხმაროს ელექტროენერგია, რათა დაზოგოს საკუთარი სახსრები, მაგრამ მთავარი ისაა, რომ კარგი გადამხდელი არ უნდა დაზარალდეს არგადამხდელის ან ცუდი გადამხდელის ხარჯზე.

ელექტროენერგიის უყაირათო, არამიზნობრივი ხარჯვის შემცირებას მნიშვნელობნად უწყობს ხელს ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის დღევანდელი საქმიანობა, რომელსაც უკომპრომისო ბრძოლა აქვს გამოცხადებული ყოველგვარი ნეგატიურის მიმართ.

ელექტროენერგიის ლიმიტები, რის შესახებაც ზემოთ იყო საუბარი, დაწესებული აქვს ყველა რაიონს, ქალაქსა და სოფელს, საწარმოებს. სამწუხაროდ, ნოემბრის თვის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ელექტროენერგიის ლიმიტების გადახარჯვა რიგ რაიონებში კვლავ გრძელდება, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ სადისტრიბუციო კომპანიები, ასევე ელექტროსისტემა და ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი, ჯერ კიდევ სრულად ვერ აკონტროლებენ სისტემაში არსებულ პროცესებს და ამ მიმართულებით ბევრი აქვთ გასაკეთებელი, უწინარესად, აღრიცხვიანობის სფეროში. რასაკვირველია, ლიმიტების დაწესება არაპოპულარული და იძულებითი ნაბიჯია, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჯერ კიდევ არ გვაქვს იმ რაოდენობის ელექტროენერგია, რომელიც არა მარტო თბილისის, არამედ ყველა რეგიონის 24 საათიან ელექტრომომარაგებას უზრუნველყოფს, თუმცა, ენერგეტიკის მესვეურები ყოველნაირად ცდილობენ, უახლოეს წლებში აღმოფხვრან არსებული ენერგოდეფიციტი. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ამ საკითხების გადაწყვეტით მნიშვნელოვნად დაბალანსდება ელექტროენერგიის წარმოება და მოხმარება.

ქვემოთ გთავაზობთ საქართველოს ელექტროსისტემის მიერ ელექტროენერგიის მოხმარების დადგენილ ლიმიტებს რეგიონებისა და საწარმოებისათვის

(იხილეთ ცხრილი).

ზემოთ აღნიშნული მონაცემების ფონზე, კვლავ უნდა შევახსენოთ მოსახლეობას, რომ უშუქობის პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელია, საზოგადოება გამოფხიზლდეს და ერთსულოვნად დაირაზმოს იმ უკანონობის აღმოსაფხვრელად, რაც საქართველოში თითქმის ყოველ ნაბიჯზე გვხვდება. კერძოდ, რას ვგულისხმობთ.

ენერგეტიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის მიერ მომზადებული პუბლიკაციებიდან საზოგადოებამ შეიტყო, რომ ელექტროენერგიის დატაცებას საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, ქალაქსა თუ სოფელში აქვს ადგილი. ჩვენ მიერ, დაუფარავად და მოურიდებლად ქვეყნდება ყველა ის დარღვევა, რაც დეპარტამენტის შესაბამისი სამსახურის სპეციალისტების მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგადაა გამოვლენილი. აღნიშნული მასალები კი რეაგირებისათვის სისტემატურად მიეწოდება შესაბამის ინსტანციებს.

იმისათვის, რომ მოსახლეობა არ დაზარალდეს ან ზარალი მინიმუმამდე იყოს დაყვანილი, საზოგადოებამ ყურადღება უნდა მიაქციოს სხვადასხვა ობიექტებისა თუ წარმოებების უკანონო მიერთებებს, ელექტროგადამცემი ხაზების გადაერთება-გადაყვანას, ხაზებზე "ჩამოკიდებას" და ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ელექტრომომმარაგებელ ორგანიზაციასა და ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტს, რადგან ზემოთ აღნიშნული უკანონო ქმედებების მსხვერპლი გადამხდელი მოსახლეობა ხდება. აქედან გამომდინარე, საზოგადოების, მოსახლეობის გააქტიურება ამ მიმართულებით, დიდად შეუწყობს ხელს დატაცებების წინააღმდეგ ბრძოლაში ენერგოზედამხედველობის დეპარტამენტის სამსახურებს და შესაბამისად, ელექტროენერგიის მიტაცების შემთხვევებიც ნაკლები იქნება, ეს კი პირდაპირპროპორციულად აისახება მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგების გაუმჯობესებაზე.

შემოსული მასალების საფუძველზე, გვერდი მოამზადა ენერგეტიკის სამინისტროს ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა.

# ქართველი ენერგეტიკოსის გამოგონება




თელასის ყოფილმა მთავარმა ინჟინერმა, ბატონმა ნოდარ ჭეიშვილმა, ა.წ. აგვისტოს თვეში განცხადებით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სთხოვდა საქართველოს ელ.ქსელებში, შრომისა და უსაფრთხო პირობების დაცვის ახალი საშუალებების (საკუთარი გამოგონების) გამოყენებას. თავის მხრივ, აღნიშნულმა სამინისტრომ თხოვნით მიმართა ენერგეტიკის სამინისტროს, შეესწავლა აღნიშნული საკითხი. ენერგეტიკის სამინისტრომ საკითხის განხილვა დაავალა ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტს. დეპარტამენტის ტექნიკურმა საბჭომ ნ. ჭეიშვილი მიიწვია წარმოდგენილი პროექტის განსახილველად. საკითხის შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ: ბატონ ნ. ჭეიშვილს, შპს "კრისტალთან" ერთად დამუშავებული აქვს კომპიუტერული პროგრამა "დისპეტჩერული მართვის გლობალური სისტემა", რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა სირთულის ენერგეტიკული საწარმოების (ობიექტების) სადისპეტჩერო სამსახურების კომპიუტერიზაციას სათანადო პროგრამით, რაც საშუალებას მისცემს დისპეტჩერს, დისტანციურად აკონტროლოს ობიექტის მდგომარეობა და მასში წარმოქმნილი ცვლილებების შემთხვევაში, ოპერატიულად მოახდინოს რეაგირება.

პროგრამის ტექნიკური შესაძლებლობები საშუალებას იძლევა, გამოსახოს ობიექტის ელ.კვების პრინციპული სქემა კომპიუტერის ეკრანზე, განსაზღვროს ობიექტები ფერებში, ძაბვის სიდიდეებისა და საერთო მდგომარეობის მიხედვით, ქსელში წარმოქმნილი ცვლილებები ავტომატურად გამოსახოს ეკრანზე, გააკონტროლოს დისპეტჩერის გადაწყვეტილებები ობიექტების მართვაზე, ელექტრო პარამეტრების დასაშვები სიდიდეების დაცვაზე, სქემის ოპტიმალურ შემუშავებაზე, აწარმოოს ეკრანზე შერჩეული ობიექტების მართვა ან მისი მონაცემების გამოძახება, განახორციელოს ჯამური, სტატისტიკური და დიაგნოსტიკური ინფორმაციის მოწოდება. ექსპლუატაციის თვალსაზრისით, პროგრამა მარტივია და მომხმარებლისგან პერსონალურ კომპიუტერთან მუშაობის ელემენტარულ ცოდნას მოითხოვს.

ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული პროგრამის დანერგვის მოთხოვნით შ.პ.ს. "კრისტალმა" მიმართა ს.ს. "თელასს", რომელმაც პროგრამის დანერგვაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ მათ ქ. სანკტ-პეტერბურგიდან შეძენილი ჰქონდათ დისპეტჩერული მართვის სხვა პროგრამული სისტემა, რომლითაც დღემდე სარგებლობენ.

მიუხედავად იმისა, რომ არ არის შესწავლილი წარმოდგენილი პროგრამის დანერგვის ფინანსური მხარე, საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, დეპარტამენტმა მიზანშეწონილად ჩათვალა, მისი, როგორც დისპეტჩერული მართვის დამხმარე საშუალება, დღეს არსებული ფორმით, დანერგოს ენერგოსისტემის ელ.ენერგიის გადამცემ და გამანაწილებელ ქსელში.

დეპარტამენტის ტექნიკური საბჭო მზადაა, შემდგომშიც გააგრძელოს თანამშრომლობა ბ-ნ ნოდარ ჭეიშვილთან და ენერგეტიკის სფეროში მომუშავე სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებთან ახალი გამოგონებებისა და ინიციატივების განხილვასთან დაკავშირებით და თავისი მოსაზრება კომპეტენტურად და ობიექტურად გამოთქვას, რათა მოწონებულ პროექტებსა და გამოგონებებს, მიეცეს მსვლელობა წარმოებაში დასანერგად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს ბატონ ნ. ჭეიშვილის გამოგონება, როგორც დისპეტჩერული მართვის დამხმარე საშუალება და თუკი ტექნიკური და ფინანსური თვალსაზრისით, მომგებიანი და ხელსაყრელი იქნება ენერგოსისტემის ელ.ენერგიის გადამცემი და გამანაწილებელი ქსელისათვის, იგი უთუოდ უნდა დაინერგოს წარმოებაში.






ყვითელაშვილმა მსოფლიო რეკორდი მოხსნა



B2

მასაჟი კურნავს



B3

საქართველოს „ბოლი 2„-ს ჩუხრი გაატანინებს



B4

სტუმარი

# შთაბეჭდილება ინტერვიუს მაგივრად...



ლიზა ციციშვილი

"24 საათი" ლექსო თორაძესთან ვრცელი ინტერვიუს ჩაწერას აპირებდა, მაგრამ რადგანაც პიანისტის ოჯახმა გადაწყვიტა, რომ მუსიკოსი კონცერტამდე კითხვებით, კამერებითა და აჟიოტაჟით არავის გადაეღალა, ჩვენი ინტერვიუც არ შედგა. მე კი, სრულიად შემთხვევით, მამიდაჩემის წყალობით, მოვხვდი ცნობილი პიანისტის რეპეტიციაზე.

ლექსო თორაძე ოპერაში კონცერტისთვის ემზადება და მთელ დღეებს როიალთან ატარებს. იგი ჯანსუღ კახიძის სახელობის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად (დირიჟორი ვახტანგ კახიძე) რახმანინოვის მესამე საფორტეპიანო კონცერტს შეასრულებს. ამ რეპეტიციაზე დასწრებამ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მუსიკალური განათლება არ მაქვს, რაზეც ძალიან მწყდება გული.

რეპეტიცია მუსიკალურ ცენტრში ჩატარდა, სადაც რემონტიც მიმდინარეობს და ძალიან ცივა, მაგრამ, როცა დიდ პიანისტს უყურებ, სიცივეს ვერ გრძნობ. რეპეტიციის მსვლელობისას ლექსოს დამ, ნინო თორაძემ ჩამჩურჩულა - ბევრი არაფრის თქმა შემიძლია, მაგრამ მინდა იცოდე, რომ ლექსო ინსტრუმენტს ყოველი აკორდისას ეფერებაო. მიუხედავად იმისა, რომ მუსიკაში მართლაც ბევრი არაფერი გამეგება, ეს მეც კი შევამჩნიე.

ანტრაქტის დროს ბატონი ლექსოს გაცნობის საშუალებაც მომეცა. იმდენად ბედნიერი ვიყავი, რომ მსოფლიო მნიშვნელობის მუსიკოსის წინაშე ვიდექი, ვერ გავბედე რამე მაინც მეკითხა მისთვის. მით უფრო, რომ თავის სამყაროში ტრიალებდა და მხოლოდ მუსიკით და საკუთარი საქმით იყო მოცული.

სამწუხაროდ, ჩემი თაობა მოკლებულია ისეთ ვარსკვლავებთან შეხვედრას, რომელთა დიდმა ნაწილმა დატოვა საქართველო და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების მიზნით საზღვარგარეთ წავიდა. საქართველოში ხომ წლების მანძილზე არსებობის ელემენტარულ პირობებსაც ვერ სთავაზობდა მათ.

ნახევარსაათიანი ანტრაქტის დროსაც კი აშკარად შესამჩნევი იყო გენიალური პიანისტის უბრალოება და უკმაყოფილების გრძნობა, რომელიც ყველა დიდი შემოქმედის ღირსებაა. ხშირად გენიალობა ხომ ზუსტად სიმარტივესა და სისადავეში ვლინდება. საკუთარ თავში ზედმეტად შეყვარებულ და თვითდაჯერებულ ადამიანებს კი, რომლებიც მრავლადაა ჩვენ გარშემო, პროფესიონალიზმთან ცოტა რამ თუ აქვთ საერთო.

ეს შთაბეჭდილებები კონცერტამდე, რეპეტიციის დროს შემექმნა. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ 5 დეკემბერს, კონცერტზე მოხვედრილ იღბლიან მსმენელს უდიდესი სიამოვნება ელოდება.







# აფიშა

## კონცერტები

**დიდი საკონცერტო დარბაზი**
"ჯეოსელის" ლატარიის გათამაშება
დას: 18:00 სთ.

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
ნინო ბასილია
"თაგვი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ვაჟა-ფშაველა
"გველისმჭამელი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**კინომსახიობთა თეატრი**
რევაზ გაბრიაძე
"ჩვენი პატარა ქალაქი"
(თორნთონ უაილდერის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით)
სამ მოქმედებად
დამდგმელი რეჟისორი: მიხეილ თუმანიშვილი
რეჟისორი: ზაზა მიქაშავიძე
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
"კარმენ!"
მარინა ჯანაშიას საავტორო სპექტაკლი
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ევრიპიდე, ჟან ანუი
"მედეა"
რეჟისორი: გოჩა კაპანაძე
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"ალექსანდრე"
დას: 11:30; 18:30; 22:00 სთ.
ფასი: 6-დან 14 ლარამდე

**ამირანი**
"ალექსანდრე"
დას: 12:00; 19:00; 22:15 სთ.
ფასი: 6-დან 14 ლარამდე

**ცირკი**
რუსეთის საცირკო პროგრამა
ხუთი კონტინენტის 89 სახეობის ცხოველი.
ფასი: 3-7 ლარი
ლოჟა: 15 ლარი
დას: 12:00; 15:00 სთ.

## გამოფენები

**ქარვასლა**
ბაბი ბადალოვის ნამუშევართა გამოფენა

**ჰობი**
თეონა თავართქილაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**ძველი გალერეა**
გია ბუღაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
ქართული რევოლუციის წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა

**სამხატვრო აკადემია**
აკადემიის დაარსებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა

**სალონი "ხელოვნება"**
ხელოვნების ნიმუშთა გამოფენა-გაყიდვა

**ბავშვთა სურათების გალერეა**
"ზამთარი ჩვენ სახლებში"

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* ***culture@24hours.ge***

# გამოფენა უგმიროდ

## ანუ "24 მეტრი აბრაბაბიბრა"

მადი სერებრიაკოვა

*"მიტოვებულ ჯართის საყრელზე მცენარეები მაინც იზრდებიან და მზისკენ ისწრაფიან, მწვანე მდელოზე კი ხელოვნური მანქანა თავისით ვერასოდეს აღმოცენდება", - ეს აზერბაიჯანელი არტისტის, მხატვრისა და პოეტის ბაბი ბადალოვის 24-მეტრიანი გრაფიკული ნამუშევრის კონცეფციაა. ეს ნამუშევარი გუშინ ქარვასლაში მხატვრის გამოფენაზე იყო წარმოდგენილი. გამოფენა გაიხსნა, თუმცა ავტორი მას ვერ დაესწრო. როდესაც ბადალოვი ქარვასლაში, საკუთარი გამოფენის გახსნაზე მიდიოდა, მას ქუჩაში მანქანა დაეჯახა. მხატვარი ტვინის შერყევის მძიმე ფორმით საავადმყოფოში მოათავსეს.*



იური ლობოდინის ფოტო

ბაბი ბადალოვი დღეს აზერბაიჯანში მოღვაწე ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო არტისტია, რომელიც თანამედროვე კონცეპტუალურ ხელოვნებას ქმნის. აზერბაიჯანში ამ ტიპის ხელოვანთ დიდი გასაქანი არა აქვთ. ისევე როგორც, ალბათ, მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომელიც ჯერ ისევ სოც-არტის კონცეპტუალიზებით ცდილობს თანამედროვე ხელოვნების ძალზე არაერთგვაროვან სივრცეში ინტეგრირებას. ბადალოვი წლების მანძილზე რუსეთსა და აშშ-ში ცხოვრობდა, მონაწილეობდა მხატვრულ აქციებსა და ბიენალეებში, მართავდა გამოფენებს. მხატვარს პერსონალური გამოფენები ჰქონდა სან-ფრანცისკოში, პეტერბურგში, ამსტერდამში. 1997 წლიდან კი ბაქოში დაბრუნდა და მას შემდეგ აზერბაჯანის თანამედროვე ხელოვნების ყველა მნიშვნელოვან აქციასა და გამოფენაში იღებს მონაწილეობას.

ბაბი ბადალოვი საქართველოშიც იყო ჩამოსული ფესტივალ "აპენდიქსის" ფარგლებში. სწორედ მაშინ გაჩნდა იდეა, აზერბაიჯანელი მხატვარი თბილისში კიდევ ერთხელ, ამჯერად უკვე საკუთარი გამოფენით ჩამოსულიყო.

საქართველოს ისტორიულ მუზეუმში მოწყობილ გამოფენას მხოლოდ პირობითად შეიძლება ვუწოდოთ ეს სახელი, რადგან სინამდვილეში ის მხოლოდ ერთი ნამუშევრისგან შედგება. ეს არის 24 მეტრი სიგრძის გრაფიკული ნამუშევარი, რომელიც ქარვასლის საგამოფენო დარბაზის ორ კედელს მოიცავს. დანარჩენ სივრცეს მხატვრის მანიფესტი ავსებს.

"24 მეტრი აბრაბაბიბრა", ავტორის კონცეფციით, ორგანულ და ტექნიკურ სამყაროს შორის მარადიულ ბრძოლას ასახავს. ერთი მხრივ, ის ხელოვნების დასასრულზე საუბრობს: **"ნახატებს მეცხრამეტე, მეოცე საუკუნეში და კიდევ უფრო ადრე ხატავდნენ,** - აღნიშნავს ბადალოვი ნამუშევარზე დართულ მანიფესტში, **- ახლა ოცდამეერთე საუკუნეა. თანამედროვე ხელოვანი ყველა შესაძლო მასალასა და ტექნოლოგიას იყენებს".** მეორე მხრივ, "24 მეტრი აბრაბაბიბრა" ზედმეტი ექსპერიმენტებით არ გამოირჩევა და სავსებით ჯდება გრაფიკის ტრადიაში. თუმცა, ამას პრინციპული მნიშვნელობა, ალბათ, არცა აქვს. ხელოვნება ხომ უფრო მეტია, ვიდრე ტილო, საღებავი, ან თუნდაც თანამედროვე ტექნოლოგიები. **"ხელოვნება მოკვდა, მე ისევ მხატვარი ვარ",** - აცხადებს არტისტი. როგორც კრიტიკოსები და კოლეგები აღნიშნავენ, ბაბი ბადალოვი, მართლაც, ზუსტად პოულობს ოქროს შუალედს ხელოვნებასა და ტექნოლოგიას შორის.

ყოველთვის საინტერესოა, თვალი მიადევნო ასეთი ტიპის ხელოვნებაში, სად მთავრდება კონცეფცია და სად იწყება თავად მხატვრული ნამუშევარი, ანდა პირიქით. ჩვეულებრივ, ასეთი ზღვარი არ არსებობს. ბაბი ბადალოვი ამბობს, რომ ინტელექტსა და გულს შორის ბალანსი 50/50-ზე უნდა იყოს - **"არ მიყვარს, როდესაც რომელიმე მხარე გადაწონის".**

გუშინ ქარვასლაში ბაბი ბადალოვის გამოფენის ოფიციალური გახსნაც იგეგმებოდა. სამწუხაროდ, საავტომობილო შემთხვევამ ავტორსა და გამოფენის ორგანიზატორებს გეგმები აურია. საბედნიეროდ, მხატვარი გადარჩა. გამოფენის გახსნა კი მისი დაბნეული და შეცბუნებული კოლეგებისა და მასპინძლების იმედად დარჩა. გამოფენის გარდა, ბაბი ბადალოვს წიგნის პრეზენტაციაც ჰქონდა დაგეგმილი. ეს მისი პოეტური კრებულია, თუმცა, არა ტრადიციული მნიშვნელობით. Art...ist poetry - ასე ჰქვია ბადალოვის მომცრო წიგნს, რომელშიც ლექსები ინგლისურ, რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზეა დაბეჭდილი. თუმცა, მათი შინაარსი ტრადიციული გზით არ უნდა ეძებო და ენობრივი ბარიერიც არ არის პრობლემა. ეს უფრო ვიზუალური პოეზიის ნიმუშებია, რომელიც შეიძლება, უბრალოდ, ერთი შეხედვით აღიქვა და შეაფასო.

უსიამოვნების მიუხედავად (ისევ საავტომობილო შემთხვევას ვგულისხმობ), ბაბი ბადალოვის გამოფენაზე საკმაოდ ბევრი ხალხი მოვიდა - ძირითადად, მისი კოლეგები და ხელოვნების მოყვარულები. პოპულარობაზე თავად არტისტიც არ აცხადებს პრეტენზიას: **"ჩვენი წარმატების კრიტერიუმებს პოპ-კულტურა გვკარნახობს. წარმატებულს ვეძახით მას, ვისაც მილიონები აღიარებენ".** მილიონებს ჯერ კიდევ აქვთ შანსი, ბაბი ბადალოვის "24 მეტრი აბრაბაბიბრა" ნახონ და მისივე წიგნს გაეცნონ "ქარვასლაში". თავად მხატვარს კი გამოჯანმრთელება ვუსურვოთ.

# ყვითელაშვილმა მსოფლიო რეკორდი მოხსნა

თემურ ყვითელაშვილმა გიტარაზე შეუსვენებლად დაკვრის რეკორდი დაამყარა. მოხვდება თუ არა ქართველი მუსიკოსი გინესის რეკორდების წიგნში, ჯერჯერობით, უცნობია.



ყვითელაშვილმა წინამორბედის, ინდოელი გიტარისტის მაჩვენებელი - 24 საათი და 30 წუთი, ორსაათნახევრით გააუმჯობესა. გიტარაზე დაკვრა ქართველმა მუსიკოსმა მოსკოვის დროით დილის 7 საათიდან დაიწყო და 27 საათს გააგრძელა. მაგრამ, ყვითელაშვილის მარათონი ამით არ დასრულდება. მუსიკოსს განზრახული აქვს, ეს დრო 30 საათამდე გაზარდოს.

აქცია ირკუტსკის ოლქში გაიმართა. ორგანიზატორები დარწმუნებულები არიან, რომ ქართველ მუსიკოსს გინესის რეკორდების წიგნში შეიყვანენ, რადგანაც მარათონი გინესის საერთაშორისო პროექტის წესებით მიმდინარეობს. პროცესს დამკვირვებელთა ჯგუფი ჰყავს და მას ორი ვიდეოკამერა აფიქსირებს.

დარბაზში იმყოფებიან დაცვისა და სამედიცინო სამსახურის თანამშრომლებიც. თუმცა, აქციის ორგანიზატორთა ინფორმაციით, ყვითელაშვილს ექიმების დახმარება არ დასჭირვებია. ყვითელაშვილი სარგებლობდა ხუთწუთიანი შესვენებებით ყოველი ერთსაათიანი დაკვრის დასასრულს, რაც დაშვებულია. რაც შეეხება მარათონის ადგილს - ციმბირის ქალაქი ანგარსკი მუსიკოსმა იმიტომ აირჩია, რომ იქ მას ბევრი კარგი მეგობარი ჰყავს.

შეგახსენებთ, თემურ ყვითელაშვილი ამჟამად მოსკოვში მოღვაწეობს. შარშან ის ლოს-ანჯელესში საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული გახდა და მსოფლიოს საუკეთესო მუსიკოსად აღიარეს.

# შეხვედრა მოგზაურთან

*გუშინ "გოეთეს ინსტიტუტში" ლიტერატურული საღამო გაიმართა. "კაფე გოეთეში" ქართველი მკითხველი კიდევ ერთხელ შეხვდა გერმანელ მწერალს ული როტფუსს. პრეზენტაცია-შეხვედრაზე საზოგადოება გაეცნო გერმანელი ავტორის ნამუშევარს "ლეილა იცინის (მისი თვგადასავალი. დასაწყისი და დასასრული)", რომელსაც გაისად "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" შემოგვთავაზებს.*



იური ლობოდინის ფოტო

*სტუმარ-მასპინძლობა "კაფე გოეთეში".*

გუშინ კი "კაფე გოეთეში" ავტორმა თავად წაიკითხა ნაწყვეტები წიგნიდან. მის ქართულ თარგმანს სტუმრებს ნანა ჯაფარიძე აცნობდა (ქართული თარგმანის ავტორია ნანა შალამბერიძე). ლიტერატურულ საღამოს მუსიკალურად აფორმებდა სიმფონიური ორკესტრის ჩელისტი დეა რუსიშვილი.

ული როტფუსი 16 ბელეტრისტული წიგნის (მათ შორის რომანების, მოთხრობების, ლექსების, ბიოგრაფიული ნაწარმოებების, საყმაწვილო) ავტორია; პოეტიკასა და მედიების თეორიაზე კითხულობს ლექციებს შვებიშ ჰალის მხარის უმაღლეს სამხატვრო სკოლაში. მწერალი ამასთანავე ჰერმან ჰესეს საერთაშორისო საზოგადოების მენეჯერი, საერათაშორისო PEN-საზოგაოების წევრი და მისი Writers for Peace კომიტეტის დელეგატია.

ქართული საზოგადოება ული როტფუსს ადრეც შეხვედრია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თბილისის გოეთეს ინსტიტუტში მწერალმა წაიკითხა ლექციები თანამედროვე გერმანულ ლიტერატურასა და ჰერმან ჰესეზე.

რაც შეეხება ული როტფუსის წიგნს - "ლეილა იცინის (მისი თვგადასავალი. დასაწყისი და დასასრული)", ის მოგზაურობის შესახებ მოგვითხრობს. "მოგზაურობა, როგორც გაქცევის საშუალება და უკან დაბრუნება, როგორც ცდა სამშობლოს პოვნისა... ლინკენჰაილი (ასე ჰქვია მთავარ პერსონაჟს) მოხეტიალეა, ფიქსირებული საკუთარ თავზე, და ამასთანავე იძულებული, რომ სიახლოვე სხვაგან, სხვა ადგილებში, ბუნებაში და სხვა ადამიანებთან ეძიოს. ის აღფრთოვანებულია აღმოსავლეთით - უნგრეთით, რუსეთით, განსაკუთრებით კავკასიით და შორეული აღმოსავლეთით. ის აქ ამყარებს კავშირს ბუნებასა და ადამიანებთან. ესაა მოგზაურობა და ურთიერთგაგების სურვილით, ცხოვრების გაგრძელების აუცილებლობით, მგრძნობიარობითა და სიშორით გაპირობებული სიყვარულის ისტორია, რომელსაც ლინკენჰაილი გამუდმებით აკავშირებს თავის ადრეულ სასიყვარულო ურთიერთობებთან. ლეილასთან ერთად იგი ხელახლა განიცდის ყოველივეს, რაც კი ოდესღაც განუცდია. ლეილასთან ერთად მისთვის შესაძლებელი ხდება საკუთარ ცხოვრებაში გარკვევაც", - ნათქვამია წიგნის შესახებ შედგენილ საინფორმაციო ტექსტში. *24 საათი*

# საახალწლო კონცერტები კონსერვატორიაში

დეკემბერში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდი დარბაზი საახალწლო კონცერტებს უმასპინძლებს. საახალწლო ღონისძიებებში უცხოეთის ქვეყნებიდან, მათ შორის დიდი ბრიტანეთიდან, ყაზახეთიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან და აშშ-დან მოწვეული მუსიკოსები მიიღებენ მონაწილეობას.

წინასაახალწლო პროგრამას 17 დეკემბერს გახსნის საორღანო მუსიკის კონცერტი ლატვიელი შემსრულებლის დეკსნის ტალივალდიუსის მონაწილეობით. ამას გარდა, დეკემბერში კონსერვატორია კამერული მუსიკის მოყვარულებს სხვა საინტერესო კონცერტებსაც შესთავაზებს. ***ინტერ-პრესი***

# მასაჟი კურნავს




თქვენ წევხართ ქათქათა, სუფთა ზეწარზე. ოთახში ნახევრად ბნელა. ჰაერი ნუშის ზეთის სურნელებითაა გაჟღენთილი. შემდეგ ნაზი თითები ფრთხილად ეხება თქვენს კისერსა და ყელს, მხრებსა და ხერხემალს. თქვენ თვალებს ხუჭავთ, ღრმად სუნთქავთ და მთელი სხეულით ეშვებით.

ეს ის წამიერი, მაგრამ უზარმაზარი სიამოვნებაა, რომელიც მასაჟს მოაქვს. თუმცა, საინტერესოა, შეიძლება თუ არა, მისი ჭეშმარიტი სამედიცინო და სამკურნალო მიზნებისთვის გამოყენება?

ამერიკაში მიიჩნევენ, რომ შეიძლება. შტატების სხვადასხვა სამედიცინო ცენტრსა და საავადმყოფოში სულ უფრო ხშირად რთავენ მასაჟს სამკურნალო პროცედურების ნუსხაში. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპზე ის ერთ-ერთი ყველაზე მიღებული არატრადიციული თერაპიაა და ამასვე ადასტურებს ამერიკული საავადმყოფოების ასოციაციის 2003 წლის სტატისტიკა.

ძირითადად, მასაჟს მიმართავენ იმ შემთხვევაში, როცა პაციენტს ტკივილთან და სტრესთან გამკლავება უწევს; ანდა მას იყენებენ თერაპევტული პროცედურის რანგშიც სიმსივნიანი პაციენტებისთვისა და ორსული ქალებისთვის.

ასეა ვირჯინიის შტატის ქალაქ შარლოტსვილის კლინიკაშიც. იქ სიმსივნიანი ავადმყოფების თერაპევტულ მასაჟზე ათამდე სპეციალისტია მიმაგრებული. იგივე ხდება კოლორადოშიც, ლონგმონტის საავადმყოფოში - მასაჟისტის გამოძახება პაციენტს დღე-ღამის ნებისმიერ დროს შეუძლია. ნიუ იორკშიც, სლოან-ქეთერინგის სიმსივნის ცენტრშიც 11 მასაჟისტი-თერაპევტი მუშაობს, რომლებიც დაუზარელად ემსახურებიან ასობით პაციენტს.

ლოს ანჯელესის აღმოსავლეთ-დასავლეთ მედიცინის ცენტრის მასაჟისტებს კი უკვე რეგულარულად იძახებენ ფიბრომიალგიან, შაკიკიან და ხერხემლის ტკივილით შეწუხებულ პაციენტებში სტრესის მოსახსნელად.

მოკლედ, ტენდენცია ამერიკაში აშკარაა. ალბათ, ამის გამოა, რომ ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტი ერთდროულად რამდენიმე კვლევას აფინანსებს, რათა მასაჟის სამკურნალო დამსახურებების შესახებ მეტი ინფორმაცია დაგროვდეს.

წინა კვლევების შედეგად უკვე დადგენილია, რომ მასაჟს შეუძლია ქრონიკული ტკივილის საგრძნობლად შემცირება, აღგზნებულობისა და დეპრესიის მოხსნა, იმუნოფუნქციონირების გაუმჯობესება.

მიუხედავად ამისა, ექიმების გარკვეული კატეგორია მასაჟს დღემდე სკეპტიკურად უყურებს და აცხადებს, რომ მისი ეფექტურობის დასადგენად უფრო საფუძვლიანი კვლევის ჩატარებაა საჭირო.

ისინი კი, ვინც მასაჟი უკვე გამოსცადა საქმეში, საწინააღმდეგოს ამტკიცებს.

ექიმების, მედდებისა და პაციენტების განმარტებით, სიღრმისეული სამედიცინო კვლევები საჭირო არ არის. მასაჟის ეფექტურობის დადგენა კერძო შემთხვევებითაც შეიძლება.

ასეთი შემთხვევები კი მრავლად არის. "ეჭვგარეშეა, რომ მასაჟს მრავალი სიკეთე ახლავს თან სამედიცინო თვალსაზრისით" - დასძენს ექიმი გრეგორი ფონტანა, ლოს ანჯელესის სედარს-სინაის სამედიცინო ცენტრის კარდიო-ქირურგი. მან ჩაატარა საგანგებო გამოკითხვა გულით ავადმყოფებს შორის ისეთი არატრადიციული თერაპიის შესახებ, როგორიც მასაჟია.

გაირკვა, რომ გამოკითხული პაციენტების 95 პროცენტი მასაჟს ოპერაციის შემდგომი თერაპიის უმნიშვნელოვანეს ნაწილად თვლიდა.

ამ აზრს ეთანხმება სანტა მონიკელი ექიმი კაკიტ ჰუიც. "მასაჟი ძალიან კარგი სამკურნალო საშუალებაა, უბრალოდ, მას სათანადოდ არავინ აფასებს. ადამიანები ფიქრობენ, რომ მასაჟი კარგია ტკივილის შესამსუბუქებლად, მაგრამ ბოლომდე მაინც არ სჯერათ, რომ მასაჟი ააქტიურებს სხეულის საკუთარ გამაჯანსაღებელ სისტემას".

თუმცა, უცნობია, რატომ ჩნდება სკეპტიციზმი, მაშინ, როცა მასაჟი, როგორც სამკურნალო ხელოვნება, ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ.-მდე 4 ათას წელსაც არსებობდა, ინდოეთსა და ჩინეთში.

დღეს კი ლოს ანჯელესის აღმოსავლეთ-დასავლეთის ცენტრში პაციენტები ხშირად მხოლოდ მასაჟის გასაკეთებლად მიდიან. ცენტრში რეგისტრირებული ადამიანების თითქმის ნახევარი მკურნალობის კურსს სწორედ მასაჟით გადის.

მაგალითად, 45 წლის ანა მაქგერკი. დაახლოებით ხუთი წლის წინ ამ ქალბატონს ისეთი მწვავე თავის ტკივილი დაეწყო, რომ ექიმები ტკივილის გასაყუჩებლად მორფინს აძლევდნენ. მაქგერკი კვირაში 4-5 დღეს ლოგინში ატარებდა, რის გამოც, სამსახურის დაკარგვის საფრთხეც უფრო აშკარა ხდებოდა. მდგომარეობას არც ანტიდეპრესანტები და ძლიერი ტკივილგამაყუჩებლები შველიდა. ბოლოს მაქგერკი ლოს ანჯელესის სამედიცინო ცენტრში მოხვდა, წარმოშობით ჩინელ ექიმ ძუნ ლიან იუსთან, რომელიც ლოს ანჯელესში მასაჟისა და აკუპუნქტურის სპეციალისტია. "ის პირველი ადამიანი იყო, რომელიც შაკიკის შემდეგ კისერსა და მხრებზე შემეხო. აღმოჩნდა, რომ სისხლის მიმოქცევა ტვინთან თითქმის შეჩერებული იყო, ანუ ტვინს არ მიეწოდებოდა ჟანგბადი და თუ არ არის ჟანგბადი, ე.ი. თავის ტკივილებიც ამიტომ გაქვს".

ჩინელმა მასაჟისტმა მაქგერკის კისრის, ხერხემლისა და მხრების ნაზი დამუშავება დაიწყო; ნაზი, რათა არ გაეღიზიანებინა კუნთები. რამდენიმე სეანსის შემდეგ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. ახლა მაქგერკს თავის ტკივილი მხოლოდ სამ კვირაში ერთხელ თუ შეუტევს ხოლმე.

ასე რომ, მასაჟი კურნავს, ამტკიცებენ ამერიკელი ექიმები და მათ მხარს პაციენტებიც უბამენ.

# მაიდანზე როკ-ენ-როლი ხელახლა დაიბადა



"კიევში, მეიდანზე როკ-ენ-როლი ხელახლა დაიბადა. ეს შესანიშნავი იყო, მე მასში ვცურავდი", - ამგვარად დაახასიათა იური შევჩუკმა კიევში, დამოუკიდებლობის მოედანზე შექმნილი ატმოსფერო. ლეგენდარული რუსული როკ-ჯგუფის ლიდერი თანამემამულე კოლეგებიდან, ალბათ, ერთადერთი გამონაკლისია, ვინც უკრაინაში შექმნილ საზოგადოებრივ მღელვარებას ხმამაღლა, დაუფარავად გამოეხმაურა. და, რაც მთავარია, ეს გამოხმაურება არც ერთი პოლიტიკური ძალის მხარდასაჭერად არ გამოდგება. მუსიკოსთან ინტერვიუ გუშინ უკრაინის "მეხუთე არხზე" გადაიცა.

შევჩუკის აზრით, კიევში არსებული მდგომარეობა სამოქალაქო საზოგადოების ჩასახვის ნიშანია: "კიევმა აჩვენა საკუთარი თავი. მთელმა უკრაინამ აჩვენა ამით საკუთარი თავი". მუსიკოსმა ისიც განმარტა, რომ უკრაინაში არსებულ პოლიტიკურ დაპირისპირებაში ის აბსოლუტურად ნეიტრალურია. შევჩუკმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ვერ იტანს პოლიტიკას, ის, უბრალოდ, მონუსხა "ხალხმა, მათმა თვალებმა, სიკეთემ და სწრაფვამ თავისუფლებისკენ".

იური შევჩუკის სიმპათიებს ვერ იმსახურებენ რუსული ესტრადის ის ვარსკვლავები, ვინც უკრაინაში წინასაარჩევნო საკონცერტო გამოსვლებში მიიღო მონაწილეობა. ძველი როკმენის აზრით, ეს ის ხალხია, ვინც ფულის გამო აკეთებს ყველაფერს. რაც შეეხება როკ-ენ-როლთან კიევში, დამოუკიდებლობის მოედნაზე არსებული ვითარების კავშირს, ის ამბობს: "რასაკვირველია, როკ-ენ-როლი ეს არაა სამი აკორდი. ესაა ჭეშმარიტების ძიება, ახალი მსოფლმხედველობის ძიება, სიმართლის ძიება. როკ-ენ-როლი ყოველთვის რევოლუციურია", - ამბობს მუსიკოსი.

"ჩვენ გვიყვარს უკრაინა. ვიმედოვნებთ, რომ უკრაინა ერთიანი დარჩება", - განუცხადა "მეხუთე არხს" შევჩუკმა და ისიც გაუმხილა, რომ მეიდანზე შექმნილმა სიტუაციამ მას სიმღერა მოაფიქრა. "სიამოვნებით ვუმღერებ ადამიანებს, თუკი მექნება ასეთი შეთავაზება. ვუმღერებ არა პარტიებს, არამედ ადამიანებს".




## ათეულები

| კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მონაცემებით | | |
|---|---|---|
| გამოცემა/ავტორი | სათაური | რეიტინგი |
| ყოველდღიური ლიტერატურული გაზეთი | "პარნასი" | 29.4 |
| საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი | "ალტერნატივა" | 9.2 |
| ლიტერატურული გაზეთი | "24 საათი/წიგნები" | 7.6 |
| [illegible] | [illegible] | 6 |
| საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი | "არილი" | 5.6 |
| ალენ კარი | [illegible] | 2 |
| [illegible] ასტურიასი | "გვატემალის ლეგენდები" | 2 |
| [illegible] | "გერმანული ენის გრამატიკა" | 2 |
| [illegible] | [illegible] | 1.6 |
| "კვირის პალიტრის" ლიტერატურული დამატება | "ლიტერატურული პალიტრა" | 1.6 |



| თანამედროვე როკის ცხელი ათეული ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით | | | |
|---|---|---|---|
| შემსრულებელი | სიმღერის სათაური | წინა კვირის პოზიცია | ჩარტებში გატარებული პერიოდი |
| Jimmy Eat World | Pain | 2 | 13 კვირა |
| "გრინ დეი" | Boulevard Of Broken Dreams | 3 | 8 კვირა |
| U2 | Vertigo | 1 | 9 კვირა |
| Chevelle | Vitamin R (Leading Us Along) | 4 | 16 კვირა |
| [illegible] | Cold | 8 | 22 კვირა |
| Breaking Benjamin | So Cold | 7 | 28 კვირა |
| [illegible] | Ocean Breathes Salty | 10 | 13 კვირა |
| [illegible] | Getting Away With Murder | 6 | 19 კვირა |
| "კილერზი" | Mr. Brightside | 11 | 8 კვირა |
| [illegible] | Fall To Pieces | 9 | 19 კვირა |



| ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინო-თეატრების მონაცემებით | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფილმი | რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 33,156,917 | 87,270,875 |
| The Incredibles | [illegible] | [illegible] | 23,580,279 | 214,294,035 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 21,870,867 | 30,818,212 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 19,389,297 | 81,479,861 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 17,844,331 | 58,792,169 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 13,687,087 | 21,837,517 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 6,231,968 | 21,963,405 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 4,670,177 | 7,753,315 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 3,976,685 | 65,126,070 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 3,101,979 | 24,320,526 |

ფეხბურთი

# ჩაწყობასაც ცოდნა უნდა... რომ არ გაგიბაზრდეს

**BBC-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, სპორტული მაქინაციის ბრალდებით, უეფა-ს სადისციპლინო კომიტეტმა საბერძნეთის "პანიონისსა" და თბილისის "დინამოს" შორის 1 დეკემბერს გამართულ მატჩთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო. საფეხბურთო კლუბი "დინამო თბილისი" აცხადებს: თბილისის "დინამოს" მონაწილეობა რაიმე გარიგებაში არა მხოლოდ 1 დეკემბრის მატჩთან, არამედ ყველა სხვა შეხვედრასთან დაკავშირებით აბსოლუტურად გამორიცხულია. ასე რომ, კლუბი, რომელსაც საკმაო რეპუტაცია აქვს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, შეურაცხყოფილია. ჩვენ თავად ვართ დაინტერესებული და მოვითხოვთ, რომ შესაბამისმა ორგანოებმა უმოკლეს ვადაში გამოიძიონ ეს საქმე და ნათელი მოეფინოს ყოველივეს, რათა თბილისის "დინამოს" რეპუტაცია არ შეილახოს. მეტიც, ჩვენი კლუბი მზად არის, ჭეშმარიტების დასადგენად ითანამშრომლოს ნებისმიერ ორგანოსთან, რომელსაც ამ საქმის გამოძიება დაევალება"**, - ეს არის ტექსტი, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა საფეხბურთო კლუბ "დინამოს" ოფიციალურ ვებგვერდზე და რომელიც კლუბის ოფიციალურ კომენტარად უნდა მივიჩნიოთ "პანიონისი"-"დინამოს" მატჩის ირგვლივ ატეხილ სკანდალზე.

აქვე გთავაზობთ მეორე "დამნაშავის", საფეხბურთო კლუბ "პანიონისის" ოფიციალურ განცხადებას, რომელიც ასევე გუშინ, ბერძნული კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა. "პანიონისი" ამ განცხადებით მიმართავს საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციას: **"გუშინ უცხოეთის მასმედიის საშუალებით საფეხბურთო კლუბმა "პანიონისმა" შეიტყო იმის შესახებ, რომ უეფა-მ "პანიონისი"-"დინამო თბილისის" მატჩის შედეგთან დაკავშირებით ინფორმაციების მოძიება დაიწყო. ამ პუბლიკაციისა და უეფა-ს წარმომადგენლის განცხადების (თუ ასეთი განცხადება საერთოდ გაკეთდა) გამო, უმორჩილესად გთხოვთ, დაუყოვნებლივ მოგვაწოდოთ ოფიციალური ინფორმაცია აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, რათა მოვახდინოთ შესაბამისი რეაგირება "პანიონისის" სახელისა და ისტორიის დასაცავად.**

**ამასთანავე, საფეხბურთო კლუბი "პანიონისი" მოგახსენებთ, რომ ჩვენ მზად ვართ, მივაწოდოთ საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციასა და უეფა-ს ნებისმიერი საჭირო ინფორმაცია, რათა ეს საკითხი მოგვარდეს.**

**საფეხბურთო კლუბი "პანიონისი" დახმარებას გაუწევს უეფა-ს წარმომადგენლებს, რათა ნაპოვნი იქნან პასუხისმგებელი პირები, თუ ასეთები არსებობენ".**

როგორც ხედავთ, "დინამოსა" და "პანიონისის" კომენტარები თითქმის იდენტურია. ასეთი განცხადებების გაკეთება კი კლუბების ხელმძღვანელებს გუშინწინ, "პანიონისი"-"დინამოს" მატჩის მეორე დღეს, საინფორმაციო სააგენტო BBC-ს მიერ გავრცელებულმა ინფორმაციებმა აიძულეს, რომელთა მიხედვითაც კლუბებმა მატჩის საბოლოო შედეგი და მისი მსვლელობა წინასწარ დაგეგმეს, ანუ მატჩი "ჩააწყვეს".

1 დეკემბერს ათენის "პანიონისთან" გასამართი მატჩი უკანასკნელი იყო "დინამოსთვის" უეფა-ს თასის წლევანდელ გათამაშებაში. იმის გამო, რომ ჯგუფური ეტაპის წინა სამივე შეხვედრაში "დინამო" დამარცხდა, "პანიონისთან" უკანასკნელი მატჩი თბილისელებს მხოლოდ პრესტიჟის აღსადგენად და უეფა-ს თასის ჯგუფურ ეტაპზე პირველი გოლის გასატანად თუ გამოდგებოდა.

"დინამომ" ათენში გოლიც გაიტანა და პირველი ტაიმიც მოიგო. შესვენების შემდეგ "პანიონისმა" წონასწორობა აღადგინა, თუმცა, ლადო ახალიამ მათ კარში კიდევ ერთი ბურთი გაიტანა და "დინამო" ისევ დაწინაურდა. ამის შემდეგ მასპინძლებმა ანგარიში გაათანაბრეს და კიდევ სამი გოლი გაგვიტანეს. მატჩი "პანიონისის" გამარჯვებით დასრულდა - 5:2.

თამაშის დაწყებამდე მომხდარი უცნაური ფაქტები რომ არა, ასეთი შედეგი არავითარ ეჭვს არ გამოიწვევდა.

ყველაზე გასაკვირი ის იყო, რომ ტურნირის აშკარა აუტსაიდერების, ევროპელთათვის ნაკლებად ცნობილი ორი კლუბის შეხვედრა საოცრად დიდი პოპულარობით სარგებლობდა ევროპული ტოტალიზატორების კლიენტებს შორის. კიდევ უფრო დიდ ეჭვს იწვევდა ის ფაქტი, რომ მოთამაშეთა უმრავლესობა ერთსა და იმავე შედეგზე, ეგრეთ წოდებულ "ტაიმ-გოლზე" დებდა ფსონს. "ტაიმ-გოლი" ტოტალიზატორში მოთამაშეთათვის კარგად ცნობილი ვარიანტია: ფსონს დებთ იმაზე, რომ პირველ ტაიმს ერთი გუნდი მოიგებს, მთლიანად მატჩს კი - მეორე. "ტაიმ-გოლზე" კოეფიციენტები ყოველთვის მაღალია, დაახლოებით ერთი 30-თან. ევროპის სხვადასხვა ტოტალიზატორში კოეფიციენტები "პანიონისი"-"დინამოს" ტაიმ-გოლზე სწორედ 1/25-დან 1/33-მდე მერყეობდა. ზუსტად ამ ვარიანტს ირჩევდნენ მოთამაშეები, რამაც ტოტალიზატორების ხელმძღვანელთა დიდი ეჭვი გამოიწვია. მართლაც, გასაკვირია! საიდან დაასკვნეს ინგლისელმა, გერმანელმა და სხვა ევროპელმა გულშემატკივრებმა, რომ ქართული "დინამოსა" და ბერძნული "პანიონისის" მატჩის პირველი ტაიმი დინამოელთა გამარჯვებით დამთავრდებოდა, მეორე ტაიმში კი ბერძნები ანგარიშსაც გაათანაბრებდნენ და მატჩსაც მოიგებდნენ?! ამ ფაქტმა ბუკმეკერები ძალიან დააეჭვა და, შედეგად, ევროპის თითქმის ყველა ტოტალიზატორმა "პანიონისი"-"დინამოს" მატჩი თავისი პროგრამიდან ამოიღო. ვინც მოასწრო ფსონის დადება, ხომ კარგი, ვინც ვერა და... მათი ფსონი აღარ მიიღებოდა.

ცხადია, ინფორმაციის ნაკლებობას არც ქართველი გულშემატკივარი უჩიოდა. ინფორმაციებმა იმის შესახებ, რომ მომავალი მატჩი, შესაძლოა, ჩაწყობილი ყოფილიყო, საქართველომდეც მოაღწიეს. შორს რომ არ წავიდეთ, ჩვენი რედაქციის ერთ-ერთ თანამშრომელს ავსტრიაში მცხოვრებმა მეგობარმა დაურეკა და უთხრა, რომ "პანიონისი"-"დინამოს" მატჩის შედეგი წინასწარ იცოდა... თუმცა, მსგავსი ინფორმაციის მისაღებად ევროპაში მცხოვრები მეგობრები სულაც არ იყო საჭირო. მომავალი მატჩის ირგვლივ ინტერნეტში, სპორტული ვებგვერდების ფორუმებზეც ბევრს საუბრობდნენ. მაგალითად, ჩვენი გულშემატკივრებისთვის კარგად ცნობილ, ქართული ფეხბურთისადმი მიძღვნილ შოტლანდიურ ვებგვერდზე www.georgiansoccer.cjb.net გამართულ ფორუმზე შორეულ ავსტრალიაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე, ვინმე იკა, მატჩის დაწყებამდე ერთი დღით ადრე იუწყებოდა: ჰქონდა ინფორმაცია, რომ პირველ ტაიმს "დინამო" მოიგებდა, მეორეს კი - "პანიონისი". ასეთი ინფორმაციები რუსულ ინტერნეტშიც ვრცელდებოდა. მოკლედ, ეს ამბავი "გაბაზრდა".

თავად მატჩი, როგორც უკვე ვნახეთ, მის დაწყებამდე დაბადებული ეჭვების დასტური იყო: მსვლელობა, შედეგი, მატჩის ხასიათი... ამ შეხვედრის თვითმხილველთა თქმით, თამაშს აშკარად ეტყობოდა, რომ "პანიონისი" პირველ ტაიმში გოლის გატანას საერთოდ არ აპირებდა. მასპინძლები თითქმის არ უტევდნენ და, ამავდროულად, დიდ კომფორტს უქმნიდნენ "დინამოს". მეორე ტაიმში იგივე გამეორდა, ოღონდ პირიქით. ასეა თუ ისე, მოსალოდნელი შედეგი "დაჯდა".



"პანიონისი" - "დინამო": ცუდად დადგმული სპექტაკლი.

მეორე დღესვე ბრიტანულმა BBC-მ "პანიონისი"-"დინამოს" მატჩის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა. სააგენტო იუწყება, რომ მატჩის შედეგის სამართლიანობა დიდ ეჭვს იწვევს და უმთავრესად ტოტალიზატორებიდან მიღებულ ინფორმაციებს ეყრდნობა. BBC-ს მიერ გავრცელებული ეს ცნობა ევროპის თითქმის ყველა საინფორმაციო საშუალებამ აიტაცა. შედეგად, "პანიონისი"-"დინამოს" მატჩი მთავარ სპორტულ თემად იქცა მასმედიისთვის. სწორედ მედიის მიერ ატეხილი აურზაურის გამო ამ ფაქტით უეფა-ც დაინტერესდა. BBC იუწყება, რომ უეფა-მ ამ მატჩთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო. გამოძიებისთვის მედიით გავრცელებულ ინფორმაციებსა და ტოტალიზატორთა მონაცემებს მოიშველიებს.

ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში დამატებით არაფერი იციან. სფფ-ში უეფა-დან არავითარი ინფორმაცია არ მოსულა. სფფ-ის გენერალური მდივნის ვალერი ჩოლარიას განცხადებით, ის უკვე ესაუბრა უეფა-ს წარმომადგენლებს და, მათი თქმით, არავითარი გამოძიება არ არსებობს. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ რატომ სთავაზობენ "დინამო" და "პანიონისი" უეფა-ს გამოძიებაში დახმარებას?

რაც არ უნდა იყოს, საქმე ასე იოლად არ დამთავრდება. სამწუხაროდ, ეს პირველი შემთხვევა არ არის ქართული ფეხბურთის ისტორიაში. გაიხსენეთ უახლოესი წარსული, როდესაც საქართველოს ჩემპიონმა "ვიტ ჯორჯიამ" ფარერულ "ტორსჰავნთან" 0:3 წააგო, საკუთარ სტადიონზე 5:0 გამარჯვების შემდეგ. გაიხსენეთ შარშანდელი "დინამო", რომელმაც თბილისში 3:0 დაამარცხა ალბანური "ტირანა", განმეორებით მატჩში კი მოახერხა და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ტურნირს გამოეთიშა. სხვებიც იყვნენ, გორის "დილა", "ლოკომოტივი"... რამდენიმე მატჩს ადრეც გამოუწვევია ეჭვები, თუმცა, მაშინ უეფა არ დაინტერესებულა, არც ტოტალიზატორებს აუტეხავთ განგაში. პრინციპით "Не пойман - не вор" ბევრჯერ გადარჩენილან ჩვენი კლუბები.

ამჯერად კი საქმე უფრო რთულად არის. საქმე ეხება უეფა-ს თასის ძირითად ტურნირს და არა მესამეხარისხოვან საკვალიფიკაციო მატჩს. თანაც, ამჯერად ძლიერმა ბრიტანელმა ბუკმეკერებმა იზარალეს, რომლებმაც უკვე თავად დაიწყეს პარალელური გამოძიება. მაგალითად, ბრიტანულმა ტოტალიზატორმა Betfair, რომელმაც, ამ მატჩის გადამკიდე, უდიდესი ზარალი ნახა, 30 ადვოკატი დაიქირავა და მათ საქმის შესწავლა დაავალა.

"დინამოს" ხელმძღვანელობა დუმს. კომენტარს აკეთებს მხოლოდ კლუბის პრესმდივანი ლევან სალუქვაძე, რომელმაც ამ წერილის დასაწყისში გამოქვეყნებული განცხადების მსგავსი კომენტარი მისცა ჩვენს გაზეთს. ახალი მხოლოდ ის არის, რომ, "დინამოს" აზრით, დამნაშავის პოვნა ძალიან ადვილია. "დაველოდოთ და ვნახოთ, ვინ მივა ტოტალიზატორში მოგების მისაღებად. დამნაშავეებიც ამ დროს გამოჩნდებიან", - განაცხადა "დინამოს" პრეს-მდივანმა. ცნობისთვის: მანამ, სანამ გამოძიება არ დასრულდება, ევროპული ტოტალიზატორები უარს ამბობენ მოგებული თანხის გაცემაზე...

ძნელი სათქმელია, დაუმტკიცებენ თუ არა "დინამოს" და "პანიონისს" დანაშაულს. შესაძლოა, ეს კლუბები მკაცრად დასაჯონ. შესაძლოა, არაფერიც არ მოხდეს. ერთი რამ კი ნათლად გამოჩნდა: ქართველებს არც ჩაწყობა სცოდნიათ!

# საქართველოს „გოლი 2"-ს ჩუხრი გაატანინებს

მიხეილ აბაიშვილი

პირველ დეკემბერს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ფიფას ორკაციანი დელეგაცია ესტუმრა. დსთ-ს ქვეყნებში ფიფას პროგრამა "გოლი 2"-ის ხელმძღვანელმა, საქართველოში არაერთხელ ნამყოფმა ვალერი ჩუხრიმ და ფიფას კონსულტანტმა ალექსანდრ ჩერნუხომ სამი დღე გაატარეს თბილისში და დღეს გაემგზავრნენ. ვიზიტის მიზანი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომლებისთვის სემინარების ჩატარება და ქართული ფეხბურთის განვითარების გრძელვადიანი გეგმის შემუშავებაში დახმარების გაწევა იყო. ამ საკითხებთან დაკავშირებით ფიფას დელეგატებმა და სფფ-ს გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ გუშინ პრესკონფერენცია გამართეს.




გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ჩუხრი (შუაში) ლობისტობას შეგვპირდა.

ვალერი ჩუხრი პროგრამა "გოლის" შემუშავების პირველივე დღიდან კურირებს დსთ-ს ქვეყნებს. მისი ხელმძღვანელობით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ უკვე მიიღო ამ პროგრამით გათვალისწინებული გრანტი, 400 ათასი დოლარი, რაც დიდ დიღომში ეროვნული ნაკრები გუნდებისთვის საწვრთნელი ბაზის მშენებლობას მოხმარდა.

"მინდა მოგილოცოთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის პოსტზე ბატონი ვალერი ჩოლარიას დაბრუნება. მან უმოკლეს დროში აღმოფხვრა ფედერაციაში არსებული ქაოსი და ფედერაციაც უწინდელივით, სრული დატვირთვით ამუშავდა. ასევე გილოცავთ ფიფას 100 წლისთავს. დეკემბრის მიწურულს ციურიხში გაიმართება ამ თარიღისადმი მიძღვნილი საზეიმო გალაკონცერტი, გამოვლინდება პლანეტის წლის საუკეთესო ფეხბურთელი.

რაც შეეხება ჩვენი ვიზიტის მიზანს. ფიფას პროგრამა "გოლი" 1999 წლიდან ფუნქციონირებს. ამ პროგრამის ფარგლებში ბოლო ოთხი წლის განმავლობაში გრანტი მიიღო ფიფას წევრმა 166-მა ეროვნულმა ფედერაციამ. ამ თანხასთან ფედერაციებს უშუალო შეხება არ ჰქონიათ. ფიფა განიხილავდა მათ მიერ წარმოდგენილ პროექტებს და ამ პროექტების განსახორციელებლად დაქირავებულ კონტრაქტორებს აძლევდა ფულს. შესაბამისად, ჩვენი მხრიდან ხორციელდებოდა მონიტორინგიც. სფფ-მ გონივრულად გამოიყენა ეს გრანტი და მისი საშუალებით ეროვნული ნაკრები გუნდებისთვის ტექნიკური ცენტრი ააშენა. პროგრამა "გოლის" გარდა, ფიფა ფედერაციებისთვის ახორციელებს ფინანსური დახმარების პროგრამასაც, რომლის ფარგლებშიც ყველა ფედერაცია ყოველწლიურად 250-250 ათას დოლარს იღებს. სფფ-მ პროგრამა "გოლის" გრანტს ფინანსური დახმარებით ორი წლის განმავლობაში მიღებული 500 ათასი დოლარიც წაახმარა და ორი პროგრამის კოორდინაციით ააშენა ტექნიკური ცენტრი, რაც სულ 900 ათასი დოლარი დაჯდა", - განაცხადა ვალერი ჩუხრიმ.

ამჟამად ფიფა იწყებს ახალ პროგრამას, "გოლი 2"-ს, რომელშიც საქართველოსაც უნდა მიეღო მონაწილეობა, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები წარმოშობილა.

"პირველმა პროგრამამ გაამართლა და ფიფა მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში ახალ პროგრამას, "გოლი 2"-ს განახორციელებს. თუმცა, ამ პროგრამაში მონაწილე ფედერაციათა რაოდენობა მკაცრად შეზღუდულია. ახალი პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწევა მხოლოდ 60 ეროვნულ ფედერაციას. ამ პროგრამაში მონაწილეობისთვის ფიფას საკმაოდ მკაცრი პირობები აქვს დაწესებული, რომელთა დაცვის გარეშე ფედერაცია "გოლი 2"-ით განსაზღვრულ დახმარებას ვერ მიიღებს. ორი მთავარი პირობაა: პირველი პროგრამით დაფინანსებული პროექტის რეალურად ამუშავება და ეროვნული ფედერაციის მიერ ქვეყანაში ფეხბურთის გრძელვადიანი განვითარების პროგრამის შემუშავება. ამ პროგრამის შემუშავების იდეა საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის მაგალითმა გვიკარნახა. ფრანგებმა 70-იან წლებში სწორედ ასეთი პროგრამით დაიწყეს საკუთარ ქვეყანაში ფეხბურთის განვითარებაზე ზრუნვა და მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე საფეხბურთო ქვეყნის იმიჯიც დამსახურებულად მოიპოვეს.

რაც შეეხება "გოლი 2"-ში საქართველოს მონაწილეობას. წლეულს, ივლისში, ფიფას შესაბამის კომიტეტზე განხილვისას საქართველო შეყვანილი იყო იმ ქვეყნების ჯგუფში, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ამ პროგრამაში. სამწუხაროდ, სფფ-ს გენერალური მდივნის პოსტიდან ვალერი ჩოლარიას წასვლის შემდეგ ახალმა ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო ფიფას მოთხოვნების დაკმაყოფილება და "გოლი 2"-ში საქართველოს მონაწილეობის საკითხიც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. საბედნიეროდ, ბატონი ჩოლარია დაუბრუნდა თავის პოსტს, საქმეები მოაწესრიგა და დღეს უკვე დიდია ალბათობა იმისა, რომ "გოლი 2" საქართველოშიც ამოქმედდეს. ჩვენი სემინარებიც ამ მიზანს ემსახურება. უკვე დავათვალიერეთ ტექნიკური ცენტრი და შემიძლია განვაცხადო, რომ ფიფას ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა შესრულებულია. ეს საწვრთნელ-სასწავლო ბაზა კარგ მდგომარეობაშია და ფუნქციონირებს. ამ ორი დღის განმავლობაში ჩავატარეთ შესაბამისი სემინარი სფფ-ს თანამშრომლებისთვის და ვხედავთ, რომ საქართველოში ფეხბურთის განვითარების გრძელვადიანი პროგრამის შემუშავებისთვის სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს. ფიფა საქართველოს პროგრამა "გოლი 2"-ში ხელახლა ჩართვის საკითხს თებერვლის შუა რიცხვებში განიხილავს. დიდი იმედი მაქვს, ეს ასეც მოხდება. "გოლი 2"-ითაც, პირველი პროგრამის მსგავსად, 400 ათასი დოლარია გათვალისწინებული. სფფ-ს მიერ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ეს თანხა მოხმარდება ტექნიკურ ცენტრში ყველაზე თანამედროვე, მესამე თაობის ხელოვნურსაფარიანი სტანდარტული საფეხბურთო მოედნის მშენებლობას", - აღნიშნა ჩუხრიმ და სფფ-ს გენერალურ მდივანს ისიც აღუთქვა, რომ იგი პირადად გაუწევდა საქართველოს ლობირებას და უკან არ დაიხევდა.

ფეხბურთი

# სალგადოს რეცეპტი - როგორ დავამარცხოთ „რომა“

ჩემპიონთა ლიგის მეხუთე ტურში მადრიდის "რეალმა" მხოლოდ ფრე - 1:1 იკმარა ლევერკუზენის "ბაიერთან" შეხვედრაში. ეს კი ნიშნავს, რომ "სამეფო კლუბს" ჯგუფიდან გასასვლელად აუცილებლად სჭირდება რომში "რომას" დამარცხება. სიტუაცია "რეალის" ამჟამინდელი ფორმაციისთვის დამახასიათებელია.

"ფრე არაფრით არ შეიძლება დადებით შედეგად ჩაითვალოს. ჩვენ ხომ მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიყავით განწყობილნი - განაცხადა "რეალის" მცველმა მიჩელ სალგადომ - ჩვენ გვსურდა, "ბაიერი" დაგვემარცხებინა და მომდევნო ეტაპზე გასვლა გაგვენაღდებინა, რომ ბოლო მატჩი ჩვენთვის ესოდენ დაძაბული არ ყოფილიყო".

"ყველაზე მეტად არ მინდოდა, ჯგუფიდან გასვლის საკითხი ბოლო ტურამდე გადაგვედო, - დაამატა სალგადომ, - მეორე მხრივ, ჯგუფიდან გასვლა მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული და თუ "რომას" დავამარცხებთ, საწადელს მივაღწევთ".

მიჩელ სალგადო 1999 წლის ზაფხულში გადავიდა "რეალში" და მას შემდეგ რეგულარულად გამოდის "სამეფო კლუბის" ძირითად შემადგენლობაში. ფეხბურთელმა კლუბთან ერთად მთელი რიგი აღმავლობისა და ჩავარდნის პერიოდები გაიარა, ამიტომ კარგად ესმის, რომ "ბაიერთან" დაფიქსირებულ შედეგს ახლა დიდი ყურადღება არ უნდა მიექცეს.

"იმ შეხვედრაში ბევრი უცნაური ამბავი მოხდა. მაგალითად, რობერტო კარლოსის საჯარიმო დარტყმის შემდეგ ბურთი პირდაპირ რაულს მიუგორდა, მაგრამ მას რაღაც სასწაულით ჩამოუვარდა ფეხიდან. შემდეგ რონიმ თითქოს აუღებლად დაარტყა, მაგრამ მეკარემ გვიხსნა. ბოლოს კი ჩვენ ძელები ჩამოვხსენით... მოკლედ, ჩვენი დღე არ იყო", - იხსენებს სალგადო.

სალგადოს სულაც არ უკვირს, რომ გერმანელებთან შეხვედრაში მისი გუნდი არცთუ ისე კარგად გამოიყურებოდა. "ბაიერთან" მატჩამდე ხომ "რეალი" "ბარსელონასთან" დამარცხდა - 0:3. "გუნდში უჩვეულო ატმოსფერო სუფევდა, რაც ბევრ ფეხბურთელზე აისახა", - ამბობს "რეალის" მცველი.



*მიჩელ სალგადო: "ბაიერთან" ფრე არაფრით არ შეიძლება დადებით შედეგად ჩაითვალოს".*

არადა, პირველ ტურში "რეალი" "ბაიერმა" დაჩაგრა - 0:3 და ესპანელები მოუთმენლად ელოდნენ "სანტიაგო ბერნაბეუზე" რევანშის აღებას. თუმცა, ფორტუნამ "რეალს" ზურგი აქცია. მატჩის დამთავრებამდე 9 წუთით ადრე ლუიშ ფიგუმ ვერ გამოიყენა თერთმეტმეტრიანი დარტყმა. ბურთი გერმანელთა მეკარე ჰანს იორგ ბუტმა მოიგერია. "ფიგუ პენალტის ნიშნულიდან უაღრესად იშვიათად აცილებს", - უკვირს სალგადოს.

ახლა "რეალის" ფეხბურთელებს ისღა დარჩენიათ, დაივიწყონ ყველა წარუმატებლობა და მომავალ კვირაში "სტადიო ოლიმპიკოზე" დაამარცხონ "რომა". მატჩი მაყურებლის გარეშე გაიმართება. "რომა" კიევის "დინამოსთან" პირველ ტურში მომხდარი უწესრიგობის გამო დასჯილია. მიჩელ სალგადოს მიაჩნია, რომ ეს გარემოება მისი გუნდისთვის მისწრებაა.

"ჩვენ ცარიელი ტრიბუნების წინაშე ვითამაშებთ, რაც ფსიქოლოგიურ ზეწოლას მოგვიხსნის, - განმარტავს სალგადო, - "რომამ" ჯგუფიდან გასვლის ყველა შანსი დაკარგა და მოტივაციას მოკლებულია. ვნახოთ, როგორი განწყობით გამოვლენ მინდორზე რომაელები და ვის დააყენებენ ძირითად შემადგენლობაში. მასპინძლები გარკვეულწილად დათრგუნულები იქნებიან, მაგრამ ფეხბურთში ყველაფერი შეიძლება მოხდეს".

კიევის "დინამო" და ლევერკუზენის "ბაიერი", რომლებიც მეექვსე ტურში ერთმანეთს ხვდებიან, სატურნირო ცხრილში "რეალს" უსწრებენ. ეს კი ნიშნავს, რომ მარიანო გარსია რემონის შეგირდებს, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, რომში გამარჯვება სჭირდებათ. ეს ყველაფერი ძალიან კარგად ესმის მიჩელ სალგადოსაც. "ჩვენმა კონკურენტებმა კარგად იციან, რომ თუ "რეალი" რომში სამ ქულას აიღებს, ფრე მათ არ ეყოფათ, - განაცხადა "რეალის" მცველმა, - ყველაფერი მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული. ჩვენ, უბრალოდ, მინდორზე სწორი განწყობით უნდა გავიდეთ და ჩვენი ფეხბურთი ვაჩვენოთ".

# სამხრეთ ამერიკა იფიქრებს სამხრეთ აფრიკაზე

სამხრეთამერიკელებმა ჯერჯერობით არ იციან, როგორ მოხდება მათი შერჩევა 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, მაგრამ ლიბერტადორესის თასის 2005 წლის გათამაშების კენჭისყრა დღემდე არნახული პომპეზურობით ჩაატარეს.

სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციის ხელმძღვანელობამ ჯერჯერობით გადადო გადაწყვეტილება 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის წარმართვის შესახებ. ბოლო სამი საკვალიფიკაციო ტურნირი ამ რეგიონში მეტისმეტად დამღლელი იყო, მაგრამ მიმდინარეობს სამართლიანი სისტემით - "ყველა ყველას წინააღმდეგ". სხვაგვარად რომ ვთქვათ, 10 გუნდი წრიული სისტემით გაითამაშებს მსოფლიო ჩემპიონატის საგზურებს.

თუმცა, ბოლო დროს ასეთი ფორმულა თავად ფეხბურთელთა უკმაყოფილებას იწვევს. სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელები ევროპაში თამაშობენ და იმ ორი წლის განმავლობაში, როცა შესარჩევი ტურნირი მიმდინარეობს, მათ 18 ტრანსატლანტიკური გადაფრენის განხორციელება უხდებათ. მეორე მხრივ, თუ შერჩევა ისე მოხდება, როგორც 1990-იანი წლების შუაგულამდე ხდებოდა (ჯგუფური ტურნირის მეშვეობით), აქ დიდია შემთხვევითობის ფაქტორი.

ამიტომ სამხრეთამერიკული ფეხბურთის ბოსები დაფიქრდნენ, როგორ იქნება უკეთესი? თუმცა, ერთმა ადამიანმა, როგორც ჩანს, ზუსტად იცის ამ კითხვაზე პასუხი. ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა არაერთხელ განაცხადა, რომ ვერ მოითმენს სამხრეთ ამერიკაში შესარჩევი ტურნირის სახელით მინი-ჩემპიონატის გამართვას. თუმცა, ბლატერის აზრი ამ შემთხვევაში უნებლიეთ გამოხატავს ევროპული კლუბების აზრს, რომლებიც სულაც არ არიან აღფრთოვანებული იმით, რომ მათი სამხრეთამერიკელი ლეგიონერები ასე ხშირად ტოვებენ კლუბებს.



*იოზეფ ბლატერი სამხრეთ ამერიკაში შესარჩევი ციკლის სახელით მინი-ტურნირის გამართვას ვერ მოითმენს.*

ალტერნატიულ ვარიანტად ფეხბურთის სამხრეთამერიკელი ხელმძღვანელები შემდეგ ვარიანტს განიხილავენ. შესარჩევი ტურნირი ორ ეტაპად გაიმართება. პირველ ეტაპზე 10 გუნდი ორ 5-გუნდიან ჯგუფად დაიყოფა და ერთ წრედ გამართავს ტურნირს. ჯგუფის სამ-სამი გამარჯვებული გავა მეორე ეტაპზე, სადაც კიდევ ერთ ერთწრიან მინი-ტურნირში იასპარეზებს. თანაც, ეს მეორე ეტაპი ტურნირის მონაწილე ერთ-ერთ ქვეყანაში გაიმართება. ამ შეჯიბრების ოთხი გამარჯვებული პირდაპირ მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს მოიპოვებს, ხოლო მეხუთე გუნდი სხვა რეგიონული კონფედერაციის წარმომადგენელს გადათამაშებაში შეხვდება.

მეორე ვარიანტი უფრო ტრადიციულია. 10 გუნდი კვლავ ორ ჯგუფად დაიყოფა და ორწრიან ტურნირს გამართავს. ჯგუფის ორ-ორი გამარჯვებული პირდაპირ მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვდება, ხოლო ჯგუფის მესამე გუნდები ერთმანეთში გამოავლენენ კიდევ ერთი საგზურის მფლობელს, ვინც გადათამაშებაში სხვა რეგიონული კონფედერაციის წარმომადგენელს შეხვდება.

ვარაუდობენ, რომ ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილებას თებერვალმარტში მიიღებენ. ოთხშაბათს კი პარაგვაის დედაქალაქ ასუნსიონში გაიმართა ლიბერტადორესის თასის გათამაშების კენჭისყრა. ამჯერად კენჭისყრის პროცედურა ცოტათი უჩვეულოდ წარიმართა. ყველაფერი სამხრეთ ამერიკის კონფედერაციის შენობის წინ დადგმულ დიდ კარავში მოხდა.

ჩვეულებრივ, მსგავსი ღონისძიება თავმდაბლურად მიმდინარეობს ხოლმე, მაგრამ მსგავს ცერემონიალს თვით ევროპული ჩემპიონთა ლიგაც კი ინატრებდა. საზეიმო ცერემონიალი რეგიონის ყველა ქვეყანაზე პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა, ხოლო ბურთულებს იღებდნენ სამხრეთამერიკული ფეხბურთის ძველი ვარსკვლავები: ლეგენდარული ეკვადორელი ფორვარდი ალბერტო სპენსერი, დიდი ბრაზილიელი მწვრთნელი მარიო ზაგალო, 1960-იანი წლების არგენტინის ნაკრების ფორვარდი დანიელ ონეგა და ურუგვაელი ფერნანდო მორენა, რომელიც ლიბერტადორესის თასის სამგზის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

თვითონ კენჭისყრა საკმაოდ პირობით ხასიათს ატარებდა. სამხრეთ ამერიკის მთელ რიგ ქვეყნებში ეროვნული ჩემპიონატები ჯერ კიდევ მიმდინარეობს და ტურნირის მონაწილეთა დასახელება, უბრალოდ, შეუძლებელი იყო. კენჭისყრის მომენტისთვის 38 გუნდიდან მხოლოდ 14 იყო ცნობილი. 24 მათგანი კი მხოლოდ მეორე რაუნდიდან ჩაერთვება ლიბერტადორესის თასის გათამაშებაში. მათ შეუერთდება წინასწარი ეტაპის კიდევ 6 გამარჯვებული.

შედეგებიდან გამომდინარე, იმის თქმა შეიძლება, რომ ლიბერტადორესის თასის გამარჯვებული, კოლუმბიური "ონსე კალდასი" შეხვდება არგენტინის "სან ლორენსოს", ჩილეს მეორე გუნდსა და პერუსა და მექსიკის მესამე გუნდებს შორის გამარჯვებულს.

სხვათა შორის, კოლუმბიური კლუბის წარმომადგენლები, რომლებმაც მოულოდნელად მოიგეს ლიბერტადორესის თასის შარშანდელი გათამაშება, უკვე ჩავიდნენ იაპონიაში, სადაც 12 დეკემბერს საკონტინენტთაშორისო თასისთვის ბრძოლაში ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულ "პორტუს" შეხვდებიან. კოლუმბიელები ამ მატჩს უაღრესად სერიოზულად მოეკიდნენ და ადაპტაციის მიზნით იაპონიაში მატჩამდე 10 დღით ადრე ჩავიდნენ. პორტუგალიელებს კი არ შეუძლიათ, ასეთი კომფორტის უფლება მისცენ თავს. გუშინ "პორტუ" პორტუგალიის ჩემპიონატის მატჩში შეხვდა "ბეირა მარის", სამშაბათს კი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის გადამწყვეტ მატჩს ლონდონის "ჩელსისთან" გამართავს.

წყალბურთი

# წყალბურთელთა დესანტი უკრაინაში

ბიბა გურასაშვილი

დახურული აუზის ნაცვლად - ღია. 30 მეტრის ნაცვლად - 20. საუბარია "ლაგუნა ვერეს" კომპლექსსა და წყალში მხტომელთათვის განკუთვნილ აუზზე, რომელშიც საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები უკრაინის ღია ჩემპიონატისთვის ემზადებოდა. დღეს ჩვენი ნაკრები ოდესის გზას გაუდგა. მნიშვნელობა არა აქვს იმას, ჭაბუკთა ნაკრებია ეს, ახალგაზრდული თუ დიდების. ჯერჯერობით იმით უნდა დავკმაყოფილდეთ, რაც გვყავს. ყოლით კი, 87-იანელები, ანუ ჭაბუკთა გუნდი გვყავს. თუმცა, ჭაბუკებს სამი ისეთი მოთამაშეც შეეშველება, რომელებიც დიდების ნაკრებში თამაშს იმსახურებენ, თუმცა, როგორც ვთქვით, ასეთი ნაკრები არ გვყავს.

უკრაინის ღია ჩემპიონატი დიდებისაა. ამ ქვეყნის ჩემპიონატში ჩვენი გუნდი მესამედ მიიღებს მონაწილეობას. იუნიორთა შორის უკრაინის ღია ჩემპიონატი ჩვენს ნაკრებს მოგებული აქვს, დიდებში კი პლეიოფშიც (ოთხეულში) გაგვიღწევია. ეს მაშინ, როცა გუნდი სრულად იყო დაკომპლექტებული, რა თქმა უნდა, შესაძლებლობების ფარგლებში - როდესაც ნაკრების მთავარ მწვრთნელს სოსო მაისურაძეს მოსკოვის ცსკა-ში მოთამაშე მეკარე ჭუმბურიძე და გეგელაშვილი და გერმანიის "ჰანოვერში" მოთამაშე ბუტიკაშვილი ეხმარებოდნენ.

რაც შეეხება ტურნირის მონაწილეებს. ესენი არიან: საქართველოს, მოლდავეთის, ბელორუსის ნაკრებები, მარიუპოლი 2, დნეპროპეტროვსკისა და მასპინძელთა გუნდები. ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელის სოსო მაისურაძის პროგრამა-მინიმუმი უმაღლეს ლიგაში მოხვედრაა.

TV-სპორტი

## შაბათი. 4 დეკემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**

06:00 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა
06:30 NBA TV. სეზონი 1995-1996. "SAN ANTONIO SPURS" - "DALLAS MAVERICKS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. "სპარტაკი" - ცსკა
13:30 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
13:55 მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. "სპარტაკი" - ცსკა. პირდაპირი ტრანსლაცია
15:20 თავისუფალი დარტყმა
15:35 ჩემპიონთა ლიგა. ცსკა - "პორტუ"
17:25 "FUTBOL MUNDIAL"
17:55 ინგლისის ჩემპიონატი. "ასტონ ვილა" - "ლივერპული". პირდაპირი ტრანსლაცია
19:50 თავისუფალი დარტყმა
20:05 სახვალიო ტელეპროგრამა
20:10 გერმანიის ჩემპიონატი. "ბაიერი" - "ვლფსბურგი"
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. "ბარსელონა" - "მალაგა". პირდაპირი ტრანსლაცია
23:55 თავისუფალი დარტყმა
00:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ - "ლილი"
01:55 01:55-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა
03:30 NBA TV - ყველაფერი NBA-ს შესახებ
04:30 NBA TV - დღიური
05:00 NBA TV. "DENVER NUGGETS" - "MIAMI HEAT". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+ПЛЮС**

09:00 "ჰარმონიის ფორმულა"
10:00, 13:00, 16:15, 19:00, 21:00 პრესცენტრი
10:20, 21:15 "ქრონიკა"
10:25 სამთო სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი აშშ-ში. ვაჟები. სწრაფდაშვება
11:20 სამთო სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი კანადაში. ქალები. სწრაფდაშვება
12:15 "ფარი და ბურთი" - ტელეჟურნალი
13:15 "ნოკაუტი" - ტელეჟურნალი
13:45 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "BOSTON CELTICS" - "TORONTO RAPTORS"
16:30 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასის ეტაპი შვეიცარიაში. ქალები. სპრინტი. პირდაპირი ტრანსლაცია
18:00 "ჰოკეი-პლუს"
18:30 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
19:15 სამბო. რუსეთის ჩემპიონატი
20:00 სპორტული ცეკვები. მსოფლიო ჩემპიონატი. ლათინოამერიკული პროგრამა
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:30 ამერიკული ფეხბურთი. კვირის მოვლენა
22:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასის ეტაპი ნორვეგიაში. ტრამპლინი. რბოლა 15კმ.
00:00 ახალი ამბები
00:15 ბრძოლა წესების გარეშე - "Ultimate Fighting Championship"
01:15 01:15-დან 05:00-მდე შესვენება
05:00 პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. ხოსე ლუის კასტილო - ჯოელ კასამაიორი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 ბიატლონი. მსოფლიო თასის ეტაპი ნორვეგიაში
12:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასის ეტაპი ნორვეგიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
13:00 ბიატლონი. მსოფლიო თასის ეტაპი ნორვეგიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
13:45 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასის ეტაპი ნორვეგიაში
14:15 ფეხბურთი. ევროპის საუკეთესო კლუბები
14:45 ბიატლონი. მსოფლიო თასის ეტაპი ნორვეგიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
15:45 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასის ეტაპი ნორვეგიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
16:30 ბობსლეი. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში
17:00 ბობსლეი. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
18:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი ნორვეგიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
20:00 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასის ეტაპი შვეიცარიაში
21:00 ავტორბოლები. ნაციის თასი საფრანგეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
23:00 ავტორბოლები. ნაციის თასი საფრანგეთში
00:00 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასის ეტაპი აშშ-ში. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
01:30 ახალი ამბები
01:45 მხედრული ორთაბრძოლები. მებრძოლთა კლუბი

# პსჟ მწვრთნელის გარეშე

"პარი სენ-ჟერმენის" მთავარი მწვრთნელი ვაჰიდ სალილჰოჯიჩი, საფრანგეთის საფეხბურთო ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა მატჩის არბიტრ ალან სარსთან კონფლიქტისა და გინების გამო ორთვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

შემთხვევა, რომელმაც მწვრთნელის ასეთი დაუნდობელი დისკვალიფიკაცია გამოიწვია პსჟ - მოხდა "ლიონთან" მატჩში, რომელიც 19 ნოემბერს გაიმართა. პირველი ტაიმის შუაგულში პარიზული კლუბის კოლუმბიელმა ფეხბურთელმა ორი ყვითელი ბარათი მიიღო და მინდორი დატოვა. ამ ფაქტმა მწვრთნელთა შტაბში აღშფოთება გამოიწვია. ვაჰიდ სალილჰოჯიჩმა იმდენად მწვავე პროტესტი გამოთქვა, რომ ორთვიანი დისკვალიფიკაცია მიიღო, რომელიც 6 დეკემბრიდან დაიწყებს მოქმედებას. მოკლედ, "ლილთან" მატჩს პარიზული კლუბის ბოსნიელი მწვრთნელი ჯერ კიდევ სათადარიგოთა სკამზე გაატარებს, მაგრამ მოსკოვის ცსკა-სთან შეხვედრის შემდეგ ორი თვის განმავლობაში თავისი გუნდის თამაშს ტრიბუნებიდან დააკვირდება.

სალილჰოჯიჩის ასისტენტი ბრუნო ბარონკელიც იმავე მიზეზით ერთი თვით დისკვალიფიცირებულია. სასჯელი არ ასცდა ნახევარმცველ ჟერომ როტენსაც, რომელიც მსაჯს შესვენებაზე ურჩევდა საქმეს. როტენი ოთხი მატჩით არის დასკვალიფიცირებული.

"ეს სასჯელი გაკვეთილია ყველა იმ ადამიანისთვის, ვისაც საკუთარი თავის ხელში აყვანა არ შეუძლია. მსაჯებს პატივისცემით მოპყრობა სჭირდებათ. და, საერთოდ, მატჩის ყველა მონაწილე კორექტული უნდა იყოს", - ნათქვამია საფეხბურთო ლიგის ოფიციალურ რელიზში.

პარიზულ კლუბში სხვა ცვლილებებიც ხორციელდება. ასე, მაგალითად, მოდესტ მ`ბამიმ სურვილი გამოთქვა, დატოვოს "პარი სენ-ჟერმენი" უკვე იანვარში, როცა სატრანსფერო დერეფანი გაიხსნება და სხვა კლუბში გააგრძელოს საფეხბურთო კარიერა. თუმცა, ვაჰიდ სალილჰოჯიჩი ამ ფეხბურთელის დათმობის კატეგორიული წინააღმდეგია. მას მ`ბამის იმედი აქვს და გუნდის ერთ-ერთ ლიდერად მიიჩნევს. ფეხბურთელსა და პარიზული კლუბის წარმომადგენლებს შორის უკვე არაერთი მოლაპარაკება გაიმართა. სხვათა შორის, კლუბი უარყოფს პრესაში გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სერბი ფეხბურთელი დანიელ ლიუბოი ესპანეთის "ბარსელონაში" გადავიდა. ფრანგული პრესა კი ამტკიცებს, რომ "პარი სენ-ჟერმენი" გულდასმით აკვირდება დონეცკის "შახტარის" ფორვარდ ჯულიუს აგაჰოვას და ამ ზამთარში მის გადაბირებასაც გეგმავს. უკრაინული კლუბი ფორვარდის სანაცვლოდ 8 მილიონ ევროს მოითხოვს, თუმცა, ვარაუდობენ, რომ პარიზელები თანხას 5 მილიონამდე ჩამოიყვანენ.

დღეს საფრანგეთის ჩემპიონატში პარიზელები, რომლებიც სატურნირო ცხრილში მე-12 ადგილზე არიან, მეორე ადგილზე მყოფ "ლილს" შეხვდებიან. როგორც უკვე ვთქვით, ეს იქნება სალილჰოჯიჩის უკანასკნელი მატჩი სათადარიგოთა სკამზე. არც ის არის გამორიცხული, რომ ეს მატჩი მისთვის უკანასკნელი აღმოჩნდეს საფრანგეთის ჩემპიონატშიც. საქმე ის არის, რომ ამ მწვრთნელის დათხოვნის შესახებ საუბარმა ახალი ძალით იფეთქა. გუნდის ხელმძღვანელობას სატურნირო მდგომარეობა არ აკმაყოფილებს. თუმცა, სპეციალისტმა არაერთხელ აღუთქვა გულშემატკივარს, რომ მდგომარეობას გამოასწორებდა, მაგრამ "პარი სენ-ჟერმენი" უაღრესად არასტაბილურად თამაშობს.

ბოსნიელ სპეციალისტს ჯერჯერობით ჩემპიონთა ლიგაში შედარებით კარგი გამოსვლა შველის. თუ ის გუნდს ჩემპიონთა ლიგის მომდევნო ეტაპზე გაიყვანს, მაშინ კლუბის ხელმძღვანელობა ეროვნულ ჩემპიონატში ჩავარდნაზე თვალს დახუჭავს.

საინტერესოა, რომ სალილჰოჯიჩის ბედს იზიარებს ჩემპიონთა ლიგაში მისი მეტოქე, მოსკოვის ცსკა-ს მწვრთნელი ვალერი გაზაევიც. თუ ის გუნდს ფრანგთა ძლევაში ვერ დაეხმარება, მაშინ მას თანამდებობას დაატოვებინებენ. მან ხომ უკვე ვერ შეასრულა პირველი მოთხოვნა - გუნდს რუსეთის ჩემპიონატი ვერ მოაგებინა. ჩემპიონთა ლიგაში წარუმატებლობას გაზაევს უკვე აღარ აპატიებენ. მოსკოვში ამბობენ, რომ თუ გაზაევი ჩემპიონთა ლიგის გათამაშებასაც დაემშვიდობება, მას მყისვე გაათავისუფლებენ.



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# ვიბრძოლოთ თბილისის გადასარჩენად



სამწუხაროა და აუხსნელი, როდესაც თბილისის მერიისგან, რომლისგანაც ყველანი მკაცრ, რადიკალურ, ქალაქის გადასარჩენ სასწრაფო ზომების მიღებას ველოდით, სიზანტეს, უსუსურობას და ფსევდოკანონმორჩილებას ხედავ. გულსატკენია, როდესაც ქალაქის თავკაცების თვალდახუჭულ პოზიციას ამჩნევ. აბა, მეტი რითი შეიძლება აიხსნას ის, რომ ჯერჯერობით ქალაქის დამახინჯებულ ცენტრში არც ერთი დაშენება, მიშენება არ მონგრეულა. ვის აკმაყოფილებს დემაგოგიური პასუხი, რომ თითქმის ყველა მათგანი კანონიერია? ამით ხომ მხოლოდ ქრთამის უზენაესობას და მის წინაშე უსუსურობას ვამტკიცებთ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდებარე ჭავჭავაძის გამზირის ნაწილი ერთ-ერთი ყველაზე ხალხმრავალი, გადატვირთული, ცოცხალი მონაკვეთია, რომელსაც, სხვათა შორის, არქიტექტურულადაც, ამდენი ხანი, მეტნაკლებად შენარჩუნებული ჰქონდა სახე. ქალაქის ამ მონაკვეთის გავლა დღის განმავლობაში ზოგჯერ რამდენიმეჯერაც მიწევს და ყოველ ჯერზე ერთი და იგივე კითხვები მებადება. ჭავჭავაძის პროსპექტისა და თაყაიშვილის ქუჩის კუთხეში, უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის კორპუსის საპირისპირო მხარეს მდებარე სტალინის პერიოდის კონსტრუქციული სტილის მქონე საცხოვრებელ სახლზე მიშენებულ-მიწეპებულ-მიტყუპებული შუშის "გაუგებრობა" ვისია, რისთვის არის, მისი აშენების ნებართვა ვინ გასცა, პროექტი ვინ შეითანხმა, მოიწონა და დაამტკიცა. ან როგორ დავიჯერო, რომ ჩემ გარდა არავინ დაინტერესებულა, თვალში არავის მოხვედრია, არავინ შეუწუხებია. უცნაურია, თბილისის მთავრობას მსგავსი კითხვები, თუნდაც ცნობისმოყვარეობის გამო, როგორ არ ებადება?

ჩამოყალიბებული სტილის, სახის მქონე სახლზე სრულიად აუხსნელად აღმოცენებული შუშის "ხორცმეტის" მითიური მფლობელი ქრთამების მიცემაში, ეტყობა, იმდენად დაიხარჯა, რომ ბიუჯეტში გარღვევა მოუვიდა და მშენებლობა კი წამოიწყო, რაღაც ეტაპამდე კი მიიყვანა და ჭავჭავაძის გამზირი კი დაამახინჯა, მაგრამ ბოლომდე ვეღარ დაამთავრა, გენიალური ჩანაფიქრი ვერ განახორციელა და განუსაზღვრელი დროის განმავლობაში ქალაქის ცენტრალურ ქუჩას ერთი უკულტურო კაცის ფანტაზიის ნაყოფი ამშვენებს. ამიტომ შუშის "მეჭეჭის", როგორც არავისთვის და არაფრისთვის საჭირო, თავხედური "ნაგებობის" მონგრევის მორალური და იურიდიული უფლება გვეძლევა.

როდემდე შეიძლება, რომ განუკითხავი კორუფციის პერიოდში ქრთამების ხარჯზე მიღებული ნებართვებით დამტკიცებული კანონიერი უკანონობის წინაშე სიმხდალეს ვიჩენდეთ და ქალაქისადმი მიყენებულ შეურაცხყოფას ვითმენდეთ? არის საკითხები, ობიექტები, კონკრეტული მშენებლობები, რომლებიც რადიკალურ გადაწყვეტილებებს მოითხოვს, რომელთა გასამართლებლად ფურცლების ფრიალი, რაღაც საბუთებს ამოფარება დემაგოგიაა და არა კანონმორჩილება. დღეს ჩვენ ბრძოლა უნდა გვქონდეს გამოცხადებული - ბრძოლა თბილისის გადარჩენისთვის. ნებისმიერ ბრძოლაში კი მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების უნარის მქონე იმარჯვებს.

P.S. თუმცა, წინასწარ დარწმუნებული ვარ, რომ ამ წერილს არავითარი რეაგირება არ მოჰყვება. ეტყობა, თბილისის გადარჩენაზე გაუთავებელი ლაპარაკი მხოლოდ ცარიელი სიტყვებია, მოქმედება კი არა და არ ჩანს. არა, მოქმედება ჩანს, ოღონდ სურვილის საპირისპირო და შედეგად ქალაქი კვლავ მახინჯდება.



# ჰიმნის შელახვა თუ პოპულარიზაცია?

ჩემთვის ვინმეს ოდესმე რომ ეთქვა, რომ საქართველოს ჰიმნის მოსმენისას ცრემლები მომადგებოდა, არამცთუ არ დავიჯერებდი, არამედ გამეცინებოდა კიდეც. თუმცა, გულახდილად გეტყვით, რომ უცხო ქვეყნების მოქალაქეების ყოველთვის მშურდა, ვინც ფეხზე წამომდგარი, თვალცრემლიანი, სიამაყითა და პატივისცემით აღსავსე, საკუთარი ქვეყნის ჰიმნს ხალისით ასრულებდა. ყოველთვის ვნატრობდი, ისეთი ქართველი მენახა, რომელიც ჰიმნის პირველი ნოტიდანვე ფეხზე ადგებოდა და იმღერებდა. ვნატრობდი და ნატვრაც ამიხდა. საქართველოს ჰიმნი ნელ-ნელა ყველაზე პოპულარული სიმღერა ხდება, რომელსაც სტადიონზეც, მოედანზეც, ტრიბუნაზეც და სახლში, ტელევიზორის წინაც ბევრი მღერის.

23 ნოემბერს, "ვარდების რევოლუციის" წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე, პარლამენტის წინ ნატალია ქუთათელაძის, 14 წლის გოგოს მიერ შესრულებული ჰიმნის მოსმენისას თავი ვერ შევიკავე და ცოტა წავიტირე. ჩემი ამგვარი სენტიმენტალობა, ალბათ, ბევრი რამით შეიძლება აიხსნას. პირველ რიგში, ერთი წლის წინანდელი რევოლუციური დღეების მოგონების გაუნელებელი სიმძაფრით. მეორე - თვითონ ჰიმნის მუსიკისა და ტექსტის მოწონებით, ნატალიას სიმღერისადმი სუბიექტური სიამაყის გრძნობითა და სიყვარულით და, ბოლოს, რა თქმა უნდა, ჩემი საკუთარი ნერვული სისტემის ნაწილობრივი მოშლით.

როგორც ტელევიზორში ვნახე, რევოლუციის წლისთავის აღსანიშნავად ჰიმნის ორი კლიპი გადაუღიათ. პირველში - პაატა ბურჭულაძე ბავშვებთან ერთად მღერის და მეორეში კი ქართული ესტრადის მთელი ვარსკვლავთცვენაა. ბურჭულაძისეული ჰიმნის გარჩევას ნამდვილად არ ვაპირებ. კლიპის ხარისხი, მხატვრულობა ჩემთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია. შეფასებისას კი მხოლოდ ჩემში გაჩენილ ემოციას მივენდობი და გეტყვით, რომ თვალებზე ცრემლი ბურჭულაძის მოსმენისასაც მომადგა. აი, პოპ-ვარსკვლავების მიერ შესრულებულმა ჰიმნმა კი ჩემში უცნაური გაორება, გაკვირვება გამოიწვია. ამ შემთხვევაში საქმე უფრო რთულადაა. რა მომწონს და რა არ მომწონს, ვერ გამიგია. ცოტა ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს "ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს".

პირველ რიგში, ჩემთვის გასაკვირად, აღმოვაჩინე, რომ კლიპში გადაღებული "ვარსკვლავების" უმეტესობა, რომელთა ფანი ნამდვილად არ ვარ, უბრალოდ, შემეცოდა. თურმე, საბრალოებს რამდენად უკეთ გამოსდით ღირებული მუსიკის შესრულება. მათი ტრადიციული საესტრადო უსუსურობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არა მათი უნიჭობა, უგემოვნობა, არამედ საშინელი სიმღერების რეპერტუარი ყოფილა. უცნაურად, სრულიად მოულოდნელად, ჰიმნის შესრულებისას ზოგიერთი ბევრად უფრო მომგებიანად გამოჩნდა, ბევრმა კი პირიქით, წააგო. ნებისმიერ სიმღერას და ჰიმნს განსაკუთრებით გულწრფელი შესრულება სჭირდება და ის მომღერლებს, რომლებიც მთელი გულით, მონდომებით, სიამაყითა და პასუხისმგებლობის გრძნობით მღეროდნენ, მონაცემების მიუხედავად, მაინც ოდნავ გულასაჩუყებლად რაღაცა გამოუვიდათ. ზოგიერთი კი ყოველგვარ გრძნობას მოკლებული, უემოციოდ, უხალისოდ, ტირილით კნაოდა, თითქოს თავისი საეჭვო რეპერტუარის რიგით ლირიკულ სიმღერას ასრულებდა. რა ქნას. ან რა ეჰიმნება, ან საერთოდ არ იცის, ჰიმნი რას ნიშნავს, რა დატვირთვის მატარებელია.

კლიპში გადაღებული შემსრულებლების სიუხვის მიუხედავად, ჩემთვის სრულიად აუხსნელად, ქართული ესტრადის რამდენიმე მართლაც ღირებული წარმომადგენელი თვალში დამაკლდა. საინტერესოა, ვინ იზრუნა კლიპში დაკავებული მომღერლების კანდიდატურების შერჩევაზე და ეს ინკოგნიტო პერსონა, რომელმაც თავის თავზე შეუსაბამო დატვირთვა აიღო, რამდენად კარგად ერკვევა ქართულ სიმღერაში.

ცოტა დაბნეული ვარ და ბოლომდე ვერ გამირკვევია, რამდენად სწორი იყო ქვეყნის ჰიმნის უმეტესად რესტორნის, სტადიონის მომღერლებისთვის მინდობა. თუმცა, შეიძლება, მეორე მხრივ, ამით მსმენელთა სრულებით განსაკუთრებულ ფენებს, ასაკს, სოციუმს იზიდავ, მელოდიას აყვარებ. მაია დარსმელიძის, სტეფანეს, ლექსსენის ან ქუჩის ბიჭების შესრულებით ჰიმნის შელახვა ხომ არ ხდება? თუ პირიქით - მისი პოპულარიზაცია? არ ვიცი. ამაზე პასუხი არ მაქვს. ერთი კი ვიცი, რომ ჩემი მოშლილი ნერვული სისტემის და ემოციურობის მიუხედავად, "ვარსკვლავების" მიერ შესრულებულმა ჰიმნმა ჩემს თვალებზე ცრემლი არ მომირია, გული არ ამიჩუყა. უბრალოდ, ღიმილი და იუმორის თვალით შეხედვის სურვილი გამოიწვია. კლიპის ავტორების მიზანი თუ ეს იყო, მაშინ კი ბატონო. მაგრამ თუ პრეტენზია ცოტა მეტზე ჰქონდათ, მაშინ ჩათვალონ, რომ მათმა იდეამ ფიასკო განიცადა. კლიპის შემხედვარეს სულ ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ეს ყველაფერი ვიღაცამ რიგითი ქულების ჩასაწერად პრეზიდენტის წინაშე, რომელსაც ჰიმნი ასე მოსწონს, წარჩინებისთვის, საკუთარი თავის და "პროტეჟეების" რეაბილიტაციისთვის გააკეთა. "პროტეჟეების" უმეტესობას კი რევოლუციისადმი სრულიად არა ჰიმნის სამღერი განწყობა ჰქონდათ, დღესაც აქვთ და ეს, სამწუხაროდ, მათ შესრულებულ შედეგსაც ეტყობა. ჰიმნი ტყუილის უფლებას არ გვაძლევს. მისი სიმღერა ან მთელი გულით, მრწამსით უნდა გინდოდეს, ან ჯობია, ჭკუა იხმარო და საერთოდ გაჩუმდე. ეს ხომ ნებაყოფლობითი მხილების ტოლფასია. საბედნიეროდ, ამ კლიპშიც აშკარად გამოჩნდა, რომ საქართველოში ბევრი ისეთი მომღერალი გვყავს, რომელსაც თან ნიჭი აქვს, სიმღერა ეხერხება, თან გულწრფელი შემოქმედია და თან ჰიმნის შესრულებაც ეამაყება. თუ არ გემღერება, არც უნდა იმღერო. მით უმეტეს ჰიმნი, რომლის შესრულებას ასმაგი სიფრთხილე, დაფიქრება, ჩაღრმავება სჭირდება. არც მომღერლები გაწვალდებოდნენ, არც მე მექნებოდა უნიჭოდ მოტყუებულის, დაბნეულის შეგრძნება. ქართული ესტრადის "ვარსკვლავების" უმეტესობის მრავალმხრივ უსუსურობაში კი კიდევ ერთხელ არ დავრწმუნდებოდი.

# თუნდაც ერთი ახალი ეკლესიის სასიამოვნო გამონაკლისი











თბილისის სხვადასხვა უბანში ბოლო წლებში დიდი თუ პატარა ეკლესიების მშენებლობის, მათი დეკორირების, მოხატვის კრიტიკა დღეს ერთ-ერთ მთავარ მოდურ თემად არის ქცეული. ვაკრიტიკებთ ყველაფერს - აშენებულით დაწყებული, ამშენებლით დამთავრებული. სამწუხაროდ, მართლაც უნდა ვაღიაროთ, რომ ახალი ეკლესიების უმეტესობა არქიტექტურულ-ესთეტიკური თვალსაზრისით ქართული ტრადიციების სრული უცოდინარობით, იგნორირებით, დროის გათვალისწინების, სიყვარულის და, რაც მთავარია, რწმენის გარეშეა აშენებული.

რამდენიმე წლის წინ მამაჩემს, მხატვარ კოკა იგნატოვს წმინდა ნიკოლოზის ხატის დახატვა შესთავაზეს. აშკარად მახსოვს მამაჩემის განცდები, ფიქრი, სანამ ასეთ საპატიო, საპასუხისმგებლო შეთავაზებაზე უარს იტყოდა. მისი ყოყმანის და შემდგომი უარის ერთადერთი მოტივი არა პროფესიონალური დაურწმუნებლობა, არამედ, ხატის შესაქმნელად საკუთარი ეკლესიურობის შესაძლებელი არასაკმარისობა იყო. საეკლესიო მოხატულობის, ხატის შექმნა მხოლოდ ღრმა რწმენის მქონე ადამიანმა უნდა ითავოს. დღეს კი ხატწერამ, სრულიად საგანგაშოდ, კონვეიერის სახე მიიღო და ყველა, ვინც ინდივიდუალურ ფერმწერად, შემოქმედად ვერ ჩამოყალიბდა, ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე ხატის შექმნის უფლებას აძლევს თავის თავს. მოიპარავენ ფულს, მოპარულის ნაწილით ეკლესიას ააშენებენ, ვიღაცას მოახატვინებენ, ერთ-ორ ხატსაც შეუკვეთავენ, ეკლესიას შესწირავენ და ამით სპეკულირებენ. თუმცა, როგორც ნებისმიერ ახალ, საკამათო ტენდენციაში, ამ შემთხვევაშიც გამონაკლისები, რა თქმა უნდა, არსებობს. სწორედ ასეთი მოულოდნელი და სასიამოვნო გამონაკლისი მხატვარ მამუკა მიქელაძის მიერ მოხატული საბურთალოს ძმათა სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე ჭირისუფლების შესაწირით აშენებული წმინდა გიორგის სახელობის პატარა, მაგრამ საოცრად ლამაზი ეკლესია აღმოჩნდა.

მამუკა მიქელაძეს, რომელმაც 1983 წელს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის რესტავრაციის ფაკულტეტი დაამთავრა, არაერთი გამოფენიდან ვიცნობდი როგორც საინტერესო, თვითმყოფად დაზგურ ფერმწერს. მაგრამ საბურთალოს სასაფლაოს წმინდა გიორგის ეკლესიის მოხატულობის სრულიად შემთხვევით ნახვის შემდეგ მასში, როგორც პიროვნებაში, ასევე შემოქმედში, ჩემთვის მანამდე უცნობი ახალი ფასეულობები აღმოვაჩინე. ქართული საეკლესიო ფერწერის, ფრესკული ტრადიციების ღრმა მცოდნე, ზომიერი, დელიკატური, ინტელიგენტური, ტრადიციული და, ამავე დროს, ახლებური ხედვის მქონე მხატვარი, რომელშიც რწმენა და პროფესიონალიზმი, განათლება და კულტურა, ნიჭი და ჰუმანურობა იმდენად ორგანულად არის შერწყმული, რომ მის მიერ შესრულებული ეკლესიის მოხატულობა აღფრთოვანების, გაკვირვების და მოწიწების გრძნობას იწვევს.

ნანახმა ჩემზე იმდენად შთამბეჭდავად იმოქმედა, რომ მამუკა მიქელაძის შემოქმედებით კიდევ უფრო დეტალურად დავინტერესდი და გავიგე, რომ მას საკმაოდ ბევრი ეკლესია ჰქონია მოხატული - სოფელ ბიწმენდში (მცხეთის რაიონი) მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესია, სოფელ ჭრებალოში (რაჭა) წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია, სოფელ კაკაბეთში (საგარეჯოს რაიონი) ხვთისმშობლის ხარების ეკლესია, თბილისის კინოსტუდიის ეზოში წმინდა ლაზარეს სახელობის ეკლესია, ბოდბეს დედათა მონასტერში წმინდა ზაბულონისა და სოსანას (ნინოს მშობლები) სახელობის ეკლესია და, ბოლოს, ზემოთ ხსენებული საბურთალოს ძმათა სასაფლაოს წმინდა გიორგის ეკლესია.

რატომ დაიწყო მამუკა მიქელაძემ დეკორატიული, ფერადოვანი დაზგური ფერწერის პარალელურად ეკლესიების მოხატვა, როგორ იგრძნო თავის თავში ამ რთული, საპასუხისმგებლო ამოცანის დაძლევის ძალა, რატომ გაუჩნდა სურვილი, რა აწუხებდა როგორც შემოქმედს და ფრესკის შექმნით რისი გამოხატვა შეძლო, ყველაფერ ამაზე პასუხს ერთი პატარა, ლამაზი წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მოხატულობა იძლევა.

როგორი სასიამოვნოა, როდესაც იცი, გიყვარს, გესმის, გეხერხება ის, რასაც მთელი გულით აკეთებ. როგორი სასიამოვნო გრძნობაა, როდესაც ახალ-ახალი ეკლესიების, მათი მოხატვის საერთო, საეჭვო ტენდენციაში მცირე, მაგრამ ბევრ კითხვაზე პასუხის გამცემ ოაზისს აღმოაჩენ. როგორი სასიამოვნო გრძნობაა, როდესაც თუნდაც ერთი ნიჭიერი მხატვრის ნამუშევრის მაგალითზე ხვდები, რომ ქართული საეკლესიო კედლის მხატვრობის უდიდესი, უძველესი ტრადიცია დღესაც ცოცხლობს, გადარჩენილია, დაფასებულია, რწმენა კი შენარჩუნებულია.

## ფოტოგალერეა



დეკემბერი.

ავტორი: იური ლობოდინი

## TV პროგრამა

### 4 დეკემბერი

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** "ჯეტიქსი" **11.00** სერიალი "დაკარგული ქალაქის მაძიებლები" **12.20** "გაიღიმეთ ფარული კამერაა" **12.50** მხ. ფილმი "ქინ-ძა-ძა" (გ) **15.20** სერიალი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" **17.00** სერიალი "მარკო პოლო" **18.00, 21.00, 01.00** კურიერი **18.20** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **19.10** მხ. ფილმი "ბორსალინო და კომპანია" **22.00** "ფსიქო"- დოკ. ფილმები "გენერალური რეპეტიცია" (რეჟ. ლია ჯაყელი, "ბოტონ ვილიჯი" (აშშ). **01.20** მხ. ფილმი "მკვლელები გზაზე" (18)ყ

### პირველი არხი

**08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.30** მოამბე **08.15** მხ. ფილმი "ლაქა" (გ) **09.20** იმღერე რამე **09.50** საცირკო სანახაობა **11.00** მხიარული კარუსელი **11.30** საქართველო არის ესე **12.10** მხ. ფილმი "ჩემებრ ლამაზი გოგო" **16.00** მხ. ფილმი "გადაღების ერთი დღე" **17.00** დოკ. ფილმი "ამერიკული კინო" **18.00** ვესტნიკი **18.40** "იმღერე რამე" **19.05** "ტელეზღაპარი" **19.20** "დრო და ადამიანები" **19.40** "ეთნოგრაფიული ჩანახატი" - კალა **20.35** მუს. ოქტაგონი - ნ. კაპანაძე **21.25** საღამოს საუბარი **22.10** სპექტაკლი "რიჩარდ მე-3" **00.45** მხ. ფილმი "ლაზარეს თავგადასავალი" (გ)

### კავკასია

**15.00** მხ. ფილმი "რობოტი პოლიციელი" (გ) 1-ლი ს. **17.00** ქართული მუსიკა **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** "ცნობილი ადამიანების უცნობი წლები" **19.40** "საწინდარი" **21.30** მხ. ფილმი "რობოტი პოლიციელი" (გ) მე-2 ს. **23.00** გადაცემა "ოშკი" **23.30, 00.30** ქართული მუსიკა

### მზე

**09.00** მუსიკა მზეზე **09.30** მულტსერიალი "რედვოლი" **10.00** საბ. სერიალი "ოდისეა" **10.30** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **11.30** შემეცნებითი პროგრამა "ექსტრემალური ამბები" **12.30** ტელეჟურნალი "სცენა" **13.00** სერიალი "კარაბინერები" **14.00, 17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **14.15** მხ. ფილმი "თანამგზავრი ქალი" (გ) **16.15** მუსიკა მზეზე **16.30** შემეცნ. გასართ. პროგრამა "დები ტრევისის საოცარი სახლი" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **18.50** მუსიკა მზეზე **19.00** სერიალი "კარაბინერები" **20.30** მუსიკ. კონკურსი "ჯეოსტარი" **22.00** ფეხბურთი. პრიმერა დივიზიონი. **00.00** მხ. ფილმი "მაზურკა ბარონის, წმინდა ქალწულისა და ლეღვის ხისათვის" (18) (უგო ტონიაცი)

### მეორე არხი

**19.00** დოკ. ფილმი "ამერიკული კინო" **19.50** საქართველო არის ესე **20.15** დოკ. ფილმი "ოპერაცია "მთვარე" **21.10** "იმღერე რამე" **21.30** ფრაგმენტები სურათისთვის **22.00** "ეთნოგრაფიული ჩანახატი" **22.15** ასე ვცხოვრობთ **22.35** მხ. ფილმი "ფრაგმენტები ქალაქის ცხოვრებიდან" (გ)

**18.00** მხ. ფილმი "გრაფი მონტე კრისტო" 1-ლი ს. (გ) **19.30** დოკ. ფილმი **20.30** სილუეტი **21.30** კონცერტი **22.30** მხ. ფილმი "მარი მარმეი" (12)

### იმედი

**09.00** ანიმაციური ფილმი "პოკა პონტასი" **09.50** მხ. ფილმი "საიდუმლო აგენტთა კლუბი" (გ) (ჯ. მურლოვსკი) **11.20** "რაო, რაო?" **11.30** "იმედითა შენითა" **11.45** "კლიპ-ლოტო" **12.40, 16.15, 02.40** ტვ-მარკეტი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 23.15, 02.30** ქრონიკა **13.25** მხ. ფილმი "უილბლოები" (გ) (პ. რიშარი) **15.15** უცნობი საქართველო **15.45** წუთისოფელში - შიგა კახეთი **16.30** "ნბა"-ს ჟურნალი **17.10** დოკ. სერიალი "მშვიდობით მე-20 საუკუნევ" **18.05** "პირველი ნაბიჯი" **19.30** "ბი-პი" ჩვენი პარტნიორი **19.45** ვაკაჭი-ნიუსი **20.05** მხ. ფილმი "მამბოს მეფეები" (გ) (ა. ასანტე) **22.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. "ინტერი"- "მესინა" **00.20** "ნადიმი ჯ. კაშიასთან ერთად" **01.35** სერიალი "ნეშ ბრიჯესი" **03.10** იმედის მელოდიები

### აჭარა

**09.00** საინფ. დაიჯესტი **09.20** მულტფილმი **11.00** "გადარჩენილი სიტყვა" **11.30** მუსიკა **11.45** "სტარტი" **12.15** თრილერი "მზის ცრემლები" **14.15** მუსიკა **14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **14.45** კომედია "გამოუსწორებელი თაღლითები" **16.30** მულტფილმი **17.20** "ჭიტა-ჭიტა" **17.45** ფანტასტიკა "მტაცებელი-2" **19.35** დოკ. ფილმი **21.00** მხ. ფილმი "სიყვარული წესებით და წესების გარეშე" **23.10** მუსიკა **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.50** мხ. ფილმი "ლორელ კანიონი"

### ОРТ

**06.00, 09.00, 12.00, 18.00** Новости. **06.10** Мультсериал "Кошки-мышки". **06.50** Алиса Фрейндлих в комедии **"ПОХОЖДЕНИЯ ЗУБНОГО ВРАЧА"** **08.20** Играй, гармонь любимая! **09.00** Слово пастыря. **09.10** Здоровье. **10.20** "Смак" **10.40** "Кумиры". Александра Яковлева. **11.10** Лубянка. "Похищение "Святого Луки". **12.20** История с географией. "Акулы: самые опасные встречи". **13.20** "Другой космос". **13.50** "Умницы и умники". **14.40** Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда". **15.00** Валерий Приемыхов в фильме **"КТО, ЕСЛИ НЕ МЫ"** **16.50** Алиса Фрейндлих. "Не такая, как все". **17.50** Золотые годы Микки Мауса. Впервые в России. **18.10** Криминальная Россия. "Опасные праздники". **2**-я серия. **18.40** ВАЛЕРИЯ, ОЛЕГ ГАЗМАНОВ В СУББОТНЕМ КОНЦЕРТЕ. **20.00** "Кто хочет стать миллионером?". **21.00** Время. **21.20** "Последний герой". Суперигра. **22.30** "Золотой граммофон". **23.30** Жан-Клод Ван Дамм в боевике **"ВЗРЫВАТЕЛЬ"** **01.20** Патрик Стюарт в боевике **"ЗВЕЗДНЫЙ ПУТЬ: ПЕРВЫЙ КОНТАКТ"**. **03.10** Клинт Иствуд в боевике **"ПОБЕГ ИЗ АЛЬКАТРАСА"**. **05.20** Док. сериал "История живописи сестры Венди". Заключительная серия.

### НТВ

**06.00** Мультфильм "Кот в сапогах". **06.20** Уэсли Снайпс в детективе **"УБИЙСТВО В БЕЛОМ ДОМЕ". 08.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Сегодня. **08.15** Мультфильм "Боцман и попугай". **08.25** Сериал **"2,5 ЧЕЛОВЕКА". 08.50** Без рецепта. Доктор Бранд. **09.25** "Дикий мир" с Тимофеем Баженовым. **10.20** "Растительная жизнь". **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.25** Особо опасен! **14.05** Борис Невзоров в фильме **"НАЙТИ И ОБЕЗВРЕДИТЬ"** **16.20** "Женский взгляд". Николай Сличенко. **16.55** Своя игра. **17.55** "Школа злословия". Ток-шоу **19.40** Профессия - репортер. **20.10** Сериал **"ДАЛЬНОБОЙЩИКИ-2: БЕЛОСНЕЖКА". 21.15** Фильм недели. Рис Уизерспун в комедии **"БЛОНДИНКА В ЗАКОНЕ"**. **23.20** Майк Тайсон. Лучшие бои. **Майк Тайсон - Анджей Голота. 00.00** Хэрри Хэмлин в детективе **"ЛОЖЬ"** **02.10** "2:1". Ток-шоу **02.50** Сериал **"КЛАН СОПРАНО". 04.50** Шэрон Стоун в боевике **"ДЖЕКСОН ПО КЛИЧКЕ МОТОР"**

## სკანვორდი



# აგენტი 007 გაშავდა




სალი ბოკერია

*"დეილი ტელეგრაფის" ცნობით, ჯეიმს ბონდის მომავალ ფილმში ცნობილი ბრიტანელი შავკანიანი მსახიობი კოლინ სელმონი აგენტ 007-ის როლზე უმთავრეს პრეტენდენტად იქნა შერჩეული. თუმცა, სელმონის როლზე დამტკიცების შემთხვევაში ბონდიანაში მისი მონაწილეობა პირველი არ იქნება.*

თუ მის კარიერას გადავხედავთ, სელმონს ერთგვარი იერარქიული საფეხურები აქვს გავლილი ცნობილ ბლოკბასტერში "ჯეიმს ბონდი". უმთავრეს პრეტენდენტად შეგულებამდე ბონდიანას ფილმებში "ხვალინდელი დღე არასდროს მოკვდება", "მთელი სამყაროც ცოტაა", "მოკვდი, ოღონდ ახლა არა" საიდუმლო სამსახურის ხელმძღვანელს ჩარლზ რობინსონს განასახიერებდა. გარდა ამისა, სელმონს მონაწილეობა მიუღია ინგლისურ სატელევიზიო შოუში Prime Suspect II.

სხვათა შორის, ხსენებულ სატელევიზიო სერიალში შესრულებული როლისთვის ნომინირებული იყო British Television Industries-ის პრემიაზე საუკეთესო დებიუტისთვის.

სამსახიობო კარიერის გარდა, კოლინ სელმონი მუშაობს როგორც როჟისორი. სწორედ მისი დადგმულია პიესა Blues Man ახალგაზრდა მწერალთა ფესტივალისთვის ლონდონის სამეფო თეატრში.

არადა, ადრინდელი ცნობით, უფრო სწორად, ბუკმეიკერთა აზრით, აგენტ 007-ის მთავარი როლის პრეტენდენტებად მიჩნეულნი იყვნენ შოტლანდიელი მსახიობები ევინ მაკგრეგორი და დუგრეი სკოტი. ცნობილი ბრიტანული საბუკმეიკერო კანტორის "უილიამ ჰილის" მონაცემებით, მაკგრეგორის შანსები ფასდებოდა როგორც 9/4, ხოლო სკოტისა - 9/2. მესამე შესაძლო პრეტენდენტად ასახელებდნენ კლაივ ოუენს.

აი, პირს ბროსნანი, რომელიც ბონდიანას ბოლო ოთხ ფილმში აგენტ 007-ის როლს ასრულებდა, ახალ ფილმში მონაწილეობას არ მიიღებს. როგორც თავად აცხადებს, იგი დიდი სიამოვნებით დაუთმობდა სუპერ ჯაშუშის როლს ირლანდიელ მსახიობს კოლინ ფარელს. თავის მხრივ, კოლინ ფარელი აცხადებს, რომ მას აგენტ 007-ის როლი არ აინტერესებს.

საინტერესოა, რომ ბოლო დროს საინფორმაციო სააგენტოები ლეგენდარული 007-ის აგენტად, პირს ბროსნანის მემკვიდრედ არაერთ მსახიობს ასახელებენ. აქვე დავძენთ, რომ 42 წლის წინათ, იმ დღიდან, რაც ფილმის პირველი სერია გამოვიდა, დღემდე, ბონდიანამ ბილეთებზე 4 მილიონი დოლარი გააკეთა.

ახლა, როდესაც გავიგეთ, თუ ვინ შეიძლება დამტკიცდეს ჯეიმს ბონდის მთავარ როლზე, საინტერესო ხდება ის, თუ ვინ გაუწევს აგენტ 007-ს პარტნიორობას.

უკვე ცნობილია, რომ ბონდის ახალი გოგო გახდება 24 წლის ბრაზილიელი სუპერმოდელი ჟიზელ ბუნდხენი, რისთვისაც მას ჰონორარის სახით 8 მილიონ დოლარს გადაუხდიან. ეს თანხა იმდენივეა, რამდენსაც მოდელი პოდიუმზე ნახევარ წელიწადში იღებს.

არაპროფესიონალი მსახიობისთვის საკმაოდ მსუყე ჰონორარია, მაგრამ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბლოკბასტერიდან შემოსული მოგება დანახარჯს მთლიანად აანაზღაურებს, რისი იმედიც აქვთ ექსპერტებს.

და კიდევ, როგორც ამბობენ, ბონდიანას შემქმნელები ცნობილი რუსი ჩოგბურთელით ანა კურნიკოვათიც დაინტერესდნენ.

რუსული ჩოგბურთის სექსსიმბოლოს, რომელსაც საჩოგბურთო სამყაროში დღემდე არც ერთი ტიტული არ მოუპოვებია, თავადაც გადაუწყვეტია, ჰოლივუდის გზას დაადგეს.

ახლახან კურნიკოვა ბონდიანას ერთ-ერთმა პროდიუსერმა ბევერლი ჰილზის მდიდრულ რესტორანში საქმიან ნადიმზე მიიწვია და ბლოკბასტერში ერთ-ერთი როლი შესთავაზა.

ბონდიანას ახალ ფილმს 2006 წელს ჩაუშვებენ კინოწარმოებაში.



სიახლე! მობილური ტელეფონების კატალოგი და online მაღაზია
www.MyMobile.ge

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24




წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.